ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ლელო

№093
(12 163)

23 აპრილი ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

ყაზბეგი


შაბათს, რუსთავში. ოლიმპმა ჩიხურას იოლად მოუგო
ნუგზარ სუარიძის ფოტო

# შოთა ჩემპიონი ხდება და ფეხბურთიდან მიდის




არველაძე:
**თუ ჩემპიონები გავხდებით, შეიძლება, კარიერა დავასრულო** 5

ცინცხალი ტრანსფერი
**სირაძემ აუე პადერბორნზე გაცვალა** 5

ქართული დერბი გერმანიაში
**ლომაიამ იაშვილს პენალტი აუღო**

სალეგიონი ამბები 6

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა

**XXI ტური**
**21 აპრილი. შაბათი**

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია-ბორჯომი | 0:0 |
| ოლიმპი-ჩიხურა | 5:0 |
| მერანი-ბათუმი | 1:1 |
| ლოკომოტივი-დინამო | 0:3 |
| ზესტაფონი-დილა | 4:1 |
| კახეთი-ამერი | 1:7 |
| სიონი-ტორპედო | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 21 | 16 | 4 | 1 | 50-6 | 52 |
| 2. დინამო | 21 | 16 | 1 | 4 | 44-17 | 49 |
| 3. ამერი | 21 | 14 | 4 | 3 | 42-13 | 46 |
| 4. ზესტაფონი | 21 | 13 | 7 | 1 | 43-9 | 46 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 21 | 11 | 7 | 3 | 38-23 | 40 |
| 6. სიონი | 21 | 11 | 2 | 8 | 26-17 | 35 |
| 7. ტორპედო | 21 | 8 | 4 | 9 | 19-23 | 28 |
| 8. ბორჯომი | 21 | 6 | 6 | 9 | 22-30 | 24 |
| 9. ბათუმი | 21 | 6 | 5 | 10 | 20-24 | 23 |
| 10. ლოკომოტივი | 21 | 5 | 5 | 11 | 13-29 | 20 |
| 11. მერანი | 21 | 4 | 7 | 10 | 15-32 | 19 |
| 12. ჩიხურა | 21 | 4 | 6 | 11 | 12-32 | 18 |
| 13. დილა | 21 | 2 | 3 | 16 | 14-53 | 9 |
| 14. კახეთი | 21 | 0 | 1 | 20 | 17-67 | 1 |

## 5 მაისამდე წურაფერს ელით

ჩემპიონატი კულმინაციას უახლოვდება. პირველი ადგილის ბედი რუსთავში გადაწყდება?

მიმოხილვა 2-5

## ინტერის ნამდვილი სკუდეტო!


6
საჩემპიონო მატჩში მატერაციმ დუბლი გაიფორმა

გერმანია:
8 ბაიერნი ლიგის მიღმა?

ინგლისი:
ჩელსიმ შანსი 9 ვერ გამოიყენა

ესპანეთი:
10 ბარსას მარცხმა პრიმერა დაძაბა

## ორ ოქროს პლუს სამი მედალი

სოფიაში ევროპის ჩემპიონატი დასრულდა 13


ქვემოთ ვერცხლის პრიზიორი გელა სალირაშვილი

LIVE
სპორტული საინფორმაციო ცენტრი
272-272
ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ
LIVE

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

**ლოკომოტივი-დინამო**

**0:3**

21.04. თელავი. გ. ჩოხელი. 700 მაყურებელი

0:1 მერებაშვილი (62. პენალტით), 0:2 იაშვილი (75. პენალტით), 0:3 ოდიკაძე (86. მერებაშვილის პასით).

ლოკომოტივი: გვარამაძე, თუთბერიძე, გ. კვახაძე, ნ. გუშარაშვილი, დ. ფოფხაძე, მ. ულენტი (76. სოსელია), სამხარაძე, მალიჩავა, გულორდავა (64. ჩომახიძე), გოჩაშვილი (70. კირკიტაძე), ყენია.

*სათადარიგოები: ზუხბაია, ებრალიძე, გ. ბარბაქაძე, კუპრეიშვილი.*

დინამო: გრიშიკაშვილი, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, შაშიაშვილი, ფეიქრიშვილი (68. ოდიკაძე), დილმელაშვილი, ხმალაძე, ხუციშვილი (60. კობახიძე), მერებაშვილი, იაშვილი (88. სპასოევიჩი).

*სათადარიგოები: ლორია, თომაშვილი, გ. კაშია, ლ. ნოზაძე.*

გაფრთხილება: სამხარაძე (27), ფოფხაძე (61), ჩომახიძე (68).

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

## საქართველოს XVIII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. XXI ტური

# მდევარი

ვაკეში შეკრებილი ქომაგები ერთ აზრზე იყვნენ – **დუშან უჰრინის** "დინამოს" **გიორგი კიკნაძის** "ლოკომოტივთან" იოლი გასეირნება ნამდვილად არ ელოდა. მატჩმა მოლოდინი გაამართლა - შეხვედრა დაძაბული და საინტერესო გამოდგა.

თავიდანვე გეტყვით, რომ "დინამოს" სასტარტოში ერთი ცვლილება ვიხილეთ. ძირითად შემადგენლობაში **სანდრო კობახიძის** ნაცვლად **მიხეილ ხუციშვილი** ვიხილეთ. შესაბამისად მარცხენა ფრთაზე კობახიძის ნაცვლად **მერებაშვილი** ირჯებოდა. ამ უკანასკნელის ადგილი კი ხუციშვილმა დაიკავა.

მატჩი სწრაფ ტემპში და საინტერესოდ დაიწყო. მეტოქის კარისკენ, პირველმა **ლევან ყენიამ** გაისროლა, მაგრამ **გრიშიკაშვილმა** აუღო. ლევანმა შაბათს მორიგი კარგი თამაში ჩაატარა, ისევე როგორც **სანდრო იაშვილმა**. მერე **დილმელაშვილის** დარტყმული ასცდა ოდნავ **გვარამაძის** კარს. აღსანიშნავია ისიც, რომ მასპინძლებმა თავიდანვე გამოაჩინეს კბილები და სტუმართა დაცვასაც არაერთი პრობლემა შეუქმნეს. მე-11 წუთზე ყენია-**გოჩაშვილი-ულენტი-გულორდავას** შეტევა განმუხტეს უჰრინის ბიჭებმა. მე-15 წუთზე მერებაშვილი და იაშვილი დაემუქრნენ მასპინძლებს. მალევე ხუციშვილის შეტევისას გვარამაძემ განმუხტა ვითარება. ვიზავის გრიშიკაშვილიც არ ჩამორჩა და გულორდავას დარტყმულს გადაეფარა.

ტაიმის ბოლოს ისევ "დინამომ" შეუტია. 42-ე წუთზე იაშვილის დარტყმული მცველს მოხვდა. მერე გვარამაძემ **ხმალაძეს** და ხუციშვილს აუღო.

მეორე ტაიმი სანახაობრივად უკეთესი გამოდგა, თუნდაც იმიტომ, რომ სამი გოლი გავიდა. თამაში "დინამოს" აქტიურობით განახლდა. სატურნირო მდგომარეობა მოდუნების უფლებას არ აძლევდა დინამოელებს. ჯერ იყო და **ზელიჩის** თავური აილო გვარამაძემ. მერე კი მასპინძელთა დაცვამ იაშვილის, სტუმართა მონდომება ოდნავ ჩააცხრო, თუმცა მხოლოდ დროებით. ჩეხი მწვრთნელი მიხვდა, რომ შემტევი პოტენციალის გაძლიერება იყო საჭირო და შეცვლებს მიმართა. ჯერ კობახიძე ჩართო თამაშში, მერე **ოდიკაძე**, ბოლო წუთებში კი ჩერნოგორიელი **სპასოევიჩიც** გამოჩნდა მოედანზე. დინამოელთა აქტიურობამ საბოლოოდ გამოიღო ნაყოფი. 61-ე წუთზე იაშვილის წაქცევისთვის პენალტი დაინიშნა. რადგან წინა მატჩში, "ზესტაფონთან" სწორედ სანდრომ ვერ გამოიყენა თერთმეტმეტრიანი, ამჯერად პენალტის დარტყმა მერებაშვილმა ითავა - 0:1. 70-ე წუთზე მერებაშვილი-კობახიძე-ოდიკაძის კომბინაცია ამ უკანასკნელის დარტყმულით დამთავრდა, რომელიც ძელს მოხვდა. 74-ე წუთზე კი კობახიძე შეაჩერეს წესების დარღვევით და სრულიად დამსახურებულად კიდევ ერთი თერთმეტმეტრიანი დაინიშნა. მისი შესრულება უკვე იაშვილმა ითავა და ანგარიშიც გაზარდა, 0:2. 83-ე წუთზე მეკარესთან პირისპირ გასულ იაშვილს კიდევ ერთის გატანა შეეძლო, მაგრამ ამჯერად გვარამაძემ იყოჩაღა. მატჩის მიწურულს კი იაშვილმა მშვენიერი პასით მერებაშვილი გვარამაძესთან პირისპირ დატოვა, რომელმაც გვერდით ოდიკაძეს დაუგორა და მანაც საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. ამ მოგებით "დინამომ" "ოლიმპს" სხვაობის გაზრდის საშუალება არ მისცა. ასე რომ, ყველაფერი 5 მაისს, რუსთავში გაირკვევა.

### მატჩის შემდეგ

**გიორგი კიკნაძე:** *"ჩვენი მიზანი ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა. იმისთვის ვიბრძვით, რომ გადათამაშების გარეშე დავრჩეთ უმაღლეს ლიგაში. გუნდი ცოტა ხნის წინათ ჩავიბარე. ეს ჩემი მესამე თამაში იყო და დიდი დროც არ მქონია საიმისოდ, რომ რამე კარდინალურად შემეცვალა. დღევანდელი ტაიმი კარგად ვითამაშეთ და დავინახე ის დადებითი მომენტები, რაც იმედს მაძლევს, ვივარაუდო, რომ ჩვენ მიზანს შევასრულებთ".*

**დუშან უჰრინი:** *"მატჩი ორი განსხვავებული ტაიმისგან შედგებოდა. მეორე ნახევარში უკეთ ვითამაშეთ და შედეგიც სახეზეა. თუმცა საგოლე მომენტების გამოყენებაზე კვლავ დიდი მუშაობა მოგვიწევს.*

*კობახიძე "ზესტაფონთან" მატჩში დაშავდა და მხოლოდ პარასკევს ივარჯიშა პირველად. სასტარტოშიც ამიტომ არ დავაყენეთ. მას მერე რაც კობახიძე თამაშში ჩაერთო უკვე ჩვენი თამაში ვაჩვენეთ. ფეიქრიშვილი მსუბუქადაა დაშავებული და საგანგაშო არაფერია".*

**დავით ცაბაძე**



გიორგი მერებაშვილი საუკეთესო სეზონს ატარებს

# ბრაზილიურ-ზესტაფონური გოლები

**ზესტაფონი-დილა**

**4:1**

21.04. ზესტაფონი. ცენტრალური. მაყურებელი

1:0 იონანიძე (42), 2:0 სანტოსი (47. იონანიძის პასით), 3:0 ფიფია (52), 3:1 გონჩაროვი (82), 4:1 ჟონატასი (84. ფიფიას პასით)

*79-ე წუთზე ფიფიამ ვერ გამოიყენა პენალტი*

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე, თოდუა, კ. ჩხეტიანი, სანტოსი, რ. ონიანი, ნ. კვასხვაძე (71. ჟონატასი), კესანი, ჭელიძე (78. გ. ჩხეტიანი), ფიფია, იონანიძე (62. ნოზაძე)

*სათადარიგოები: ჯალალონია, ხიდეშელი, სანაია, ბ. გოცირიძე*

დილა: თევდორაძე, კობახიძე (68. ნოზაძე), ყველაშვილი, დ. ხანიშვილი, ბალაშვილი, ტლაშაძე (50. სადალაშვილი), კ. ხანიშვილი, ლომაშვილი, ვარდოსანიძე, გონჩაროვი, სულთანიშვილი (58. სამადაშვილი)

*სათადარიგოები: კეჩხუაშვილი, ჩიტაია, აბრამიშვილი, წინამძღვრიშვილი*

გაფრთხილება: კ. ხანიშვილი (34), კობახიძე (56)

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი


ანგარიში ზურაბ იონანიძემ გახსნა

მამუკა კაკაურიძის ფოტო

გორელთა სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, ფეხბურთის ზესტაფონელი მოყვარულები, შაბათს სტუმართაგან დიდი წინააღმდეგობას და შესაბამისად საინტერესო თამაშის ხილვას ელოდნენ, მაგრამ ყველაფერი პირიქით მოხდა - სტუმრებმა ძალიან სუსტად ითამაშეს, 90 წუთის მანძილზე მხოლოდ ერთხელ დაარტყეს კარში და ასეთ ვითარებაში მასპინძლებს განა რამე გაუჭირდებოდათ?

ზესტაფონელებმა თავიდანვე გაიაქტიურეს და უსუსური სტუმრების ფონზე საგოლე მომენტები და გოლები მიითვალეს. მე-7 წუთზე ჯერ **თოდუამ** დაარტყა უძლიერესად და ააცილა, მალე კი კუთხურისას **სანტოსის** თავურსაც იგივე ბედი ეწია. ამას **იონანიძის** და **ჭელიძის** ძლიერი დარტყმები მოჰყვა, მაგრამ გორელთა მეკარემ ითამაშა კარგად. პირველი ტაიმის შუაწელში **კვასხვაძემ** და **ფიფიამ** ძალიან ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს და ეს უკანასკნელი კარის წინ ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა, თუმცა ბოლო მომენტში სუსტად დაარტყა და მომენტი ქარს გაატანა. უპირატესობა ტაიმის მიწურულს, როგორც იქნა, შედეგში აისახა. 42-ე წუთზე **როინ ონიანმა** აუტიდან ძლიერად შემოაგდო ბურთი, იგი იონანიძეს მიუვიდა, რომელმაც არცთუ ძლიერი დარტყმით გადაგზავნა კარისკენ. გზად ის **დავით ხანიშვილს** შეეხო, შეეცვალა მიმართულება და კარში შევარდა - 1:0. წუთის შემდეგ იონას თავით შეეძლო გატანა, მაგრამ ბურთი მცველმა გამოიტანა კარის ხაზიდან.

მეორე გოლი თამაშის განახლებიდან ორ წუთში გავიდა. 47-ე წუთზე იონანიძემ დაინახა საჯარიმოში შეჭრილი **სანტოსი** და თავით მიაწოდა მას. ბრაზილიელს გატანის მეტი არაფერი დარჩენოდა. კარგად მოთამაშე მასპინძლები ორს არ დასჯერდნენ და მალე მესამეც გაიტანეს - თოდუამ ზუსტი გადაცემით მეკარესთან პირისპირ დატოვა ფიფია, რომელმაც კარიდან გამოსულ **თევდორაძეს** წამით დაასწრო და 3:0. მასპინძლები ვერც ამან დააცხრო - კვასხვაძეს და ფიფიას ისევ შეეძლოთ გატანა. ფიფიამ პენალტი გააფუჭა, მას თევდორაძემ აჯობა. გორელთა "დუმილი" მხოლოდ 82-ე წუთზე დაირღვა **გონჩაროვმა** - საჯარიმოში მიიღო ბურთი, შემოტრიალდა და შორეულ დაბალ კუთხეში გაუტანა კვასხვაძეს. მასპინძლები გაშვებულმა გოლმა გააგულისა და დარჩენილ დროში მეოთხეც გაიტანეს - ფიფიამ საჯარიმოში რამდენიმე ფინტის შემდეგ, **ჟონატასს** მიაწოდა, რომელმაც ოსტატურად ჩამოიცილა ბოლო მცველი და თევდორაძე უშანსოდ დატოვა.

მატჩის შემდეგ გორელთა მწვრთნელი **მამუკა ვარდოსანიძე** გულდაწყვეტილი იყო: *"ჩემი აზრით, "ზესტაფონი" საქართველოში ამ ეტაპზე ყველაზე ძლიერი გუნდია. დღეს ითამაში არ წაგვივიდა, ამიტომ, შეიძლება ითქვას, დამსახურებულად დავმარცხდით".*

თემურ მახარაძე: *"გორი ტრადიციულად ძლიერი გუნდია და ბიჭებს ვაფრთხილებდი, რომ თამაშს სერიოზულად მოკიდებოდნენ. მათ დავალება კარგად შეასრულეს და საჭირო ქულები მოვიპოვეთ".*

**მერაბ ბრძელიძე**
ზესტაფონიდან

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავს **ჯემალ გაბისონიას.**

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



სახიფათო მომენტი საჩხერელთა კართან

ნუგზარ სუარიძის ფოტო

# უხვგოლიანი გასეირნება

**ოლიმპი-ჩიხურა**

**5:0**

21.04. რუსთავი. ფოლადი.
3000 მაყურებელი

1:0 გენაძე (13. სეთურიძის პასით), 2:0 გენაძე (40. გოცირიძის პასით), 3:0 კახელიშვილი (47. გოცირიძის პასით), 4:0 გოცირიძე (60. ნავალოვსკის პასით), 5:0 კახელიშვილი (86).

ოლიმპი: მ. ალავიძე, გ. ონიანი, მახვილაძე (46. კახელიშვილი), ჭიჭვეიშვილი, სეთურიძე (50. ბერუაშვილი), ქებაძე (60. ჩხარტიშვილი), აფციაური, ძამსაშვილი, ნავალოვსკი, გენაძე, რ. გოცირიძე

*სათადარიგოები: მერლანი, ხუბუა.*

ჩიხურა: მწყერაშვილი, ბარამიძე, ქემოკლიძე, გიგაური, ქუხილავა, ბუცხრიკიძე (56. მ. მიქაძე), მახარაძე, ი. ზაბახიძე (22. ვაშაკიძე), ქუცურუა, გ. მიქაძე (52. გვეტაძე), დვალი.

*სათადარიგოები: დოლაძე, ვ. ზაბახიძე.*

გაფრთხილება: ქუცურუა (18)

გაძევება: ქუცურუა (18)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

ერთპიროვნული ლიდერისა და ერთ-ერთი აუტსაიდერის მატჩი ტურის ცენტრალურ შეხვედრად რომ "მოინათლება", უცნაურზე მეტია. ისიც უცნაურია, ექვსი-შვიდი არცთუ ურიგო ფეხბურთელი რომ გეყოლება, მაგრამ, ფაქტობრივად, თამაშის დაწყებისთანავე რომ დანებდები მეტოქეს. არ დაგვავიწყდეს - ეს ექვსი-შვიდი ფეხბურთელი "ჩიხურაში"... "დინამოდან" არის განათხოვრებული და, ალბათ, ამიტომაც მიიჩნევდა ბევრი, რომ "ოლიმპს" მძიმე მატჩი ექნებოდა. არ დაგვავიწყდეს იმერული გუნდის სატურნირო მდგომარეობაც - გადათამაშებაში რომ არ მოხვდნენ, მათთვის ხომ ყველა ქულა ძვირფასია. ისევე როგორც "ოლიმპისათვის". **რევაზ ძოძუაშვილის** გუნდმა მეორე წრეში ორჯერ დაკარგა დაუგეგმავი ქულები და აუტსაიდერთან მატჩში მაქსიმალური მობილიზებით გამოვიდა. თუმცა მანამდე დანაკლისებზე ვთქვათ: ტრავმის გამო მასპინძლებს **ვლადიმერ დვალიშვილი** აკლდა, "ჩიხურას" კი - **ზვიად სტურუა**. ცოტა არ იყოს, მოულოდნელიც იყო "ოლიმპის" სათადარიგოთა სკამზე **გიორგი კახელიშვილის** გამნესებაც...

...მატჩი დაიწყო თუ არა, ნათელი გახდა, რომ ლიდერი იოლ გამარჯვებას მოიპოვებდა - იმდენად აშკარა იყო მასპინძელთა უპირატესობა. განსაკუთრებით კი **გიორგი ნავალოვსკი** და **რევაზ გენაძე** აქტიურობდნენ, რომლებმაც მარცხენა ფლანგი მართლაც რომ აიკლეს; იგივე შეგვიძლია ვთქვათ "ოლიმპის" ზეენერგიულ მარჯვენაფლანგელ **გიორგი სეთურიძეზეც**. ჰოდა, სწორედ ამ სამეულის მიერ გათამაშებული ლამაზი კომბინაციის შედეგად გავიდა კიდეც პირველი გოლი: ნავალოვსკიმ მარცხნიდან ჩააწოდა, სეთურიძემ მარჯვნიდან გააგრძელა და გენაძემაც თავური დარტყმით ანგარიში გახსნა. ამ გოლიდან ხუთ წუთში კი სტუმრები რიცხობრივ უმცირესობაში დარჩნენ - გვერდითი არბიტრის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის **გიორგი ქუცურუამ** გაფრთხილება მიიღო, თუმცა ახალგაზრდა ფეხბურთელი ისე გაცხარდა, რომ მერე მთავარი მსაჯი შემოელანძღა და **ლევან კვარაცხელიამაც** სავსებით სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო, როცა ქუცურუას წითელი ბარათი უჩვენა. სამწუხაროდ, "ჩიხურას" მარცხენა ნახევარმცველი ამან უფრო გააღიზიანა და ფიზიკურ შეურაცხყოფაზეც კი გადავიდა...

...აი, ამის მერე კი ნამდვილი "ცალკარა" წავიდა, თუმცა მეორე გოლი მხოლოდ ტაიმის ბოლოს ვიხილეთ. ამ შემთხვევაში ლამაზი სამსვლიანი კომბინაცია გათამაშდა - სეთურიძემ მეტოქის საჯარიმოში ზუსტი გადაცემით **რევაზ გოცირიძე** მოძებნა, ამ უკანასკნელმა ოსტატურად დაუტოვა ბურთი გენაძეს და "ოლიმპის" ერთ-ერთმა გამორჩეულმა ფეხბურთელმაც შეუჩერებლად, ზუსტი დარტყმით "დუბლი" მიითვალა.

მეორე ტაიმში მოედანზე **კახელიშვილის** გამოჩენა და სტუმართა დაცვის დაწიოკება ერთი იყო. ახალგაზრდა ფორვარდმა თავად წამოიწყო იერიში, მერე გოცირიძესთან კედელი გაითამაშა და მეკარისაგან ახლო კუთხეში ეფექტური გოლი გაიტანა. არანაკლები სილამაზის იყო გოცირიძის გოლიც, რომელიც "ოლიმპის" ცენტრფორვარდმა მეტოქის საჯარიმო ხაზიდან ბრუნში დაარტყა. გოცირიძეს კიდევ შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ უალრესად ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა. თუმცა **ზურაბ მწყერაშვილსაც** ნუ დავუკარგავთ გარჯას - "ჩიხურას" მეკარემ ამ ეპიზოდშიც ივარგა და სხვა ორ შემთხვევაშიც, როდესაც გენაძისა და **ზურაბ ძამსაშვილის** დარტყმები მოიგერია. აი, მატჩის მიწურულს კი ისიც უძლური იყო-კახელიშვილის დარტყმა მართლაც უნაკლო იყო. მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, თუ რა უძლოდა წინ ამ გოლს: კახელიშვილმა ბურთიანად ლამის ნახევარი მოედანი გაირბინა, მერე მეტოქის საჯარიმოში ფინტების კასკადით მეურვეებს თავბრუ დაახვია და მოჭრილი დარტყმით სტუმართა განადგურებას წერტილი დაუსვა.

**გია ტუხაშვილი**

# გაჭირვებულს გოლი კუთხურიდან დაენია

## ჰოლანდიელმა სტუმრებმა კამერუნელები უარყვეს

**სიონი-ტორპედო**

**1:0**

21.04. ბოლნისი. თ. სტეფანია.
700 მაყურებელი

1:0 დარასელია (62)

სიონი: მამალაძე, სვანიძე, ბოიომო, ორბელაძე, ბაჯელიძე, ბაბუნაშვილი (55. ცხადაძე), კორღალიძე, სანიკიძე, უგრეხელიძე (52. ალავიძე) ჩასემი (89. კობაური), დარასელია

*სათადარიგოები: ბობლიაშვილი, რაქვიაშვილი, ექონია, გიგინეიშვილი*

ტორპედო: ქვილითაია, ლალაძე, ბარაბაძე, გურული, ჩხეტიანი, კვეტენაძე (85. გორგოძე), ნადირაძე (79. კვერნაძე), ლონლაძე (68. ზივზივაძე), ჭედია, ქუთათელაძე, იმედაძე

*სათადარიგოები: ოდიშარია, ხურცილავა, კირკიტაძე, დანელია*

გაფრთხილება: სვანიძე (26), ნადირაძე (45), ჩასემი (57)

არბიტრი: ლ. სილაგავა

ტურის ყველაზე უმოტივაციო მატჩი ბოლნისში გაიმართა. „სიონსა“ და „ტორპედოს“ უმაღლესი ლიგის დატოვება არ ემუქრებათ, სხვა ამბიცია კი ამ გუნდებს აღარ ამოძრავებთ. ბოლო დროს ორივე კლუბს დაუგროვდა პრობლემები, მაგრამ ბოლნისელთა გასაჭირი ქუთათურებთან შედარებით რა მოსატანია. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ტორპედოელებმა ბოლო ერთი თვის განმავლობაში გუშინწინ, პირველად ჭამეს ერთად და ხუთსაათიანი დამქანცველი მგზავრობის შემდეგ, ბოლნისში ზედ თამაშის წინ ჩავიდნენ. ასეთ მდგომარეობაში მყოფი გუნდისაგან წინააღმდეგობის გაწევას არავინ ელოდა, თუმცა რიონისპირელებმა ძალები არ დაიშურეს და მეტოქე საკმაოდ აწერვიულეს. გოლი კი ისეთი გაუშვეს, რომელიც წესით არ უნდა გასულიყო - 62-ე წუთზე **დარასელიამ** კუთხურიდან მოჭრა ბურთი, **ჩასემმა** და ძელთან მყოფმა **ლალაძემ** თავები დახარეს, ბურთმა მათ თავზე გადაუფრინა და ახლო კუთხეში ისე შევარდა, არავის შეხებია. ამ გოლმა გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი. იქამდე და მას შემდეგ კი თითქმის თანაბარი თამაში იყო.

პირველი სახიფათო მომენტი, აწ უკვე **ყიფშიძის** შეგირდებმა, მე-16 წუთზე შექმნეს: **ბაბუნაშვილის** გადაცემის შემდეგ დარასელიამ დაარტყა ძლიერად და ძელი შეაზანზარა. ვიტალი თანაგუნდელების ფონზე აშკარად გამოირჩეოდა. ბევრს მოძრაობდა და კარშიც სახიფათოდ ურტყამდა. ბოლოს და ბოლოს, პირდაპირ კუთხურიდან გოლის გატანა, თუნდაც ეს მეტოქე მცველების ბრალი იყოს, ერთ რამედ ღირს, მით უმეტეს, თუ ეს გოლი გამარჯვების მომტანია. მან სხვა ეპიზოდებშიც დაგვამახსოვრა თავი. 30-ე წუთზე ჩასემის დარტყმას თავით შეუცვალა მიმართულება და რომ არა **ქვილითაია** ანგარიში ადრევე გაიხსნებოდა.



გიორგი ყიფშიძე

ტაიმის ბოლოს უპირატესობა სტუმრების ხელში გადავიდა. „ტორპედომ“ რამდენიმე მწვავე შეტევა განახორციელა. 41-ე წუთზე **ლონლაძე** ოთხ მცველს შორის გაძვრა, მაგრამ ბოლო მომენტში **ორბელაძემ** კარში დარტყმა არ დაანება. 43-წუთზე კი **ნადირაძის** სახიფათო ფლანგურ ჩაწოდებას **იმედაძე** თავით რომ შესწვდენოდა, ბოლნისელთა მეკარეს ძალიან გაუჭირდებოდა დარტყმულის მოგერიება.

მეორე ტაიმში ყიფშიძემ დროული შეცვლა გააკეთა, როცა 52-ე წუთზე **უგრეხელიძის** ნაცვლად **ალავიძე** გამოიყვანა. ამ უკანასკნელმა თამაში გაამწვავა. 61-ე წუთზე მისი ყუმბარისებური დარტყმა ქვილითაიამ გაჭირვებით მოიგერია, სწორედ ამ ეპიზოდს მოჰყვა ის კუთხური, საიდანაც დარასელიამ პირდაპირ კარში მოათავსა ბურთი.

საკუთარ თავს არ ჰგავდა „სიონის“ კამერუნელი თავდამსხმელი ერიკ-რომეო ჩასემი. პირველ ტაიმში მას ღირებული არაფერი გაუკეთებია, მეორე ნახევარში კი თამაში მცირედით გამოასწორა და დარასელიას კუთხურისას თავის დაწევით გოლში თავისი წვლილიც შეიტანა. თავადაც ჰქონდა ორი კარგი მომენტი. ორივეჯერ მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ პირველად მეტოქის საჯარიმოში დემონსტრაციულად გაიშხლართა და სიმულაციისთვის ყვითელი ბარათი მიიღო, მეორედ კი **ცხადაძის** კარგი გადაცემა ვერ შეირგო და ბურთი ქვილითაიას ჩააბარა. მეორე კამერუნელი **ბოიომო** კი დაცვაში უშეცდომი იყო. აფრიკელ ლეგიონერებზე იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ ჩვენი ინფორმაციით მათ ჰოლანდიელი სპეციალისტები აკვირდებოდნენ. ბოლნისურ მატჩს მართლაც დაესწრო ჰოლანდიური „ეინდჰოვენის“ სელექციონერი **ბას დინგელსტადტი** და მისი ქართველი პარტნიორი ბიზნესმენი **გიორგი ბურჯანაძე**, თუმცა შესვენებისას, როცა მათთან გასაუბრების საშუალება მოგვეცა, სტუმრებმა კამერუნელების მიმართ ინტერესი კატეგორიულად უარყვეს: *„ლეგიონერებზე დასაკვირვებლად ნამდვილად არ ვართ ჩამოსული. აქ ბოლნისის „სიონის“ თანამფლობელის გია ლომთაძის მოწვევით ვიმყოფებით. ჩვენი ინტერესი ბავშვთა ფეხბურთს ეხება და ამ მხრივ „სიონთან“ თანამშრომლობასაც ვაპირებთ. აქ არის სხვადასხვა ასაკის გუნდი, საიდანაც, შესაძლოა, სამომავლოდ ნიჭიერი ბავშვები ავარჩიოთ და მათ ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში დავეხმაროთ. ეს იქნება „ეინდჰოვენში“ სტაჟირების გავლა თუ სხვა რამ.“*

**დავით კოხრეიძე**
ბოლნისიდან



კახი გოგიჩაიშვილი

სიონი

# გოგიჩაიშვილი ბოლნისშია

ბოლნისის "სიონის" მთავარი მწვრთნელობიდან **კახა ცხადაძის** გადადგომის მერე, გუნდის მზადებაში აღარ მონაწილეობს ცხადაძის სამწვრთნელო შტაბის წევრი **ბადრი კვარაცხელიაც**. ასე რომ, გუნდს მხოლოდ **გიორგი ყიფშიძე** ხელმძღვანელობდა.

ჩვენ მიერ მოპოვებულ ცნობათა თანახმად, "ტორპედოსთან" მატჩისთვის მოსამზადებლად მას **კახი გოგიჩაიშვილიც** ეხმარებოდა. "ტორპედოსთან" მატჩში გოგიჩაიშვილი ბოლნისელთა სათადარიგოთა სკამზეც იყო. მოთამაშის კარიერის დამთავრების შემდეგ, ეროვნული ნაკრებისა და თბილისის "დინამოს" ყოფილი ნახევარმცველი 35-ე საფეხბურთო სკოლაში ბავშვთა გუნდებს წვრთნიდა. გოგიჩაიშვილი მწვრთნელობის დაუფლებისთვის საკმაოდაა მომზადებული და ბოლნისელებმაც ამიტომ შეაჩერეს მასზე არჩევანი.

*"კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით კახი გოგიჩაიშვილი გუნდის სამწვრთნელო შტაბში შევიყვანეთ. ხვალ-ზეგ კლუბის ხელმძღვანელობა შეიკრიბება, მწვრთნელის საკითხზე იმსჯელებს და ყველაფერი მერე გაირკვევა"*, - გვითხრა "სიონის" გენერალურმა მენეჯერმა **ჯემალ ჭიპაშვილმა**.

*"მიხმეს და მივედი. მოხარული ვარ ასეთი ნდობისთვის. სამწვრთნელო შტაბში ვარ და რაც შემეძლება, ყველაფერს გავაკეთებ გუნდის წარმატებებისთვის. სხვას, ამ ეტაპზე ვერაფერს გეტყვით"*, - გვითხრა კახი გაგიჩაიშვილმა გუშინ.

**დავით ცაბაძე**

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



სულიკო დავითაშვილმა თელავში ჰეთ-ტრიკი გააკეთა — ფოტო www.fcameri.ge

# ქვემოდან ზესტაფონი, ზემოთ დინამო და ოლიმპი

## ამერს ევროპული შანსი ჩემპიონატიდანაც გაუჩნდა

**კახეთი-ამერი**

**1:7**

21.04. თელავი. გ. ჩოხელი. 500 მაყურებელი

0:1 ნინამძღვრიშვილი (30. დავითაშვილის პასით), 0:2 დავითაშვილი (58), 0:3 დავითაშვილი (67), 0:4 ჯელაძე (74. დავითაშვილის პასით), 0:5 (76. დავითაშვილი), 0:6 (79. დობროვოლსკი), 0:7 დეკანოსიძე (82. ტატანაშვილის პასით), 1:7 84. ჩუთლაშვილი

კახეთი: იაშვილი, მ. ხიდაშელი, მურველაშვილი (69. იოსებაშვილი), გერგიშვილი, ბიბილაშვილი (75. გიგაური), კუპრაშვილი, ჩუთლაშვილი, კევლიშვილი (63. ბურნაძე), ბიძინაშვილი, მ. ხიდეშელი, ტეტიაშვილი

*სათადარიგოები: ლოლაძე*

ამერი: ქვაჩახია, ელბაქიძე (70. ნიკოლაიშვილი), დავითნიძე, დავითაშვილი, დეკანოსიძე, ნინამძღვრიშვილი (63. ტატანაშვილი), ჯელაძე, კაკაშვილი, დოლიძე (46. ხვადაგიანი), დობროვოლსკი, ჩიკვილაძე

*სათადარიგოები: ნადირაშვილი, გვაძაბია, ჩიმაკაძე, გაბისკირია*

არბიტრი: მ. მაისურაძე

ორი კვირის წინანდელი ამბით დავიწყებ: 20 წლის კახელმა **ლუკა ტეტიაშვილმა**, საშინაო მატჩში თბილისის "დინამოსთან" დუბლი გაახერხა. მე კი ერთი გოლი **გ. ხიდაშელს** მივაწერე. ამით სტატისტიკასაც ვასწორებ და მორალურადაც მართალი უნდა ვიყო ტეტიაშვილთან.

"ამერი" აუტსაიდერთან თამაშს დიდი სერიოზულობით მოეკიდა - მას "კახეთთან" რთული სათასო მატჩი ახსოვდა. მეორე საფუძველი კი სატურნირო მდგომარეობით აიხსნება. ქვემოდან ზესტაფონის ქშენა ესმის, თავად კი "დინამოსა" და "ოლიმპს" აწუხებს.

სტარტიდანვე ხისტი და უკომპრომისო ბურთაობა გაჩაღდა და შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ეს დიდხანს გასტანდა, თუმცა... მესამე წუთზე **ჯელაძემ** მეტეორივით ჩაუქროლა **მ. ხიდაშელს** და **ნინამძღვრიშვილს** საგოლე პასი მიაწოდა. საპასუხოდ **ბიძინაშვილის** სტანდარტული ოდნავ ასცდა მიზანს. მეცხრე წუთზე **ელბაქიძე-ნინამძღვრიშვილი-დავითაშვილის** კომბინაციის სიმშვენიერეს გოლი დააკლდა მხოლოდ. ტაიმის შუაწელს დავითაშვილის შორიდან გასროლილი ძელმა აისხლიტა. სამ წუთში ბიძინაშვილის საჯარიმო ტეტიაშვილმა თავურით კინაღამ გოლად აქცია. მას კიდევ ერთი შანსი მიეცა, მაგრამ **ქვაჩახიასთან** მახვილი კუთხიდან პირისპირ გასულს ოსტატობა დააკლდა. 30-ე წუთზე კი პირველი გოლიც გავიდა - დავითაშვილის ფინტების კასკადი ნინამძღვრიშვილმა დააფასა - 0:1. ანგარიშმა ოცდარვა წუთი გაძლო და ამ გაძლებაში ყველაზე მეტად მასპინძელთა უკანახაზელებს **მერველაშვილსა** და **გერგიშვილს** მიუძღვით წვლილი. ეს უკანასკნელი ძირითადი სამუშაოს გარდა შეტევაშიც რამდენჯერმე ჩაერთო და თავიც დაგვამახსოვრა.

მასპინძლებმა ვერც მეორე ტაიმში მოახერხეს სწრაფი და ტექნიკური სტუმრების შეჩერება, განსაკუთრებით კი დავითაშვილის. სულიკოს ძებნა არ უნდოდა, სადაც იყო ცხელი წერტილიც იქ იქმნებოდა. მან ორმოცდამეჩვიდმეტე წუთზე კინაღამ ორჯერ ჩამოაგდო ხარიხა. მესამე ცდა კი წარმატებული გამოდგა - **დეკანოსიძის** შორიდან დარტყმული **იაშვილმა** ვერ შეიმაგრა ხელში და დავითაშვილმა ყველას დაასწრო, 0:2. კახელებმა ორჯერ გაიბრძოლეს და სერიოზულადაც, თუმცა "აბრეზას" რა მოასვენებდა? 67-ე წუთზე მან **ბიბილაშვილის** დაბნეულობით ისარგებლა, იაშვილი წინ გამოიტყუა და ცარიელ კარში მესამე გოლი შეაგდო. 74-ე წუთზე ერთ რამედ ღირდა **ნიკოლაიშვილი**-დეკანოსიძე-დავითაშვილი-ჯელაძის მრავალსვლიანი კომბინაცია, რომელიც მორიგი გოლით დამთავრდა - 0:4. მერე ისევ დავითაშვილმა გაიბრწყინა - ჰეთ თრიკი შეასრულა და ანგარიში 0:5 გახადა. მომდევნო ხუთ წუთში **დობროვოლსკიმ** და დეკანოსიძემ თელაველთა ანტირეკორდში საკუთარი წილი დაიდეს და ანგარიში არასაფეხბურთო გახადეს - 0:7. გატეხილი კახელები მაინც წამოდგნენ - ქვაჩახიამ გერგიშვილის უძნელესი დარტყმული კი მოიგერია, მაგრამ **ჩუთლაშვილის** ეფექტურად დამატებულს ველარაფერი მოუხერხა, 1:7.

**ნიკო ვაყელიშვილი**
თელავიდან

**ვიტ ჯორჯია-ბორჯომი**

**0:0**

21.04. მცხეთა. არმაზი. 300 მაყურებელი

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, ლომაია, ჯაფარიძე, გ. დათუნაიშვილი, ბეჭვაია (55. კლიმიაშვილი), მელქაძე, სახოკია (61. ინჯგია), ბერიაშვილი, ლუჭაშვილი (74. კიკნაძე)

*სათადარიგოები: ღურბელეიშვილი, ადამაძე, ლიპარტია, კვალინიძე*

ბორჯომი: შეყრილაძე, გოგიჩაიშვილი, მემარნიშვილი, ლ. მერებაშვილი, ლომიძე (90. საყვარელიძე), შ. ჯიქია, თედიაშვილი, შ. გრიგალაშვილი, კოშკაძე, კაიდარაშვილი, კაკალაძე (84. რ. კვერნაძე)

*სათადარიგოები: ასაბაშვილი, სუხიაშვილი*

გაფრთხილება: შ. გრიგალაშვილი (18), კაკალაძე (43), კაიდარაშვილი (79), შ. ჯიქია (83)

მსაჯი: დ. სანაია

ამ სეზონში უკვე მერამდენედაა, "ვიტ ჯორჯია" საკუთარ მოედანზე უდიდეს უპირატესობას რომ ვერ იყენებს და ნულოვან ფრეს სჯერდება. ამჯერად ვეტერინართა უპატიებელი შეცდომებით "ბორჯომმა" ისარგებლა. სტუმრები მთელი მატჩის განმავლობაში საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვით იყვნენ დაკავებულნი და სანადელს მიაღწიეს კიდეც. ეს ქულა ბორჯომელთათვის უდავოდ დიდი შენაძენია.

მატჩი საშუალო ტემპში წარიმართა, მასპინძლებმა თავიდანვე შეუტიეს და მოწინააღმდეგის უკანა ხაზს ისეთი პრობლემები შეუქმნეს, რომ ერთი შეხედვით, გოლი გარდაუვალი ჩანდა. თუმცა დრო გადიოდა და არაოპტიმალური შემადგენლობით მოთამაშე "ბორჯომის" კარში გოლი კი არ გადიოდა.

საგოლე შანსებს ჯორჯიელები ერთიმეორის მიყოლებით ანიავებდნენ. პირველ ტაიმში ახლო მანძილიდან **სახოკიამ, ბერიაშვილმა** და **ლომაიამ** ვერ იხეირეს. მასპინძელთა უზუსტობის გადამკიდე, "ბორჯომის" გოლკიპერ **შეყრილაძეს** ბევრი საქმე არ ჰქონია, მაგრამ როცა თამაშში ჩართვა უხდებოდა, ყოველთვის დამაჯერებელი იყო.

# ვეტერინართა ჩვეული დანაკარგი

"ვიტ ჯორჯიამ" ერთი გოლი მაინც გაიტანა, კარის ბადე სახოკიამ შეარხია, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. შესვენებამდე "ბორჯომმა" ერთადერთხელ სცადა მეტოქის კარის აღება, **კაიდარაშვილის** მახვილგონივრული დარტყმა მიზანს მცირე მანძილით ასცდა.

**მუმლაძის** ფეხბურთელების იერიშები შეხვედრის მეორე ნახევარშიც გაგრძელდა, მაგრამ დრო გადიოდა და ვეტერინართა შეტევები ნელ-ნელა სიმწვავეს კარგავდა. მთელი თამაში მასპინძლები კარში მომენტალურად დარტყმას ერიდებოდნენ და საგოლე შანსებსაც ასე კარგავდნენ.

მეორე ტაიმში მიზანთან ახლოს **ლუჭაშვილი** და **გიორგი დათუნაიშვილი** იყვნენ. პირველი მეკარესთან პირისპირ გავიდა, შეყრილაძეს გასცდა კიდეც, მაგრამ კარს ბურთი ზემოდან გადააცილა, მეორემ კი დარტყმა დააგვიანა და უდროო დროს მოინდომა მეტოქის მოტყუება.

**ხაჩიძის** გუნდს შეეძლო, ცნობილი საფეხბურთო კანონი აემოქმედებინა და მოწინააღმდეგე ამდენი უზუსტობისთვის დაესაჯა, მაგრამ "ბორჯომმა" კონტრშეტევის წამოწყების რამდენიმე შესანიშნავი მომენტი გაუშვა ხელიდან. საბოლოოდ, სტუმართა ტაქტიკამ გაამართლა. ბუნებრივია, უმაღლესში დასარჩენად მებრძოლ სამცხელებს ეს ქულა უდიდეს სამსახურს გაუწევს, "ვიტ ჯორჯია" კი ლიდერთა ჯგუფს კიდევ უფრო ჩამოსცილდა და კვლავინდებურად, ინტერტოტოს საგზურისთვის იბრძვის.

**ლევან ჯანეზაშვილი**



## ნიკა გელაშვილი ბელგიაშია

"ვიტ ჯორჯიის" ლიდერმა და ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთმა საუკეთესო ბომბარდირმა **ნიკოლოზ გელაშვილმა** შაბათს, "ბორჯომთან" მატჩი გამოტოვა. როგორც გაირკვა, იგი ბელგიაში ყოფილა, სადაც უმაღლესლიგურ კლუბებში გადის გასინჯვას. ნიკა ორ იქაურ გუნდში ივარჯიშებს და თუ რომელიმე მათგანს თავი მოაწონა, კარიერას იქვე გააგრძელებს.

მას "ვიტ ჯორჯიასთან" ხანგრძლივი კონტრაქტი აკავშირებს, შესაბამისად, ბელგიელებს მისი შეძენა მოუწევთ. ყველაფერი უახლოეს დღეებში გაირკვევა. იმასაც შეგახსენებთ, რომ ამ წლის დასაწყისში გელაშვილი ხარკოვის "მეტალისტში" ისინჯებოდა, მაგრამ უკრაინელებმა მისი შეძენა არ ისურვეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**მერანი-ბათუმი**

**1:1**

21.04. თბილისი. შევარდენი. 1500 მაყურებელი

1:0 ქორიძე (2. გაგუას პასით), 1:1 დარჩიძე (48)

მერანი: გლუნჩაძე, კედელაშვილი, აფშილავა, ლ. გრიგალაშვილი, სალარიძე (76. ჯანგიძე), ქემაშვილი, ბესარაშვილი, ოქრუაშვილი, მ. კობერიძე (56. ზირაქიშვილი), გაგუა (67. ფურთუხია), ქორიძე.

სათადარიგოები: სეფიაშვილი, კეტაშვილი, დეისაძე, დათუნაშვილი

ბათუმი: სომხიშვილი, კუნჭულია, გალოგრე, ლობჟანიძე, ხოხონიშვილი, შალამბერიძე (89. მაკარიანი), ნერგაძე, დარჩიძე, ცანავა, ბეჟანიძე, კვარაცხელია (73. კერესელიძე).

სათადარიგოები: ბექთაშევი, ქარციძე, ფარტენაძე, რამიშვილი, ტულუში.

გაფრთხილება: ოქრუაშვილი (40), გალოგრე (56)

არბიტრი: პ. დოგრაშვილი

გადათამაშების საფრთხის წინაშე მდგომი გუნდების შეხვედრა რთული იყო და დაძაბულიც, მაგრამ საყურებლად რა გითხრათ... რითი გაგახაროთ, როცა ჩვენი ფეხბურთი ვერ გახარებთ.

ბათუმელთა მთავარმა მწვრთნელმა **ამირან გოგიტიძემ** ფრთხილი ტაქტიკა აირჩია და მოედანზე გუნდი მხოლოდ ერთი თავდამსხმელით გაიყვანა. ბათუმელთა ყოფილი დამრიგებელი **ასლან ბალაძეც** არ იყო მეტისმეტად აგრესიული ტაქტიკის შერჩევისას. მან ორი თავდამსხმელი კი დააყენა, მაგრამ ერთი მათგანი, **ილია ქემაშვილი** უფრო ნახევარდაცვისკენ იხევდა, გამთამაშებელი **ვალერი გაგუა** კი იძულებული იყო, თავდასხმასაც დახმარებოდა და უკანაც ემუშავა. ნომინალური ფორვარდის ფუნქციას ის უფრო ასრულებდა.

# ქართული ფეხბურთი ორმოში

მეტოქეებს ჯერ სალამი არ ჰქონდათ დასრულებული, როდესაც ვალერი გაგუას ჩინებული გადაცემით **გიორგი ქორიძემ** მეორე წუთზე გოლი გაიტანა.

მშვენიერი დასაწყისის მიუხედავად, მასპინძლებმა უპირატესობა ვერ განავითარეს და თამაშიც მდორედ წარიმართა. არც ტემპი იგრძნობოდა, არც ტექნიკა, სისწრაფე და ენერგია.

მომენტები მეორე ტაიმში უფრო მეტად შეიქმნა. "ბათუმი" გამოცოცხლდა და 48-ე წუთზე ანგარიშიც გაათანაბრა. მცველებმა ბურთი უხეიროდ მოიგერიეს, რომელიც საჯარიმოს ხაზთან ახლოს მდგომ **ვიტალი დარჩიძეს** მიუგორდა და მისი გასროლა შედეგიანი აღმოჩნდა - 1:1. **გლუნჩაძე** უძლური იყო ზუსტ დარტყმას შეწინააღმდეგებოდა.

კურიოზული მომენტის გამო ბათუმელთა კარში 52-ე წუთზე კინაღამ მეორე ბურთი შეგორდა: საჯარიმოსკენ შორიდან ჩაწოდებული ბურთის მოსაგერიებლად მეკარე **გიორგი სომხიშვილი** წინ გამოვარდა, მაგრამ წინ გადაგდების მაგიერ, ბურთი თავზე აეჭრა და საკუთარი კარისკენ გაუშვა. კიდევ კარგი, კარს ასცდა...

მოედანზე გამორჩეულები დარჩიძე და გაგუა იყვნენ. ორივე საკუთარი გუნდის თამაშს მეტ-ნაკლებად ალაგებდა. თუმცა ისეთ მოედანზე, როგორიც დღეს "შევარდენზეა", ამას კარგად ზიდანიც ვერ მოახერხებდა. გაგუამ მატჩის შემდეგ გვითხრა კიდეც, მრცხვენია, ზოგჯერ ისეთი ბურთების დამორჩილება მიჭირს, მაგრამ ფეხით მისაღები უცებ შუბლში რომ მოგხვდება, როგორ ითამაშებ?

"ბათუმსაც" შეეძლო კიდევ ერთხელ გაეტანა, 56-ე წუთზე დარჩიძემ შორეული მშვენიერი გადაცემით **შალამბერიძეს** მისცა თავის გამოჩენის შანსი, მაგრამ ისევ მოედანმა შეაფერხა, ბურთი დროულად ვერ დაამუშავა და დარტყმის ნაცვლად, იძულებული გახდა ახლოს მყოფ **კვარაცხელიასთვის** დაეგორებინა და სწრაფი კონტრშეტევაც ჩაიშალა.

**მერაბ მამულაშვილი**

## პირველი ლიგა. XXVIII ტური

| | |
|---|---|
| მესხეთი-მგლები | 3:0 |
| მალაროელი-ოლიმპი | 1:0 |
| დინამო 2-მეშაქრე | 1:1 |
| გაგრა-ამერი 2 | 3:2 |
| რაჭა-ჩიხურა 2 | 1:0 |
| სამტრედია-მეშახტე | 1:0 |
| ნ. დინამო-ვიტ ჯორჯია 2 | 2:1 |
| ზესტაფონი 2-სპარტაკი | 1:0 |
| მერცხალი-გურია | 2:4 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მგლები | 27 | 20 | 2 | 5 | 46-18 | 62 |
| 2. მესხეთი | 26 | 18 | 4 | 4 | 49-14 | 58 |
| 3. მალაროელი | 28 | 13 | 7 | 8 | 40-29 | 46 |
| 4. ოლიმპი | 28 | 13 | 6 | 9 | 46-30 | 45 |
| 5. მეშაქრე | 28 | 12 | 9 | 7 | 32-25 | 45 |
| 6. გაგრა | 28 | 13 | 5 | 10 | 39-33 | 44 |
| 7. ამერი 2 | 28 | 11 | 10 | 7 | 44-33 | 43 |
| 8. ვიტ ჯორჯია 2 | 27 | 12 | 6 | 9 | 42-24 | 42 |
| 9. სამტრედია | 28 | 11 | 8 | 9 | 27-33 | 41 |
| 10. ნ. დინამო | 27 | 12 | 4 | 11 | 40-39 | 40 |
| 11. მეშახტე | 27 | 10 | 5 | 12 | 37-34 | 36 |
| 12. დინამო 2 | 28 | 9 | 9 | 10 | 46-29 | 36 |
| 13. ზესტაფონი 2 | 27 | 8 | 10 | 9 | 25-26 | 34 |
| 14. რაჭა | 27 | 7 | 9 | 11 | 26-39 | 30 |
| 15. ჩიხურა 2 | 28 | 8 | 4 | 16 | 25-49 | 28 |
| 16. სპარტაკი | 27 | 7 | 3 | 16 | 17-39 | 24 |
| 17. გურია | 28 | 6 | 6 | 16 | 27-58 | 24 |
| 18. მერცხალი | 26 | 2 | 4 | 20 | 18-71 | 10 |

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com www.pfl.ge



რალფ მინგე დავით სირაძეს რამდენიმე კვირის წინათ გერმანიაში შეხვდა

ლეგიონერი. ტრანსფერი

# დავით სირაძე ორი წლით პადერნბორნში

**საქართველოს ნაკრების თავდამსხმელმა დავით სირაძემ შაბათს მეორე ბუნდესლიგის "პადერნბორნთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. გუნდის მენეჯერი მიხაელ ბორი ამბობს: " ჩვენ ის თავდამსხმელი შევიძინეთ, რომელსაც ვეძებდით. სირაძე ძალიან კარგი ფორვარდია. მას დიდხანს ვაკვირდებოდით, ბევრჯერ ვესაუბრეთ. ძალიან გვინდოდა მისი გადმოყვანა, რადგან დარწმუნებულები ვართ, მომავალ სეზონში აუცილებლად დაგვეხმარება".**

**გუშინ დათოს დავუკავშირდით და გავესაუბრეთ.**

**- საკმაოდ მოულოდნელი ინფორმაცია შევიტყვეთ, მეორე ბუნდესლიგის "პადერნბორნთან" ორწლიანი კონტრაქტი გაგიფორმებია...**

- შაბათს მოვაწერე ხელი. რა მოხდა მერე?

**- როდესაც "კაიზერსა" და "ფრაიბურგში", აგრეთვე ბუნდესლიგაში შესაძლო გადასვლაზე საუბრობდი, ისევ მეორე ბუნდესლიგის საშუალო ამბიციის გუნდში კონტრაქტი გაგვიკვირდა.**

- ასე მერჩივნა. მაისამდე ველარ დაველოდებოდი სხვა გუნდებთან ურთიერთობის გარკვევას.

**- რომელს გულისხმობ?**

- "ფრაიბურგსა" და "კაიზერს", იყო "მიუნხენ1860" და "გლადბახიც", მაგრამ კონკრეტულს არაფერს მეუბნებოდნენ და მეც ავდექი და ხელი მოვაწერე. "პადერნბორნის" ვარიანტი უცბად გამოჩნდა და ყველაფერზე მოვილაპარაკეთ.

**- "პადერნბორნს" რა პერსპექტივა აქვს?**

- ახლა ცხრილის შუაშია, მაგრამ აქედან კარგ გუნდში მოხვედრის შანსი უფრო მეტია. დორტმუნდთან ახლოსაა, ბილეფელდი და კიოლნი იქვეა. ხალხი დადის და თავი თუ გამოიჩინე, ეგრევე მიგიწვევენ. ისიც მნიშვნელოვანია, რომ ყველაზე უკეთესი პირობები შემომთავაზეს. ამით კმაყოფილი ვარ.

**- თავად გუნდით?**

- კი, რატომაც არა? მეორე ბუნდესლიგის გუნდია და მომავალ წელს ბუნდესლიგაში გადასვლის ამბიცია ექნება. თან, რაც მთავარია, მთავარი მწვრთნელის ჰოლგერ ფახის დამსახურებაა, რომ გადავედი.

**- ბოლო ტურებში "აუეში" შესაძლო ტრანსფერის გამო არ გათამაშებდნენ?**

- რამდენიმე დღის წინათ ვარჯიშზე გუნდელმა ფეხი მაგრად ჩამარტყა და ვმკურნალობ, მაგრამ ჯანმრთელად რომ ვყოფილიყავი, მაინც არ მათამაშებდნენ. საერთოდ, მეორე წრეში მაგრად ჩამძირეს.

ეს ამბები მეორე წრეში დაიწყო და მერე და მერე ურთიერთობა დაგვეძაბა. ჯერ დამიბარეს და ახალი კონტრაქტი შემომთავაზეს. ჩემი გადასაწყვეტი იყო, დავრჩებოდი თუ არა. რამდენჯერმე ვუთხარი, მოვიფიქრებ-მეთქი და ამის გამო 5-10 წუთს თუ მათამაშებდნენ. ბოლოს საბოლოოდ უარი რომ მიიღეს და გაიგეს, "პადერნბონში" გადავდიოდი, ხელმძღვანელობასთან პრობლემები შემექმნა. მოედანს საერთოდ ალარ მაკარებდნენ და მითხრეს, რახან ჩვენთან დარჩენა არ გსურს, სეზონის ბოლომდე ტრიბუნაზე იჯექი. ნეტავ, შემდეგ სეზონში ამათთვის გამატანინა და მეტი არაფერი მინდა.

**- გული არ გწყდება "კაიზერსა" და "ფრაიბურგში" რომ არ გადახვედი?**

- გული როგორ არ მწყდება, ორივე კარგი იქნებოდა, მაგრამ რაც არის, არის. ისე უნდა ვითამაშო, მერე ბუნდესლიგაში რომ მიმიწვიონ. კონტრაქტი ორწლიანია, მაგრამ ერთი წლის შემდეგ შემიძლია წასვლა, თუკი უკეთესი გუნდი მიმიწვევს. კონტრაქტში ასე ჩავწერეთ.

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თბილისის "სპარტაკის" და "დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელი, ღირსების ორდენოსანი

**არჩილ კილაძე**

და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

ლეგიონერი

# შოთა მხოლოდ ოქროთი წავა?

ჰოლანდიიდან გუშინ ორი, სასიხარულო და უსიამოვნო ამბავი შევიტყვეთ. ორივე ამბავი საქართველოს ნაკრებისა და "ალკმაარის" ფორვარდ **შოთა არველაძეს** უკავშირდება.

ჰოლანდიურ ერედივიზიონში ჩატარებული ბოლოსწინა, 33-ე ტური, არველაძის გუნდისთვის წარმატებული და ამავე დროს იღბლიანი გამოდგა. თავად განსაჯეთ, "ალკმაარი", რომელიც ჩემპიონობისთვის ბრძოლაში თვეების განმავლობაში "ეინდჰოვენის" მდევრად გვევლინებოდა, ქულებით დაეწია მას და ბურთების უკეთესი ბალანსით გადაუსწრო კიდეც. ამჟამად, ერედივიზიონში სამ გუნდს, "ალკმაარს", "აიაქსსა" და პსვ-ს აქვთ თანაბარი ქულები, მაგრამ ბურთების უკეთესი ბალანსით, პირველი არველაძის გუნდია. შესაბამისად, თუკი დასკვნით ტურში სამივე ამ გუნდმა მოიგო, ოქროს მედლები "ალკმაარს" ერგება. მერე კი მე-2-მე-5 ადგილებს შორის ფლეიოფის მატჩები გაიმართება. მოკლედ, ბოლო ტურში ჩვენებურის გუნდს სტუმრად "ექსელსიორთან" მოგება სჭირდება ჰოლანდიის ჩემპიონობისთვის. ცნობისათვის, აქამდე ჰოლანდიის ჩემპიონი "აიაქსის", პსვ-სა და "ფეიენოორდის" ტრიოს გარდა, მხოლოდ ერთი გუნდი გამხდარა. ეს გუნდი სწორედ "ალკმაარია", რომელმაც 1981 წელს ოქრო არავის დაუთმო.

სიტყვამ მოიტანა და შოთას წარსულს თუ გადავხედავთ, თვალსაჩინოა, რომ მის კარიერას ოქრო ნამდვილად არ აკლია - თბილისის "დინამოში" მოპოვებულ ჩემპიონობას, სამი უცხოური ოქროც ამშვენებს. 2002 წლიდან მოყოლებული, შოთა არველაძის მონაგარი ასეთია: 2002 წელს "აიაქსის" რიგებში იზეიმა პირველობა, ამსტერდამელთა რიგებშივე მოიპოვა ჩემპიონობა 2004 წელსაც. 2005-ში კი უკვე "რეინჯერსში" დაეუფლა ოქროს მედალს. ახლა კი ისლა დაგვრჩენია, ჰოლანდიის პირველობის ფინიშს დაველოდოთ და ვნახოთ, შემატებს თუ არა ქართველი თავდამსხმელი მორიგ ტიტულებს საკუთარ მონაგარს. აქვე შეგახსენებთ, რომ "ალკმაარს" დუბლის შანსი აქვს - 6 მაისს ჰოლანდიის თასის ფინალში "აიაქსს" ეთამაშება.



*"ბუნებრივია, გახარებულები ვართ. სწორედ რომ საჩვენო ტური იყო. ღმერთმა ქნას, ჩემპიონები გავხდეთ. ბოლო ტურში "ექსელსიორს" ვხვდებით. ეს გუნდი აუტსაიდერთა შორისაა, მაგრამ მაინც მობილიზება გვმართებს, სტუმრად გვიწევს თამაში და იოლი გასეირნება ნამდვილად არ გვექნება", - გვითხრა გუშინ ჰოლანდიაში დაკავშირებისას შოთა არველაძემ.*

*ახლა კი არასასიამოვნო ამბავიც ვთქვათ. შოთამ ჯერ კიდევ შარშან განაცხადა სანაკრებო კარიერის დასრულებაზე ვფიქრობო. წლეულს, მარტის ბოლოს, "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა – ნაკრებიდან დღესვე არ მივდივარ, მაგრამ ეს უახლოესი მომავლის პერსპექტივააო. როგორც ჩანს, ეს დღეც მალე დადგება და ამას თავად ფეხბურთელიც არ მალავს.*

*"თუ ჩემპიონები გავხდით, შეიძლება ფეხბურთელის კარიერა დავასრულო კიდეც. ეს ჯერ კიდევ არაა საბოლოო გადაწყვეტილება, მაგრამ ამაზე რეალურად ვფიქრობ. ამ საკითხზე დღეს მეტს ვერაფერს გეტყვით".*

*მოთამაშის კარიერას დასრულების შემდეგ დარჩება თუ არა ის კვლავ ფეხბურთი და რა ფორმით?*

*"მინდა, ფეხბურთში დავრჩე. ალბათ, ასეც იქნება, მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიცი თუ რას გადავყწვეტ. მით უმეტეს, ჯერ ისიც არ მაქვს საბოლოოდ გადაწყვეტილი, ჩემპიონობის შეთხვევაში მართლა დავასრულებ თუ არა მოთამაშის კარიერას", - გვითხრა არველაძემ.*

*ერთი რამ კი ახლავე ცხადია, არაერთი ლამაზი გოლის ავტორს, ფეხბურთიდან წასვლაც ლამაზად ჰქონია ჩაფიქრებული.*

**დავით ცაბაძე**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ლეგიონის უქმეები

# ქართველი ჩემპიონების მოლოდინში

გვეყოლება თუ არა ჩემპიონები ევროპაში? ამ კითხვას მალე გაეცემა პასუხი. ძლიერ საფეხბურთო ლიგებში ორი კანდიდატი გვყავს: ლევან კობიაშვილი გერმანიაში და შოთა არველაძე ჰოლანდიაში. ორივეს ჩემპიონობის ბრწყინვალე შანსი აქვს. ამ უქმეებზე ქართველი ფეხბურთელების მონაწილეობით კიდევ ბევრი საინტერესო ფაქტი მოხდა...

## კაპიტანო, დაგვიბრუნე 1981!

+53, +47, +46... დამშვიდდით მეგობრებო, ნამდვილად სრულ ჭკუაზე ვარ და ქართული ლეგიონის მორიგი მიმოხილვა მინდა შემოგთავაზოთ. +53 **შოთა არველაძის** "ალკმაარის" მიერ სეზონში გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობაა, +47 "აიაქსის", ხოლო +46 "ეინდჰოვენის". მას შემდეგ, რაც უტრეხტელმა **ალიე შუტმა** მატჩის 86-ე წუთზე "ეინდჰოვენს" გოლი გაუტანა, ბურთების სხვაობას გადამწყვეტი მნიშვნელობა მიეცა. ბოლო ტურის წინ სამივე კლუბს 72-72 ქულა აქვს. თანაბარი ქულების შემთხვევაში, უპირატესობა გატანილი და მიღებული გოლების შეფარდებას ეძლევა. 12 ნოემბრიდან **რონალდ კუმანის** "ეინდჰოვენი" ლიდერობდა, დიდი ხნის განმავლობაში დამაჯერებლადაც, თუმცა "უტრეხტთან" 1:1-ზე დასრულებულმა მატჩმა, სამეულში ჩემპიონობის ყველაზე უარესი შანსი დაუტოვა. უკეთესად საქმე ქართველი კაპიტნის გუნდს აქვს. 29 აპრილს, ბოლო ტურში, "ალკმაარი" "ექსელსიორს" ესტუმრება და, სავარაუდოდ, ჩვეულებრივი მოგებაც ეყოფა ჩემპიონობისთვის.

სხვათა შორის, ჰოლანდიაში, ტრადიციულად, ჩემპიონები მხოლოდ დიდი სამეულის გუნდები ხდებოდნენ ("აიაქსი" 29-ჯერ, "ეინდჰოვენი" 19-ჯერ, "ფეიენოორდი" 14-ჯერ), მხოლოდ ერთადერთმა კლუბმა მოახერხა ტიტულის მოპოვება. 1981 წელს, თბილისის "დინამოს" ევროპული ზეობის ჟამს, ყოფილი დინამოელის დლევანდელმა კლუბმა მოიგო ჩემპიონობა და ახლა მეორედ გაჩემპიონების შესანიშნავი შანსი აქვს. დავუმატოთ ამას ისიც, რომ 6 მაისს, ჰოლანდიის თასის ფინალში, "ალკმაარი" "აიაქსს" ხვდება და აქედან გამომდინარე, დუბლის შანსიც არსებობს.

გუშინ კი "ალკმაარი" "ჰეერენვეენს" მასპინძლობდა და 3:1 მოიგო. მატჩის 39-ე წუთზე სტუმართა კარში გატანილი გოლის ავტორის ვინაობა წყაროებმა სხვადასხვანაირად მოგვაწოდეს. ზოგიერთი ვერსიით, ბურთი **მუსა დემბელემ** შეაგდო, ზოგმა გოლი **მაარტენ მარტენსს** მიაწერა, არსებობს მესამე ვერსიაც: **შოთა არველაძე**. საბოლოოდ, ჩვენდა გასახარად, სწორედ ბოლო ვერსია აღმოჩნდა მართალი: პიენაარის ჩაწოდების შემდეგ, ბურთი მარტენსს მიუვიდა, კარის ხაზის გადაკვეთამდე კი მას შოთა შეეხო და ასე გაიტანა ქართველმა სეზონში მე-15 გოლი. "ლელოსთან" კომენტარში ეს თავად არველაძემაც დაადასტურა. სხვათა შორის, შოთასთვის ეს 150-ე მატჩი იყო ჰოლანდიის ჩემპიონატში. 90-ე წუთზე ის **ბუხარიმ** შეცვალა, კაპიტანს მთელი სტადიონი ფეხზე წამოუდგა...

## ხისა და ცულის ამბავი

ბუნდესლიგაში სტატუს-ქვო შენარჩუნდა: **ლევან კობიაშვილის** "შალკე" კვლავ ორი ქულით უსწრებს ჩემპიონობისთვის მებრძოლ "ვერდერს". მარათონის დასრულებამდე კი ოთხი ტური რჩება. შაბათს "შალკემ" 2:0 მოუგო "კოტბუსს". სამწუხაროდ, კობიაშვილი კვლავ სათადარიგო იყო. ქართველმა ნახევარმცველმა 73-ე წუთზე **იოზილი** შეცვალა.

Jena stoppt den SC Freiburg, ანუ "იენამ" "ფრაიბურგი" შეაჩერა" - ასეთი სათაურით დაიბეჭდა "კიკერში" მეორე ბუნდესლიგის მიმოხილვა. გუშინ, ბადენ-ვიურტემბერგის მხარეში ერთი ქართული ანდაზა (ხემ თქვა, ცული რას დამაკლებდა, ტარი რომ ჩემი ჯიშისა არ იყოსო) სწორედ ქართველებმა გაამართლეს. ბუნდესლიგის საგზურის მოცილე "ფრაიბურგი" სახიფათო ზონაში მყოფ "კარლ ცაისს" ხვდებოდა. 0:1-ზე სტუმართა კარში საეჭვო პენალტი დაინიშნა. ნიშნულთან მეორე ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი **ალექსანდრე იაშვილი** მივიდა, თუმცა მისი პენალტი თანამემამულე **გიორგი ლომაიამ** აულო, რამაც, ეტყობა, "ფრაიბურგი" გატეხა და 1:3 დამარცხდა. **მიხეილ აშვეთია** ტრავმირებულია. 52-ე წუთამდე (ანუ პენალტამდე), იაშვილმა შვიდი მეტრიდან დაარტყა სტუმართა კარში, თუმცა ლომაიას ვერც ამ შემთხვევაში აჯობა. სამ წუთში კი მსაჯმა ქართველ ფორვარდს უკეთესი შანსი მისცა, მაგრამ ეტყობა, ამ დღეს იაშვილს გატანა არ ეწერა. ლომაიამ 11-მეტრიანი კუთხურზე მოიგერია. "შპორტალმა" ქართველ კიპერს 2.5 ბალი (მატჩის საუკეთესო შეფასება დუბლის ავტორ **ფოიგტის** მერე) დაუწერა, იაშვილს კი 4.5.

"ფრაიბურგი" 51 ქულით მეხუთე ადგილზეა. **ფოლკერ ფინკეს** გუნდი მესამე საფეხურზე მყოფ (მოგეხსენებათ, ბუნდესლიგაში სამი კლუბი გადადის) "დუისბურგს" ორი ქულით ჩამორჩება. "მიუნხენს" 44 ქულა აქვს და მერვეა, ერთი ქულით და ერთი ადგილით ჩამორჩება მას "აუე", სადაც **დავით სირაძე** სეზონის ბოლომდე ითამაშებს, მერე კი "პადერნბორნში" გადავა (36 ქულა), "კარლ ცაისი" 32 ქულით კვლავ გასავარდნ ზონაშია (მე-15 ადგილი).

## კალაძის კაპონე

საქართველოს ნაკრების კაპიტანს ცუდი დროება უდგას: აქეთ ტრავმები, რომლებმაც მთელი სეზონი დატანჯეს, იქით კიდევ არასტაბილური თამაში, რაც იგივე ტრავმებიდან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია. "კალიარისთან" შაბათის მატჩში **კახა კალაძე** ძირითადში იყო. 86-ე წუთზე მან მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მოედნის დატოვება მოუხდა. პირველად, კახა 13 წუთით ადრე გააფრთხილეს, როცა **ანდრეა კაპონე** საჯარიმოში წააქცია და პენალტი დაინიშნა (ასე გავიდა ერთადერთი გოლი მასპინძელთა კარში). მოგვიანებით კი კალაძე კვლავ კაპონესთან ბრძოლისას დააჯარიმეს და ყვითელთან ერთად წითელიც უანთეს. "გაძეტა დელო სპორტმა" ჩვენებურს მეტად დაბალი შეფასება, 4-იანი დაუწერა.

...ამასობაში კი **კარლო ანჩელოტიმ** დაასახელა იმ 25 ფეხბურთელის ვინაობა, რომლებიც "მანჩესტერთან" მატჩისთვის მოემზადებიან. სიაში კალაძეცაა.

პრემიერლიგაში კვლავ გამოჩნდა **ზურაბ ხიზანიშვილი**, რომელსაც შოტლანდია-საქართველოს მატჩში მიღებული ტრავმის შემდეგ აღარ უთამაშია. "ფულჰემთან" გასვლით მატჩში, რომელიც 1:1 დასრულდა, ზურა "ბლექბერნის" სათადარიგო იყო. ეს გუნდი უმოტივაციოდაა პრემიერლიგაში, 44 ქულით მეათე ადგილზეა და არც არაფერი ემუქრება, არც რაიმე განსაკუთრებულის პერსპექტივა აქვს.

## საგოლე პასი და ერთიც ავტოგოლი

საბერძნეთის პირველობის 28-ე ტურმა ჩემპიონი გამოავლინა: "ოლიმპიაკოსმა" ტიტული შეინარჩუნა. ქართველთა გუნდებმა ამ ტურში წარმატებით ითამაშეს. **ლევან ცქიტიშვილის** "პანიონიოსმა" 3:1 მოუგო პაოკ-ს, ხოლო **ლევან მაღრაძის** "ქსანთიმ", **ლამბრიაკოსის** პოკერის წყალობით, ოფი-ს 4:1 აჯობა. "პანიონიოსი" 42 ქულით მეექვსეა, "ქსანთის" კი 35 ქულა აქვს მეათეა პოზიციაზეა. გოლი ვერა და, ქართველმა ავტოგოლი გაიფორმა: 53-ე წუთზე, როცა ანგარიში 4:0 იყო, მაღრაძემ უნებურად ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა, თუმცა ამით კლუბს დიდი არაფერი დაუშავა. ცქიტიშვილმაც 90 წუთი დაჰყო მოედანზე. მის ანგარიშზე საგოლე პასია.

დანიაში ძალიან ცუდად თამაშობს **გიორგი ფოფხაძის** "ვიბორგი", რომელმაც ბოლო ექვს მატჩში მეხუთე მარცხი იგემა. გუშინ "ვიბორგმა" შინ 0:2 დათმო "ოლბორგთან". ფოფხაძის გუნდი 25 ქულით მეათე ადგილზეა. "ოლბორგთან" მატჩში მასპინძლებმა 47-ე წუთიდან 10 კაცით ითამაშეს. ფოფხაძემ ზედიზედ მესამედ ითამაშა შეუცვლელად.

## ბომბარდირმა მოუკლო

უკრაინაში საჩემპიონო ბრძოლა დასკვნით სტადიაში შედის. პირველობის დასრულებამდე 7 ტურით ადრე კიევის "დინამოს" ფეხი დაუცდა (1:1 "ვორსკლასთან") და თუ დღეს "შახტარი" **ჯაბა კანკავას** "დნიპროს" მოუგებს, "დინამოს" ქულებით გაუთანაბრდება. კიეველთა მოულოდნელ ფრეში ქართველებს ბრალი არ მიუძღვით, რადგან ისინი მხოლოდ დუბლშემადგენლობაში თამაშობენ. დუბლებმა კი 3:0 მოიგეს. **ოთარ მარცვალაძე** გააფრთხილეს. "ჩერნომორეცი"-"ილიჩივეცის" მატჩში (2:1) ქართველები სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ: **ილია კანდელაკი** მასპინძელთა შორის, **გიორგი ციმაკურიძე** კი სტუმრებში.

ზაპოროჟიეში "მეტალურგმა" 2:0 დაამარცხა დონეცკის "მეტალურგი". მასპინძელთა კაპიტანმა **დავით კვირკველიამ** 90 წუთი ითამაშა, ხოლო **ირაკლი მოდებაძე** სათადარიგო იყო. სტუმართა განაცხადში არ ყოფილა **გიორგი დემეტრაძე**. უცნაურია, მაგრამ წინა ტურის გმირი **გიორგი ჭელიძე** "არსენალთან" მატჩში რეზერვისთვის გაიმეტეს. ეს თამაში "ზარიამ" 2:1 მოიგო. **ლაშა ჯაკობიამ** 62-ე წუთამდე ითამაშა. "კრიბასმა" შინ 0:3 წააგო "მეტალისტთან". **ლადო ბურდული** 68-ე წუთზე გამოჩნდა, **ვასილ გიგიაძე** კი, რომელიც უჩვეულოდ პასიური იყო, 78-ე წუთზე შეცვალეს.

## გოგუას ტრავმა სერიოზული არაა

იშვიათი შემთხვევაა, რომ რუსეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში მხოლოდ ორმა ჩვენებურმა არ ითამაშა: **მალხაზ ასათიანი** ჯერაც ტრავმას იშუშებს, ხოლო **ლევან გვაზავას**, უკვე მეორე ტურია, სათადარიგოებში ამწესებენ. ნალჩიკში, "სპარტაკისა" და "ლოკომოტივის" დაპირისპირება 0:0 მორჩა. ამ მატჩში **ალეკო ამისულაშვილმა** 90 წუთი დაჰყო მოედანზე. **დავით მუჯირის** გუნდი მოსკოვში "სპარტაკთან" დამარცხდა - 0:1. ქართველმა ნახევარმცველმა შეუცვლელად ითამაშა. ყველაზე მეტი ქართველი კი "სატურნი"-"რუბინის" (1:0) შეხვედრაში იყო: მასპინძელთა რიგებში **გოგიტა გოგუამ**, სტუმრებში კი **ლაშა სალუქვაძემ** და **ნუკრი რევიშვილმა** ითამაშეს.

"რუბინთან" მატჩში სატურნელი გოგუა ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იყო. მეორე ტაიმში მას ფეხი ატკინეს და მატჩი კოჭლობით ჩაამთავრა. თამაშის შემდეგ გოგუამ აღნიშნა, რომ ტრავმა სერიოზული არაა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ფრაიბურგთან მატჩში ლომაია ერთ-ერთი საუკეთესო იყო

| ფეხბურთელი | მატჩი | ანგ. | შენიშვნა | სეზ. სტატ. |
|---|---|---|---|---|
| **ინგლისი** | | | | |
| პრემიერლიგა, XXXV ტური | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ფულემი-ბლექბერნი | 1:1 | არ უთამაშია, სათადარიგო | 17 თ, 0 გ. |
| **იტალია** | | | | |
| სერია A, XXXIII ტური | | | | |
| კახა კალაძე | მილანი-კალიარი | 3:1 | 86 წუთი, გააძევეს | 15 თ, 1 გ. |
| **გერმანია** | | | | |
| ბუნდესლიგა, XXX ტური | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე-ენერგი | 2:0 | 17 წუთი (შეცვლაზე) | 25 თ, 3 გ. |
| II ბუნდესლიგა, XXX ტური | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი-კარლ ცაისი | 1:3 | 90 წუთი, პენალტი ვერ გაიტანა | 28 თ, 9 გ. |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი-კარლ ცაისი | 1:3 | არ უთამაშია, ტრავმა | 12 თ, 1 გ. |
| დავით სირაძე | აუე-ესენი | 0:0 | არ უთამაშია | 24 თ, 2 გ. |
| გიორგი ლომაია | ფრაიბურგი-კარლ ცაისი | 1:3 | 90 წთ, პენალტი აილო, გააფრთხ. | 11 თ, -11 გ. |
| მიხეილ აშვეთია | ფრაიბურგი-კარლ ცაისი | 1:3 | არ უთამაშია, ტრავმა | 9 თ, 4 გ. |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენი-კიოლნი | 3:1 | 90 წუთი, 1 გოლი | 17 თ, 1 გ. |
| **ჰოლანდია** | | | | |
| ერედივიზიე, XXXIII ტური | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი-ჰეერენვენი | 3:1 | 90 წუთი (შეცვალეს), 1 გოლი | 28 თ, 15 გ. |
| **საბერძნეთი** | | | | |
| სუპერლიგა, XXVIII ტური | | | | |
| ლევან ცქიტიშვილი | პანიონიოსი-პაოკ | 3:1 | 90 წუთი, საგოლე პასი | 17 თ, 2 გ |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი-ოფი | 4:1 | 90 წუთი, ავტოგოლი | 21 თ, 0 |
| **უკრაინა** | | | | |
| ვიშა ლიგა, XXXIII ტური | | | | |
| კახა ალადაშვილი | დინამო-ვორსკლა | 1:1 | არ უთამაშია, დუბლები | 6 თ, 0 გ. |
| ოთარ მარცვალაძე | დინამო-ვორსკლა | 1:1 | არ უთამაშია, დუბლები | 3 თ, 0 გ. |
| დავით იმედაშვილი | დინამო-ვორსკლა | 1:1 | არ უთამაშია, დუბლები | 16 თ, 4 გ. |
| ჯაბა კანკავა | შახტარი-დნიპრო | - | დღეს | 17 თ, 4 გ. |
| რევაზ ბარაბაძე | შახტარი-დნიპრო | - | დღეს | 3 თ, 0 გ. |
| ილია კანდელაკი | ჩერნომორეცი-ილიჩივეცი | 2:1 | არ უთამაშია, სათადარიგო | 17 თ, 0 გ. |
| გიორგი დემეტრაძე | მეტალურგი ზ.-მეტალურგი დ. | 2:0 | არ უთამაშია, სათადარიგო | 14 თ, 2 გ. |
| ლადო ბურდული | კრივბასი-მეტალისტი | 0:3 | 22 წუთი (შეცვლაზე) | 20 თ, 1 გ. |
| ვასილ გიგიაძე | კრივბასი-მეტალისტი | 0:3 | 78 წუთი (შეცვალეს) | 23 თ, 11 გ. |
| გიორგი ციმაკურიძე | ჩერნომორეცი-ილიჩივეცი | 2:1 | არ უთამაშია, სათადარიგო | 13 თ, 0 გ. |
| დავით კვირკველია | მეტალურგი ზ.-მეტალურგი დ. | 2:0 | 90 წუთი | 18 თ, 4 გ. |
| ირაკლი მოდებაძე | მეტალურგი ზ.-მეტალურგი დ. | 2:0 | არ უთამაშია, სათადარიგო | 18 თ, 3 გ. |
| გიორგი ჭელიძე | ზარია-არსენალი | 2:1 | არ უთამაშია, სათადარიგო | 5 თ, 1 გ. |
| ლაშა ჯაკობია | ზარია-არსენალი | 2:1 | 62 წუთი (შეცვა | 10 თ, 2 გ. |
| **რუსეთი** | | | | |
| პრემიერლიგა, VI ტური | | | | |
| გოგიტა გოგუა | სატურნი-რუბინი | 1:0 | 90 წუთი | 4 თ, 0 გ. |
| ნუკრი რევიშვილი | სატურნი-რუბინი | 1:0 | 90 წუთი | 2 თ, -2 გ. |
| ლაშა სალუქვაძე | სატურნი-რუბინი | 1:0 | 75 წუთი (შეცვალეს) | 3 თ, 0 გ. |
| დავით მუჯირი | სპარტაკი მ.-კრილია სოვეტოვი | 1:0 | 90 წუთი | 5 თ, 1 გ. |
| მალხაზ ასათიანი | სპარტაკი ნ.-ლოკომოტივი | 0:0 | არ უთამაშია, ტრავმა | 0 თ, 0 გ. |
| ალეკო ამისულაშვილი | სპარტაკი ნ.-ლოკომოტივი | 0:0 | 90 წუთი | 6 თ, 0 გ. |
| ლევან გვაზავა | სპარტაკი ნ.-ლოკომოტივი | 0:0 | არ უთამაშია, სათადარიგო | 4 თ, 0 გ. |
| **დანია** | | | | |
| სუპერლიგა, XXIII ტური | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | ვიბორგი-ოლბორგი | 0:2 | 90 წუთი | 7 თ, 0 გ. |



ინტერი მეთხუთმეტე სკუდეტოს ზეიმობს

იტალია. სერია A. XXXIII ტური

# როგორც იქნა: ინტერი ჩემპიონია!

## მანჩინი, კიდევ ოთხი წლით ნერაძურის სათავეში

არის, ნანატრი სკუდეტო! "ინტერი" იტალიის 15-გზის ჩემპიონია! "შავ-ლურჯი" მილანი ზეიმობს, 18-წლიანი მოლოდინის შემდეგ. "რომამ" ვალი დააბრუნა: ოთხშაბათს "სან სიროზე" მოიგო, მაგრამ ახლა ბერგამოში წააგო. სწორედ ეს უნდოდა "ინტერსაც", რომელმაც სიენაში 2:1 გაიმარჯვა და ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე ჩემპიონის ტიტული გაიფორმა. სიმბოლურია, რომ "ნერაძურის" ორივე გოლი **მარკო მატერაცim** გაიტანა. მატერაცი ამ "ინტერის" ყველაზე დიდი სიმბოლოა. ეს სკუდეტო კი, ყველა ინტერისტას სახელით, კლუბის ყველა დროის ყველაზე დიდ სიმბოლოს, **ჯაჩინტო ფაკეტის** მიეძღვნა. ნამატჩევს **მასიმო მორატიმ** მოულოდნელად გამოაცხადა, რომ კლუბმა **რობერტო მანჩინისთან** კონტრაქტი რამდენიმე დღის წინ უკვე გაუგრძელა. მანჩო კიდევ ოთხი წლით დარჩება "ნერაძურის" სათავეში...

სარეკორდო სვლის შემდეგ, ამ სკუდეტოს ეპილოგი ცოტათი მაინც ისეთი გამოვიდა, "ინტერის" ტრადიციას რომ შეეფერება: ორი ფრე, მერე წაგება "სან სიროზე", სადაც ყველა ზეიმისთვის იყო მისული. ეს სიენური გამარჯვებაც წვალებითა და დიდი ოფლისღვრით მოვიდა. მილანელებს დისკვალიფიცირებული **ადრიანო** და **ფიგუ** აკლდათ, **იბრაჰიმოვიჩი** ბოლომდე მზად არ იყო, მაგრამ მოედანზე მაინც გავიდა. სტუმრებმა პირველივე წუთიდან შეუტიეს და მე-18 წუთზე დაწინაურდნენ. "ინტერმა" კუთხური მოაწოდა, საჯარიმოში შექმნილ არეულობაში ბურთი მატერაცისთან აღმოჩნდა და მანაც ცაციათი უპრობლემოდ შეაგდო. მაგრამ ანგარიში ორ წუთში გათანაბრდა: **რინაუდომ** ბურთი თავით გადააგდო შორეულ ძელთან, სადაც ყველას **ნეგრომ** დაასწრო და თავითვე გაიტანა, 1:1. მეორე ნახევარში "ნერაძური" კიდევ უფრო დიდი ძალებით უტევდა, რადგან იცოდა, რომ "რომა" ბერგამოში აგებდა. მაგრამ "სიენა" თავს უშეცდომოდ იცავდა. ერთადერთი შეცდომა 58-ე წუთზე მეკარე **მანინგერს** მოუვიდა, როცა **კრუსი** საჯარიმოში მოცელა. მატერაციმ 11-მეტრიანი გაიტანა. მსაჯმა თავიდან დაარტყმევინა, ისიც გაიტანა, 2:1. დარჩენილ დროში იბრაჰიმოვიჩი დაშავდა და მის ნაცვლად **დაკური** შევიდა. მერე **მაიკონმაც** ტრავმა მიიღო და მოედნიდან გავიდა, ამ დროისთვის მანჩინის ყველა ცვლილება გამოყენებული ჰქონდა და "ინტერი" ბოლო ათ წუთში ათი კაცით დარჩა, მაგრამ ეს უკვე ვილას ახსოვს...

გასულ ოთხშაბათს "რომამ" 'სან სიროზე" სპექტაკლი დადგა, "ინტერს" 3:1 მოუგო და ზეიმი ჩაუშხამა, მაგრამ, როგორც ჩანს, რომაელებმა მხოლოდ კაპრიზი დაიკმაყოფილეს, თან ყველას აჩვენეს, "ინტერზე" ნაკლები არაფრით ვართო. ბერგამოში გასვლის წინ კი **ლუჩანო სპალეტიმ** უცებ მომავალ სეზონზე დაიწყო ლაპარაკი, რითაც თითქოს აღიარა, რომ ეს ჩემპიონატი მისთვის დასრულებული იყო და "შავ-ლურჯებისთვის" ნერვების შლის სურვილი აღარ ჰქონდა. ასე უმოტივაციო და დანებებული გავიდა "ჯალოროსი" ბერგამოს "ატლეტი აძურიზე", თან ოთხი ლიდერის გარეშე: **მექსე, პისარო** და **მანსინი** დისკვალიფიცირებულები იყვნენ, **ტოტის** მსუბუქი ტრავმა ჰქონდა და ისვენებდა. "ატალანტამ" მატჩის ბედი 7-წუთიან მონაკვეთში გადაწყვიტა. 37-ე წუთზე ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს **დონიმ** ახლო მანძილიდან თავი შეახვედრა და მოგვარე ბრაზილიელს მარცხენა კუთხეში გაუტანა. 44-ე წუთზე მასპინძლებმა **ძამპანიას** ევროგოლით გააორეს: ბერგამოელთა ცენტრფორვარდმა ბურთი წვეტით წამოიდგო, მერე კი შემოტრიალებით ამოსცხო და "ცხრიანში" გაახვია. მეორე ნახევარში "რომას" მთელი პასუხი **პეროტას** პრესტიჟის გოლი იყო: 66-ე წუთზე **ვუჩინიჩმა** კარის გასწვრივ გადააწოდა და პეროტამ ცარიელ კარში კომფორტულად მოათავსა, 2:1.

კვირის დარჩენილ შეხვედრებში მნიშვნელოვანი და მოულოდნელი იყო "ფიორენტინას" გამარჯვება სტუმრად "ლაციოსთან". ზედიზედ რვა მოგების შემდეგ რომაელებს ჩავარდნა დაეწყოთ. **დელიო როსის** გუნდმა ორ აუტსაიდერთან ორი ფრე ითამაშა, ახლა კი წააგო და "მილანს" ერთი ქულითღა უსწრებს. შეხვედრის ბედი 71-ე წუთზე გადაწყდა: **პერუცი** გამოსვლაზე შეცდა, ამით კარგად ისარგებლა **იორგენსენმა** და კარის სიახლოვეს ჩააწოდა, სადაც **მუტუმ** მცველს დაასწრო და თავით გამარჯვების გოლი გაიტანა. "ვიოლა" უეფას თასის საგზურისთვის ბრძოლაში ჩაება.

"ლივორნო" კაპიტან **ლუკარელის** გოლით ვერონაში იგებდა, მაგრამ "კიევომ" ძალები მოიკრიბა და ბრწყინვალედ ჩატარებული მეორე ტაიმის ხარჯზე უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოიპოვა. ზედიზედ სამი წაგების შემდეგ "ტორინომ" იმდენი შეძლო, რომ ემპოლიდან ქულა წამოეღო და მასპინძლებისთვის უეფას საგზურისთვის ბრძოლაში საქმე გაეფუჭებინა. "რეჯინამ" "უდინეზესგან" პირველ ნახევარში მიღებული გოლის შემდეგ ბევრი იწვალა და 85-ე წუთზე რეალიზებული 11-მეტრიანის წყალობით წაგებას გადაურჩა.

ახლა შაბათის შეხვედრების შესახებ. "მილანი" აღარ ჩერდება: ზედიზედ მეოთხე გამარჯვება ჩემპიონატში, მესამე 3:1. მილანისტები თვლიან, რომ ეს ანგარიში კარგის მომასწავებელია მანჩესტერის სუპერთამაშის წინ. 3:1 მოიგო "როსონერომ" სამი კვირის წინ "ემპოლისთანაც", რასაც მიუნხენში გამარჯვება და ნახევარფინალში გასვლა მოჰყვა. სწორედ "ემპოლისთან" იპოვა **ანჩელოტის** გუნდმა დაკარგული თამაში და მას შემდეგ ყველას ანადგურებს. ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე ძნელად წარმოსადგენია, რომ "მილანს" მეოთხე ადგილი ვინმემ დააკარგვინოს. ერთი სიტყვით, სახლში ყველაფერი კარგადაა, ახლა ევროპას მივხედოთ...

იმ დროს, როცა უძლიერესი შემადგენლობით მოთამაშე "მანჩესტერ იუნაიტედმა" მოკრძალებულ "მიდლსბროსთან" შინ ორი ქულა დაკარგა (1:1) და გაჩემპიონების საქმე ძალიან გაირთულა, "მილანმა" დიდი ძალები დაზოგა და დასაწყისში მხოლოდ ორი ისეთი მოთამაშით წარდგა, ვინც სამშაბათს "ოლდ ტრეფორდზე" აუცილებლად იქნება: კაპიტანი **გატუზო** და **ზეედორფი**, რომელიც **კაკას** მაგივრად გამთამაშებლის პოზიციაზე თამაშობდა. ჰოლანდიელის იყო პირველი დარტყმა, როცა სტუმრების კარს ბურთი ოდნავ ასცდა. მასვე ეკუთვნოდა ის გრძელი გადაცემა, რომელსაც მე-14 წუთზე პირველი გოლი მოჰყვა. მაგრამ აქ "მილანის" მთელი კონტრშეტევაა აღსანიშნავი, რადგან ყველაფერი მასპინძლების ნახევარზე, კუთხურის ალამთან დაიწყო: **ფავალიმ** და **გურკუფმა** კენწვლის პატარა გაკვეთილი ჩაუტარეს სარდინიელ **მარკინის**, ფრანგმა ცენტრში გადააწოდა ზეედორფს, რომელიც ცენტრისკენ დაიძრა და მოულოდნელად მარჯვენივ გადააწოდა **კაფუს**, რომელსაც ამასობაში კარგი 70 მეტრი გაერბინა. ბრაზილიელმა **დელ გროსოს** ბურთი ვარდნაში აართვა (თუმცა ჩანაწერმა აჩვენა, რომ წესების დარღვევით), სწრაფად წამოდგა და კარის გასწვრივ ჩაუწოდა **რონალდოს**, რომელმაც ფეხის უბრალო დახვედრებით გაიტანა, 1:0. სარდინიელების რეაქცია არ ჩანდა, "კალიარი" ის გუნდი იყო, რომელმაც იცის, რომ განწირულია. ნახევარდაცვაში გატუზო და ზეედორფი შეუჩერებლები იყვნენ, თუმცა მათ არც **პირლოს** ნაცვლად მოთამაშე **ბროკი** ჩამორჩებოდა და დრო და დრო გატანასაც კი ცდილობდა. ერთადერთი, ვინც მასპინძელთაგან ვერა და ვერ გაიხსნა, **ოლივეირა** იყო. ერთ ეპიზოდში ბრაზილიელმა მეკარე **კიმენტის** ისეთი პოზიციიდან გაარტყა ბურთი, საიდანაც რონალდო, **ჯილარდინო** ან **ინძაგი** თვალდახუჭული გაიტანდნენ.

"მილანს" უპირატესობის განმტკიცება სჭირდებოდა და ამას განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე მიაღწია. 69-ე წუთზე ბროკისთვის მოგერებული ბურთი კაფუმ მარჯვნიდან ისევ საჯარიმოში ჩააბრუნა, რონალდომ კი, თავის მაგივრად, ნახტომში მკერდით დაარტყა და სეზონში მეორედ დუბლი გაიფორმა. ამის შემდეგ **კალაძემ** საჯარიმოში **კაპონე** წააქცია და 11-მეტრიანი **სუასომ** გოლად აქცია, 2:1. ანჩელოტიმ ცვლილებებს მიმართა: გატუზოსა და ზეედორფის ნაცვლად **ამბროზინი** და პირლო გამოიყვანა. სწორედ პირლომ დასვა საბოლოო წერტილი, მას შემდეგ, რაც უზადოდ შესრულებული ჯარიმით ბურთი "ცხრიანში" გაახვია. დარჩენილ დროში დასამახსოვრებელი არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით 86-ე წუთის ეპიზოდს, როცა კალაძემ, კაპონეს ხელით შეჩერებისთვის, მეორე გაფრთხილება მიიღო და მოედნის დატოვება მოუწია. "მილანმა" თამაში მშვიდად ჩაამთავრა და მშვიდადვე მიემგზავრება ნისლიან ალბიონზე. მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ, ეს თამაში არცერთ მილანისტას აღარ ახსოვდა, ყველა "მანჩესტერზე" ლაპარაკობდა. ვიცე-პრეზიდენტმა **გალიანიამ** მოკლედ თქვა: *"არ ვიცი რას ვიზამთ მანჩესტერში, მაგრამ ვიცი, რომ "მილანი" დიდებულ ფორმაშია".*

რამდენიმე საათით ადრე "სამპდორიამ" გაჭირვებულ "მესინას" მოუგო და კიდევ ერთი ნაბიჯი გადაადგმევინა სერია B-სკენ. სიცილიური გუნდისთვის ეს ზედიზედ მეექვსე მარცხია, თუმცა არც გენუელებს ედგათ კარგი დროება. წინა კვირას **ნოველინოს** გუნდი რომში 0:4-ზე განადგურდა, ოთხშაბათს კი უდინეში წააგო (0:1). "სამპს" ტიფოზების თვალში რეაბილიტაცია სჭირდებოდა და ამიტომ მეტოქეს პირველი წუთიდანვე ეძგერა. 13-ე წუთზე **ციგლერმა** ეფექტური დარტყმით ბურთი "ცხრიანში" გაიტანა, 1:0. გენუელებმა პირველ ნახევრში არაერთი საგოლე მომენტი გაუშვეს ხელიდან, რისთვისაც მეორე ტაიმის დასაწყისში დაისაჯნენ: სიცილიელთა ვეტერანმა ბომბარდირმა **რიგანომ** ახლო მანძილიდან გაათანაბრა. მასპინძლები დაიბნენ და მალე კინაღამ მეორე ბურთი მიიღეს. მხოლოდ უკანასკნელ წუთებზე შეძლო "სამპმა" მეტოქის გატეხვა და **ფრანჩესკინისა** და **დელვეკიოს** ლამაზი გოლებით თავისას მაინც მიაღწია.

### მომდევნო ტური

**28 აპრილი. ტორინო-მილანი, ფიორენტინა-კიევო. 29 აპრილი. მესინა-ატალანტა, ასკოლი-რეჯინა, ლივორნო-პალერმო, რომა-ლაციო, უდინეზე-კატანია, პარმა-კალიარი, სიენა-სამპდორია, ინტერი-ემპოლი.**

### სამპდორია-მესინა 3:1

**სამპდორია:** კასტელაცი-6, კ. ძენონი-6 (63. პაროლა-6), სალა-6, ფალკონე-6 (78. დ. ფრანჩესკინი-6.5), პიერი-6, მაჯო-6, ვოლპი-6, პალომბო-6, ციგლერი-6.5, ბაძანი-5.5, რომეო-5.5 (59. ჯ. დელვეკიო-6.5).

**მესინა:** პაოლეტი-6, ლავეკია-5.5, იულიანო-5.5, ძანკი-5.5, ჯალომბარდო-5.5 (51. კორდოვა-6.5), ალვარესი-6, დე ვეცე-5.5 (84. დი ნაპოლი-შ.გ), კანდელა-6, მაზიელო-6, ფლოკარი-5.5 (71. რეა-შ.გ), რიგანო-7.

**გოლები:** 1:0 ციგლერი (13), 1:1 რიგანო (54), 2:1 დ. ფრანჩესკინი (83), 3:1 ჯ. დელვეკიო (89)

**გაფრთხილება:** 4-4; **კუთხური:** 11-2; **ჯარიმა:** 19-18; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 17-11 (12-5); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 15 000

### მილანი-კალიარი 3:1

**მილანი:** კალაჩი-6, კაფუ-7, კალაძე-4, ფავალი-6, შიმიჩი-5.5, გურკუფი-6.5 (81. იანკულოვსკი-შ.გ), ბროკი-6, ზეედორფი-6 (67. პირლო-6.5), გატუზო-6.5 (67. ამბროზინი-6), ოლივეირა-6, რონალდო-7.

**კალიარი:** კიმენტი-5, ლოპესი-5.5, კანინი-5, ფ. პიზანო-5 (89. სემედუ-შ.გ), დელ გროსო-5.5, ბუდელი-5.5, ა. დ'აგოსტინო-5 (68. ლანჯელა-5.5), კაპონე-5, კონტი-6, მარკინი-6 (77. პეპე-შ.გ), სუასო-6.

**გოლები:** 1:0 რონალდო (14), 2:0 რონალდო (69), 2:1 სუასო (74-პენ), 3:1 პირლო (80)

**გაძევება:** კალაძე (86. მილანი)

**გაფრთხილება:** 0-3; **კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 23-13; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 19-8 (12-4); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 38 000

### სიენა-ინტერი 1:2

**სიენა:** მანინგერი-6.5, რინაუდო-6.5, ა. როსი-5, გასტალდელო-6, ნეგრო-6, ერიომენკო-6, გალოპა-6.5 (76. ანტონინი-6), ალბერტო-4 (66. ფრიკი-5), ვერგასოლა-6, კიეზა-5 (80. კოცა-6), კორვია-5.5.

**ინტერი:** ჟულიო სეზარი-5, მაიკონი-6, კორდობა-5, მატერაცი-7, ბურდისო-5.5 (51. მაქსველი-6), ხ. ძანეტი-6.5, სოლარი-6.5 (62. რეკობა-5), სტანკოვიჩი-5.5, კამბიასო-6, იბრაჰიმოვიჩი-5 (70. დაკური-6), კრუსი-5.5.

**გოლები:** 0:1 მატერაცი (18), 1:1 ნეგრო (21), 1:2 მატერაცი (60-პენ)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 6-7; **ჯარიმა:** 21-21; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 13-17 (6-10); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 9 500

### ატალანტა-რომა 2:1

**ატალანტა:** კალდერონი-6, კაროციერი-6, პერეირა ადრიანო-6, რივალტა-6, ტალამონტი-6, კ. დონი-7 (85. დეფენდი-შ.გ), მილიაჩო-6, პინტუ-6.5, არიატი-6.5, დონატი-6 (78. ტისონე-შ.გ), ძამპანია-7 (60. ვიერი-6).

**რომა:** ა. დონი-5.5, პანუჩი-5.5 (69. კასეტი-შ.გ), მ. ფერარი-6, ტონეტო-6 (86. ოკაკა ჩუკა-შ.გ), კივუ-6, ტადეი-6, პეროტა-6, ვილჰელმსონი-5.5 (75. როზი-შ.გ), დე როსი-7, ვუჩინიჩი-6, ტავანო-5.

**გოლები:** 1:0 კ. დონი (37), 2:0 ძამპანია (44), 2:1 პეროტა (64)

**გაძევება:** მ. ფერარი (90. რომა)

**გაფრთხილება:** 3-4; **კუთხური:** 1-10; **ჯარიმა:** 22-23; **თამაშგარე:** 7-2; **კარში დარტყმა:** 14-22 (7-13); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 12 500

### ლაციო-ფიორენტინა 0:1

**ლაციო:** პერუცი-6, სივილია-6, ბონეტო-6.5, დიაკიტი-6, ბელერი-5.5 (78. დე სილვესტრი-6), მანფრედინი-6.5 (83. ტარე-შ.გ), ხიმენესი-5.5 (74. პანდევი-6), მუტარელი-6, ლედესმა-6, როკი-6.5, მაკინვა-6.

**ფიორენტინა:** ფრეი-7, დაინელი-6, პასკუალი-6, გამბერინი-6, პოტენცა-5.5, მონტოლივო-5.5, იორგენსენი-6.5, პაციენცა-5.5, ლივერანი-6 (76. ბლაზი-შ.გ), ტონი-5 (63. პაცინი-6), მუტუ-6 (80. რეჟინალდო-შ.გ).

**გოლი:** 0:1 მუტუ (71)

**გაფრთხილება:** 2-4; **კუთხური:** 11-2; **ჯარიმა:** 18-28; **თამაშგარე:** 8-3; **კარში დარტყმა:** 29-12 (19-5); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 25 723

### ემპოლი-ტორინო 0:0

**ემპოლი:** ბასი-6, პრატალი-5.5 (61. მარძორატი-6), ლუკინი-6 (75. ასკოლი-5.5), ვანილი-6, რაჯი-6, დ. მორო-6, ბუშე-6, ვანუკი-6, ალმირონი-6, საუდატი-6 (70. მარიანინი-6), პოცი-5.5.

**ტორინო:** აბიატი-6, ი. ფრანჩესკინი-6, ბალესტრი-6, ო. ბრევი-6, კომოტო-6, ფ. კოკო-5 (59. მარტინელი-6), ლაზეტიჩი-6, დე აშენტისი-6, როზინა-6.5, ბარონე-6 (84. მუცი-შ.გ), აბრუსკატო-5 (46. სტელონე-6).

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 9-1; **ჯარიმა:** 19-20; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 16-9 (6-5); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 5 000

### რეჯინა-უდინეზე 1:1

**რეჯინა:** კამპანიოლო-6, ლანძარო-6, ა. ლუკარელი-6, მოდესტო-5 (39. ფოჯა-6), არონიკა-6, ჯაკ. ტედესკო-6, ვიჯანი-5.5 (72. გაცი-6), მესტო-5.5, ამერინი-5.5 (50. ტონიოცი-5), ბიანკი-5, ამორუზო-6.5.

**უდინეზე:** დე სანკტისი-6, ზაპოტოჩნი-6, დოსენა-6, ნატალი-6.5, მოტა-6, საპატა-6, მუნტარი-6.5 (76. ზივოკი-5), გ. დ'აგოსტინო-6.5, პინცი-6.5, დი ნატალე-6.5 (65. ბარეტო-6), იაკუინტა-6.

**გოლები:** 0:1 მუნტარი (26), 1:1 ამორუზო (85-პენ)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 12-32; **თამაშგარე:** 8-2; **კარში დარტყმა:** 8-16 (4-6); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 14 000

### კიევო-ლივორნო 2:1

**კიევო:** სკუიცი-8, მანტოვანი-6.5, ლანა-6, მანდელი-6, სემიოლი-6 (67. ბოგდანი-7), ბრიგი-5 (26. მალაგო-6.5), იტალიანო-5.5 (75. ტროიანო-შ.გ), სამარკო-6, ლუსიანო-6, ობინა-6, პელისიე-6.5.

**ლივორნო:** ამელია-7, რეზაეი-5.5 (40. კუფური-5.5), პავანი-5.5, პასკუალე-5, გრანდონი-5, სეზარ აპარესიდო-5.5 (58. პფერტცელი-შ.გ), ა. ფილიპინი-6.5, ფიორე-5, კოპოლა-6.5 (67. ბალერი-შ.გ), პასონი-5.5, კ. ლუკარელი-6.5.

**გოლები:** 0:1 კ. ლუკარელი (18), 1:1 პელისიე (55), 2:1 ბოგდანი (76)

**გაფრთხილება:** 3-5; **კუთხური:** 11-6; **ჯარიმა:** 17-24; **თამაშგარე:** 0-9; **კარში დარტყმა:** 18-12 (11-10); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 5 765

### პალერმო-პარმა 3:4

**პალერმო:** ა. ფონტანა-5.5, ძაკარდო-6, ბარძალი-5.5, მ. პიზანო-4.5, კაფარი-5.5, გუანა-5.5, სიმპლისიუ-5.5, ბრეშანო-5.5, კორინი-5 (76. ბრიენცა-შ.გ), დი მიკელე-5 (62. ბიავა-6), კარაჩოლო-5.

**პარმა:** ბუჩი-6, კოლი-6, ფერნანდო კოუტუ-6.5, კონტინი-6, კასტელინი-6, პარავიჩინი-6 (67. გრელა-6), ჩიგარინი-6.5, დესენა-6, ჯ. როსი-7, ბუდანი-5.5 (54. მორფეო-6), მუსლიმოვიჩი-6 (61. გასბარონი-7).

**გოლები:** 0:1 ბუდანი (25), 1:1 ბრეშანო (36), 2:1 დი მიკელე (45-პენ), 2:2 ფერნანდო კოუტუ (47), 2:3 გასბარონი (71), 2:4 ჯ. როსი (80), 3:4 ძაკარდო (90)

**გაძევება:** მ. პიზანო (58. პალერმო)

**გაფრთხილება:** 4-2; **კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 15-19; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 22-22 (10-16); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 19 000

### კატანია-ასკოლი — *ხვალ*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 33 | 26 | 6 | 1 | 68-29 | 84 |
| 2. რომა | 33 | 20 | 8 | 5 | 66-26 | 68 |
| 3. ლაციო | 33 | 17 | 9 | 7 | 54-27 | 57 |
| 4. მილანი | 33 | 18 | 10 | 5 | 53-30 | 56 |
| 5. ემპოლი | 33 | 13 | 11 | 9 | 35-31 | 50 |
| 6. პალერმო | 33 | 13 | 10 | 10 | 49-43 | 49 |
| 7. ფიორენტინა | 33 | 18 | 8 | 7 | 53-28 | 47 |
| 8. უდინეზე | 33 | 11 | 10 | 12 | 42-45 | 43 |
| 9. ატალანტა | 33 | 10 | 12 | 11 | 47-46 | 42 |
| 10. სამპდორია | 33 | 11 | 9 | 13 | 40-42 | 42 |
| 11. ლივორნო | 33 | 8 | 12 | 13 | 35-49 | 36 |
| 12. სიენა | 33 | 7 | 14 | 12 | 29-37 | 34 |
| 13. კალიარი | 33 | 7 | 13 | 13 | 28-38 | 34 |
| 14. ტორინო | 33 | 8 | 9 | 16 | 25-43 | 33 |
| 15. კატანია | 32 | 8 | 9 | 15 | 38-61 | 33 |
| 16. კიევო | 33 | 7 | 11 | 15 | 35-44 | 32 |
| 17. პარმა | 33 | 7 | 11 | 15 | 32-52 | 32 |
| 18. რეჯინა | 33 | 10 | 12 | 11 | 43-44 | 31 |
| 19. მესინა | 33 | 5 | 9 | 19 | 31-58 | 24 |
| 20. ასკოლი | 32 | 3 | 11 | 18 | 26-56 | 20 |

**ბომბარდირები:** 21 - ტოტი (რომა); 18 - კ. ლუკარელი (ლივორნო); 17 - ბიანკი (რეჯინა); 16 - ტონი (ფიორენტინა); 15 - იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), მუტუ (ფიორენტინა), როკი (ლაციო); 14 - იაკუინტა (უდინეზე), რიგანო (მესინა); 13 - კ. დონი (ატალანტა), სპინეზი (კატანია), სუასო (კალიარი).

## სერია B

XXXV ტური

**იუვენტუსი-ჯენოა 3:1**

იუვენტუსი: ბუფონი, ბირინდელი (59. ბუმსონგი), ლეგროტალიე, ძებინა, კიელინი, კამორანეზი (67. მარკიონი), მარკიზო, ჯანიკედა, ნედვედი, დელ პიერო (90. სალაიეტა), ტრეზეგე.

გოლები: 1:0 ნედვედი (19), 2:0 კიელინი (38), 2:1 დი ვაიო (45), 3:1 ტრეზეგე (66)

**ბოლონია-ვერონა 2:0**

გოლები: 1:0 ფანტინი (39), 2:0 მეგნი (89)

**ბრეშა-ლეჩე 1:0**

გოლი: 1:0 ჰამსიკი (38)

**ფროზინონე-ნაპოლი 1:2**

გოლები: 1:0 კასტილიო (62), 1:1 სოსა (67), 1:2 ტროტა (89)

**პესკარა-არეცო 1:2**

გოლები: 0:1 კროჩე (10), 0:2 კაპელი (42), 1:2 მარტინი (80)

**პიაჩენცა-კროტონე 2:1**

გოლები: 0:1 ლოპესი (45), 1:1 სიმონი (65), 2:1 დეგანო (76-პენ)

**სპეცია-ტრიესტინა 2:2**

გოლები: 0:1 ალეგრეტი (2), 0:2 მარკეზეტი (7), 1:2 კუადრი (11), 2:2 გუიდეტი (90)

**ტრევიზო-მოდენა 1:1**

გოლები: 1:0 ფავა (72), 1:1 პინარდი (90-პენ)
გაძევება: ჯისი (80. ტრევიზო)

**ვიჩენცა-რიმინი 1:1**

გოლები: 1:0 შვოხი (39), 1:1 მოსკარდელი (87)

**ჩეზენა-ალბინოლეფე** — დღეს

**ბარი-მანტოვა** — დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 34 | 23 | 9 | 2 | 66-22 | 69 |
| 2. ნაპოლი | 34 | 16 | 14 | 4 | 43-26 | 62 |
| 3. ჯენოა | 34 | 18 | 7 | 9 | 53-37 | 61 |
| 4. ბოლონია | 34 | 16 | 8 | 10 | 41-32 | 56 |
| 5. რიმინი | 34 | 14 | 13 | 7 | 44-27 | 55 |
| 6. მანტოვა | 33 | 12 | 17 | 4 | 40-26 | 53 |
| 7. პიაჩენცა | 34 | 16 | 5 | 13 | 45-42 | 53 |
| 8. ბრეშა | 34 | 13 | 10 | 11 | 36-37 | 49 |
| 9. ალბინოლეფე | 33 | 9 | 18 | 6 | 34-29 | 45 |
| 10. ჩეზენა | 33 | 12 | 9 | 12 | 43-48 | 45 |
| 11. ლეჩე | 34 | 12 | 6 | 17 | 41-45 | 42 |
| 12. ფროზინონე | 34 | 10 | 12 | 12 | 35-42 | 42 |
| 13. ვიჩენცა | 34 | 10 | 11 | 13 | 36-34 | 41 |
| 14. ტრიესტინა | 34 | 10 | 12 | 12 | 29-39 | 41 |
| 15. ტრევიზო | 34 | 9 | 13 | 12 | 34-37 | 40 |
| 16. ბარი | 33 | 9 | 12 | 12 | 28-32 | 39 |
| 17. ვერონა | 34 | 9 | 11 | 14 | 22-32 | 38 |
| 18. მოდენა | 34 | 8 | 10 | 16 | 29-38 | 34 |
| 19. სპეცია | 34 | 7 | 13 | 14 | 36-48 | 34 |
| 20. კროტონე | 34 | 6 | 11 | 17 | 28-52 | 29 |
| 21. არეცო | 34 | 6 | 14 | 14 | 27-38 | 26 |
| 22. პესკარა | 34 | 5 | 9 | 20 | 27-54 | 23 |

**ბომბარდირები:** 16 - დელ პიერო (იუვენტუსი); 14 - ბელუჩი (ბოლონია), კაჩა (პიაჩენცა); 12 - კალაიო (ნაპოლი), პაპა ვაიგო (ჩეზენა); 10 - ჟედა (რიმინი), ლოდი (ფროზინონე), მარაცინა (ბოლონია), შვოხი (ვიჩენცა), ტრეზეგე (იუვენტუსი).

## სერია C/1

XXXI ტური

მასეზე-კრემონეზე 1:1; გროსეტო-ვენეცია 0:0; პიზა-სანჯოვანეზე 1:0; ჩიტადელა-პროპატრია 2:1; ნოვარა-პისტოიეზე 0:3; პიციგეტონე-პავია 3:0; პრო სესტო-პადოვა 0:0; სასუოლო-მონცა 2:2; ლუკეზე-ივრეა 4:1.

## სერია C/2

XXXI ტური

**იუვე სტაბია-კავეზე 0:0; ანკონა-ჯულიანოვა 3:0; ტერამო-ლანჩანო 0:0; პერუჯა-მანფრედონია 2:0; გალიპოლი-რავენა 1:1; მარტინა-სამბენედეტეზე 2:0; აველინო-სან მარინო 2:1; სალერნიტანა-ტარანტო 0:1; ფოჯა-ტერნანა 1:0.**

გერმანია. ბუნდესლიგა. XXX ტური

# ბაიერნი ლიგის მიღმა?

## რეკორდმაისტერს სრული ფიასკო ემუქრება...


ბაიერნი ნირწამხდარია

„ბაიერნის" პრეზიდენტმა **ფრანც ბეკენბაუერმა** ერთხელ (არც ისე დიდი ხნის წინათ) უეფას თასს დამარცხებულთა ტურნირი უწოდა. თან ეს ისე დამცინავად თქვა, რომ ფაქტობრივად უეფას თასის ყველა მონაწილე შეურაცხყო. როცა ამას ამბობდა, კაიზერ-ფრანცი ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა, რომ ოდესმე მის „ბაიერნსაც" მოუწევდა უეფას თასის საგზურით დაკმაყოფილება. შაბათის შემდეგ ძალიან დიდი შანსია, რომ მუდამ პირველი ადგილისთვის ბრძოლას მიჩვეულმა რეკორდმაისტერმა, რომელიც ხშირად რამდენიმე ტურით ადრე ინაღდებდა ხოლმე ჩემპიონობას, ჩემპიონთა ლიგის საგზური ვერ მოიპოვოს და „დამარცხებულთა ტურნირს" დასჯერდეს.

სენსაცია მოხდა! „შტუტგარტმა" „ბაიერნი" 2:0 დაამარცხა და ახლა უკვე 5 ქულით უსწრებს. შეგახსენებთ, რომ სეზონის დასრულებამდე მხოლოდ და მხოლოდ 4 ტურია დარჩენილი. „ბაიერნი" უეფას თასზე – როგორი წარმოსადგენია? ამის წარმოდგენა საფინალო სასტვენის შემდეგ ალბათ **ოტმარ ჰიტცფელდსაც** ძალიან უჭირდა. როცა „გოტლიბდაიმლერშტადიონის" ტაბლომ საბოლოო ანგარიში (2:0) დააფიქსირა, „გენერალი" არ ამდგარა – სახე ხელებში ჩარგო და ალბათ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ სწორედ ის წარმოიდგინა, რაზეც ზემოთ ვსაუბრობდით – „ბაიერნი" უეფას თასზე. ჰიტცფელდის წინ სიხარულისგან ჭკუადაკარგული შტუტგარტელები ცეკვავდნენ. ცხადია, რომ იმ მომენტში მათ ჩემპიონთა ლიგის ჰიმნი ჩაესმოდათ. მოკლედ, შვაბებმა აბსოლუტურად დამსახურებულად მოიგეს „მატჩი მესამე ადგილისათვის", „ბაიერნს" კი უდიდესი სირცხვილი ელის – აკი, ჰიტცფელდი მატჩის წინ ამბობდა, ამ შეხვედრაში სასწორზე ჩვენი სიამაყე და პრესტიჟი დევსო. ამ „ბაიერნს" ორივე დაკარგული აქვს. ჩემპიონთა ლიგას მეოთხედფინალში გამოეთიშნენ, გერმანიის თასს მერვედფინალში (ალემანიასთან), ჩემპიონობის კანდიდატებად კი მხოლოდ თითო ოროლა ოპტიმისტი თუ რაცხავდა მიუნხენურ კლუბს, შაბათის შემდეგ კი ნათლად ჩანს, რომ „ბაიერნმა" წელს ყველაფერი წააგო. ბავარიელებს ახლა ძალიან უნდა გაუმართლოთ, სამეულში რომ მოხვდნენ.

*„ჩემპიონები ველარ გავხდებით, თუმცა „შტუტგარტს", როცა იქნება, აუცილებლად გადავასწრებთ!"* – ეს ჰიტცფელდის სიტყვებია, 3 მარტს ნათქვამი. გაგეცინათ, არა? ნაწილობრივ ჰიტცფელდის ბრალიც იყო ის, რაც შაბათს „ბაიერნს" დაემართა: სამი თავდამსხმელით ვითამაშებო, ამბობდა, მაგრამ ვერ გარისკა; ენდო **როკე სანტა კრუსს**, თანაც ნახევარდაცვაში ათამაშა, რაც დიდი შეცდომა გახლდათ; კვლავ ენდო **პოდოლსკისაც**, რომელმაც საშინელი, ამაზრზენი შთაბეჭდილება დატოვა და საბოლოოდ რა? მე-9 წაგება მიმდინარე სეზონში!

*„საშიშ, სავალალო მდგომარეობაში აღმოვჩნდით. არაფერი გამოგვივიდა, თითქმის ყველა ორთაბრძოლა წავაგეთ და არ ვიბრძოლეთ. იქნებ სტრესის ბრალია ეს ყველაფერი? წესითა და რიგით, „ბაიერნი" ახლა პირველი ადგილისთვის უნდა იბრძოდეს,"* - უიმედო და ქომაგთათვის შემაძრწუნებელი გახლდათ ოტმარის კომენტარი.

რაც შეეხება გოლებს: **კაკაუმ კანი** 93 წამში ორჯერ დაამწუხრა. 23-ე წუთი: **ვან ბომელის** არაზუსტი პასი, **ოსორიომ** საჯარიმოში ჩაკიდა, **ლელს** ბურთის მოგერიება სურს, მაგრამ პირდაპირ კაკაუს უმიზნებს თავში, საიდანაც ბურთი კანის კარში გადის. ჰიტცფელდი: *„ეს ფაქტობრივად ავტოგოლი იყო!"* 25-ე წუთი: **ვან ბუიტენი** ხელს ვერ უშლის **ხედირას**, რომელიც მარჯვენა ფლანგიდან აწოდებს, **ლუსიო** და ლელი კაკაუს ვერაფერს უპირისპირებენ – 2:0.

*„აღარ მახსოვს, ბოლოს ასე საშინლად როდის ვითამაშეთ. ისევე დაგვემართა, როგორც „მილანთან" – გოლი გავუშვით და უცებ წელში გადავტყდით. თამაშის გაგრძელების სურვილი აღარ მქონდა,"* – ამბობდა კანი ნამატჩევს. მაგრამ ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა ყველაზე მაგრად **სალიჰამიჯიჩი** გააკრიტიკეს, აი, ამ სიტყვების გამო: *„როცა ასეთ ამინდში 0:2-ს აგებ, რა გასაკვირია, რომ ველარ მოიგებ."* ბრაცოს ფეხებზე ჰკიდია, მაინც „იუვენტუსში" მიდის...

„ბაიერნი" ასეთი თამაშების წაგებას მიჩვეული არაა და არცაა გასაკვირი, მიუნხენელებმა ბოლმის ამონთხევა სხვაგვარად რომ სცადეს. პოდოლსკიმ ისევ ივაჟკაცა და **ლუდოვიკ მანინს** ზურგით ისე შეასკდა, რომ ბილდელებმა ცხენი უწოდეს. პოლდი გაძევებას იმსახურებდა, მაგრამ მსაჯმა **მარკუს მერკმა** დაინდო. ფეარ პლეის პრინციპები ისევ დაივიწყა ვან ბომელმა – ჯერ იყო და **ჰილბერტი** უკნიდან ისე მოცელა, რომ არავის ეგონა, ეს უკანასკნელი ფეხზე წამოდგომას რომ შეძლებდა, მერე კი **პარდოს** ჩაარტყა იდაყვი, მაგრამ მერკმა არც ჰოლანდიელი გააძევა. თუმცა ვან ბომელი აუცილებლად დაისჯება. კანმა კი თავისი კეპი ფოტოგრაფებს ესროლა. რა დრო დაუდგა „ბაიერნს"...

...„ვერდერმა" პარასკევს „ალემანია" დაამარცხა (3:1) და „შალკე" ზეწოლის ქვეშ მოაქცია. მართალია, ბრემენელებმა, ყველასათვის მოულოდნელად, პირველი ტაიმი წააგეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისეთი თამაში იყო, რომ „მუსიკოსთა" გამარჯვებაში ეჭვი არავის შეეპარებოდა. აახენელებმა „ვეზერშტადიონზე" ანგარიში მე-2 წუთზე გახსნეს (**პინტუ**), მერე კი სასწაულებრივად გადაურჩნენ რამდენიმე გოლის გაშვებას. „ვერდერმა" პირველ ნახევარში უამრავი საგოლე მომენტი შექმნა **ნიხთის** კართან, მაგრამ გოლების გატანა ბრემენელებმა მხოლოდ მეორე ტაიმში დაიწყეს. აღსანიშნავია, რომ **თომას შააფის** შეცვლებმა გაამართლა: 50-ე წუთზე წონასწორობა მოედანზე მეორე ტაიმში შესულმა **დანიელ იენსენმა** აღადგინა, ხუთი წუთის შემდეგ კი ასევე შეცვლაზე შესულმა **მარკუს როზენბერგმა** იხეირა (სხვათა შორის, იენსენის პასით). ბოლო გოლი კი გენიალური იყო და მისი ნახვა ერთ რამედ ღირს – მსაჯის მიერ დამატებული მესამე წუთი მიმდინარეობდა, როცა „ალემანიამ" კუთხური მოიპოვა. აახენელთა მეკარე ნიხთი „ვერდერის" საჯარიმოში იყო ჩასული, კარი ცარიელი გახლდათ. ბრემენელებმა ბურთი მოიგერიეს და მას **დიეგო** დაეუფლა. ბრაზილიელმა გამთამაშებელმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ცარიელ კარს გახედა და ბევრი აღარ უფიქრია, მაშინვე დაარტყა – ბურთი წავიდა კარისკენ, ერთი მეტრით წინ მინდორზე დაეცა, მერე კი ხარიხას მოხვდა და კარში შევარდა. ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა ზუსტად გამოთვალეს – დიეგომ გოლი 63.14 მეტრიდან გაიტანა!

„ვერდერს" „შალკემაც" მოგებით უპასუხა და აღსანიშნავია, რომ 3 ქულის მოპოვება გელზენკირხენელებსაც გაუჭირდათ. „ხუმარები" „კოტბუსს" მასპინძლობდნენ და ცოტა არ იყოს, გაუმართლათ, რადგან ანგარიში მხოლოდ 59-ე წუთზელა გახსნეს და ისიც იმიტომ, რომ „კოტბუსის" ნახევარმცველმა **ტიმო როსტმა ჰამით ალთინთოფის** ჩაწოდების შემდეგ ბურთი საკუთარ კარში კარზე დაგეშილი ფორვარდივით ჩაჭრა. *„კუთხურზე მოგერიება მინდოდა, არ ვიცი, ეს როგორ დამემართა,"* – სასოწარკვეთილი გახლდათ როსტი. ამ გოლმა გელზენკირხენელებს ხელ-ფეხი გაუხსნა – **სლომკას** ბიჭები უფრო თავისუფლად ათამაშდნენ. ამის მიზეზი ისიცაა, რომ „კოტბუსის" მხრიდან 10 კაცით თავის დაცვა უკვე აღარ იყო გამართლებული და **ზანდერის** ბიჭებმაც შეტევაზე დაიწყეს ზრუნვა, მაგრამ „შალკემ" მალე მეორე გოლი გაუტანა და საბოლოოდ დააშოშმინა „ენერგი" – **ლინკოლნის** კუთხურს „ხუმარების" კაპიტანი **ბორდონი** გამოეხმაურა, ყველაზე მაღლა ახტა და თავით ბურთი **პიპლიცას** კარში გადაგზავნა.

*„ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ ბიჭები არ ნერვიულობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხნის მანძილზე ვერ ვიგებდით, მაინც მოთოკეს ნერვები. სიმართლე გითხრათ, ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ამ თამაშს მოვიგებდით,"* – განაცხადა სლომკამ საფინალო სასტვენის შემდეგ. *„ვერდერმა" რაც უნდა, ის ქნას, „ვერცხლის სინს" აღარ დავთმობთ,"* – ეს კი **ჰამით ალთინთოფის** სიტყვებია. ცუდი ისაა, რომ სლომკამ **კობიაშვილი** კვლავ სკამზე დატოვა, მის ნაცვლად კი ისევ **იოზილი** ათამაშა და კობი მხოლოდ 73-ე წუთზელა შეუშვა მინდორზე...

„ლევერკუზენმა" „ნიურნბერგს" „მატჩი მე-5 ადგილისთვის" მოუგო (2:0). ამრიგად, „ფარმაცევტებმა" ფრანკებთან ადგილი გაცვალეს და ხუთეულში შევიდნენ, თუმცა „ნიურნბერგს" ეს ნაკლებად ადარდებს – ეს გუნდი უეფას თასის საგზურს გერმანიის თასიდან მოიპოვებს (როგორც იცით, ფინალშია, „შტუტგარტთან" ერთად). დორტმუნდის „ბორუსიამ" **მარკუს ბრჟენსკას** ერთადერთი გოლით ბერლინიდან სამი ქულა წაიღო, რის შედეგადაც BVB-მ სული მოითქვა. აღსანიშნავია, რომ **თომას დოლის** ხელში „დორტმუნდი" თუ რაიმე სახეიროს აკეთებს, ყოველთვის გასვლით მატჩებში. „ვოლფსბურგმა" საკუთარ „ფოლკსვაგენარენაზე" დრამატული მატჩი წააგო „არმინიასთან" (2:3) და ბილეფელდურ კლუბს გასავარდნი ზონიდან ამოსვლის საშუალება მისცა. „ბოხუმმა" კი ფრანკფურტში „აინტრახტი" გაანადგურა – 3:0 და რა დიდი გამოცნობა იმას უნდა, რომ **თეოფანის გეკასმა** კვლავ იხეირა, თუმცა ამჯერად მხოლოდ ერთხელ, მაგრამ ბერძენ ფორვარდს უკვე 18 გოლი აქვს. მომდევნო ტურში (პარასკევს) „შალკე" სწორედ ამ „ბოხუმს" სტუმრობს...

### მომდევნო ტური

27 აპრილი. **ბოხუმი-შალკე**. 28 აპრილი. **ბაიერნი-ჰამბურგი, ალემანია-ჰერტა, ბორუსია (მ)-შტუტგარტი, მაინცი-ჰანოვერი, ბორუსია (დ)-აინტრახტი, ნიურნბერგი-ვოლფსბურგი**. 29 აპრილი. **არმინია-ვერდერი, კოტბუსი-ლევერკუზენი**.



ვერდერი-ალემანია. დიეგოს გოლის გრაფიკული ტრაექტორია

### ვერდერი-ალემანია 3:1

**ვერდერი**: ვიზე-4, ფრიტცი-3.5, ნალდო-3.5, პასანენი-3, ოვომოიელა-2.5, ბაუმანი-4.5 (46. დ. იენსენი-2), ფრინგსი-3, ვრანიეში-4 (46. როზენბერგი-2.5), დიეგო-2, კლოზე-3, ჰანტი-3 (92. ალმეიდა).

**ალემანია**: ნიხთი-3.5, შტელე-4.5 (90. კუოტჩალა), კლიტცპერა-4, ჰერციგი-4.5, ლეივაკაბესი-4, მ. ლემანი-4.5, ფილი-4.5, პინტუ-2.5, შლაუდრაფი-4, ჰაიდრიხი-4 (62. დუმი-3.5), ებერსი-4 (81. კასპერი).

**გოლები**: 0:1 პინტუ (2), 1:1 დ. იენსენი (50), 2:1 როზენბერგი (55), 3:1 დიეგო (93)

**გაფრთხილება**: 2-2; **დარტყმა**: 27-8; **კუთხური**: 11-4; **ჯარიმა**: 20-22; **ბურთის ფლობა**: 62%-38%.

**მაყურებელი**: 40 300

### ლევერკუზენი-ნიურნბერგი 2:0

**ლევერკუზენი**: ადლერი-3.5, კასტრო-2.5, კალსენ-ბრაკერი-3, ჟუანი-3, შტენმანი-3, შვეგლერი-3.5, როლფესი-3, შნაიდერი-2 (85. ბარბარესი), ბარნეტა-3, კისლინგი-5 (62. ფრაიერი-3.5), ვორონინი-3.

**ნიურნბერგი**: რ. შეფერი-3, ბოშამი-3.5, ვოლფი-4.5, გლაუბერი-4.5 (59. სპირანოვიჩი-4), პინოლა-3, გალაშეკი-3.5, პოლაკი-3.5, ენგელჰარდტი-4.5 (59. ბანოვიჩი-3.5), პაგენბურგი-4 (63. სიბონი-3.5), შროთი-5, საენკო-3.5.

**გოლები**: 1:0 შნაიდერი (19), 2:0 შნაიდერი (59)

**გაფრთხილება**: 2-2; **დარტყმა**: 9-10; **კუთხური**: 3-2; **ჯარიმა**: 27-21; **ბურთის ფლობა**: 48%-52%.

**მაყურებელი**: 22 500

### ვოლფსბურგი-არმინია 2:3

**ვოლფსბურგი**: იენტცში-3, კიროგა-4.5, მადლუნგი-5, ჰოფლანდი-5, ვან დერ ჰეიდენი-3.5, ვან დერ ლეეგტე-4.5, შარპეი-3, მარსელინიო-2.5 (72. კარჰანი), კრჟინოვეკი-4, მაკიადი-5, ბოაკი-2.5.

**არმინია**: ჰაინი-3.5 (46. ციგლერი-2), ბოლმანი-3.5, ვესტერმანი-3, კუჩერა-5, რაუ-5, კაუფი-3.5, ტეშე-3.5, მასმანიდისი-4 (72. ვიხნიარეკი), ბიომე-3 (56. მარქსი-4), აიგლერი-2, ზუმა-2.5.

**გოლები**: 0:1 ვესტერმანი (8), 1:1 მარსელინიო (16), 2:1 ბოაკი (53), 2:2 აიგლერი (72), 2:3 ვიხნიარეკი (86)

**გაფრთხილება**: 3-1; **დარტყმა**: 7-16; **კუთხური**: 6-6; **ჯარიმა**: 19-16; **ბურთის ფლობა**: 52%-48%.

**მაყურებელი**: 20 941

### შტუტგარტი-ბაიერნი 2:0

**შტუტგარტი**: ჰილდებრანდი-3, ოსორიო-2.5, მეირა-2.5, დელპიერი-3, მანინი-3, პარდო-2.5, ჰილბერტი-2.5 (77. ბეკი), ჰიტცლშპერგერი-2.5, ხედირა-2, ლაუთი-5 (61. ა. და სილვა-4), კაკაუ-1.5 (86. შტრელერი).

**ბაიერნი**: კანი-3, ლელი-5, ლუსიო-4.5, ვან ბუიტენი-4.5, ლამი-4.5, სანტა კრუსი-5.5 (74. გიორლიტცი), ჰარგრივსი-4, ვან ბომელი-4.5, სალიჰამიჯიჩი-4.5 (84. ქარიმი), მაკაი-5.5, პოდოლსკი-6 (46. პისარო-3).

**გოლები**: 1:0 კაკაუ (23), 2:0 კაკაუ (25)

**გაფრთხილება**: 0-3; **დარტყმა**: 19-9; **კუთხური**: 5-4; **ჯარიმა**: 21-21; **ბურთის ფლობა**: 41%-59%.

**მაყურებელი**: 55 000

### შალკე-კოტბუსი 2:0

**შალკე**: ნოიერი-3, რაფინია-3.5, ბორდონი-2.5, როდრიგესი-3.5, პანდერი-3.5 (87. ბაირამოვიჩი), ჰამით ალთინთოფი-2.5, ერნსტი-3, ლინკოლნი-3.5, ასამოა-4.5 (66. ჰალილ ალთინთოფი-4), კურანი-4, იოზილი-3 (73. კობიაშვილი).

**კოტბუსი**: პიპლიცა-3.5, ვ. და სილვა-3.5, მაკენა-4, მიტრესკი-3.5, კვიტანოვიჩი-3.5, ტ. როსტი-4.5, კუკიელკა-3.5, ბაუმგარტი-4 (73. გუნკელი), მუნტეანუ-4, კიოიო-4.5 (69. სკელა-4.5), რადუ-5 (69. შაო-3.5).

**გოლები**: 1:0 ტ. როსტი (59-საკ. კარში), 2:0 ბორდონი (64)

**გაფრთხილება**: 2-4; **დარტყმა**: 22-3; **კუთხური**: 5-3; **ჯარიმა**: 7-21; **ბურთის ფლობა**: 66%-34%.

**მაყურებელი**: 61 058

### ჰერტა-ბორუსია (დ) 0:1

**ჰერტა**: ფიდლერი-2.5, შიმუნიჩი-4, ვან ბურიკი-3.5 (74. ჯ. ბოატენგი), ფათი-3.5, დარდაი-3, მინეირო-5, დეჟაგა-2.5 (74. ედე), ბაშთურქი-3, ჟილბერტო-3.5, ხიმენესი-3.5, პანტელიჩი-4 (46. ებერტი-4.5).

**ბორუსია (დ)**: ვაიდენფელერი-3.5, ფ. დეგენი-3.5, ბრჟენსკა-2, ვიორნსი-3.5, მეტცელდერი-4.5, კრუსკა-3, ტინგა-2.5 (89. გორდონი), პიენაარი-4 (85. ნ. შაჰინი), სმოლიარეკი-3.5, ფრაი-3 (92. ვალდესი).

**გოლი**: 0:1 ბრჟენსკა (50)

**გაფრთხილება**: 1-1; **დარტყმა**: 10-14; **კუთხური**: 4-9; **ჯარიმა**: 12-23; **ბურთის ფლობა**: 55%-45%.

**მაყურებელი**: 64 382

### აინტრახტი-ბოხუმი 0:3

**აინტრახტი**: ნიკოლოვი-4, რემერი-5 (67. რუსი-4.5), ვასოსკი-5, კირიაკოსი-3.5, შპიხერი-4, ფინკი-4, ჰუგელი-4.5 (46. ჰელერი-4), ა. მაიერი-5, ვაისენბერგერი-4.5, ტაკაჰარა-3.5, ამანატიდისი-3.5 (23. თურკი-4).

**ბოხუმი**: დრობნი-3, შრიოდერი-3.5, მალტრიტცი-3.5, იაია-3, ბუტშერი-3, ეპალე-1.5, დაბროვსკი-3.5 (87. დრშეკი), ცდებელი-3.5, გროტე-3.5, მიშიმოვიჩი-2.5 (87. იმჰოფი), გეკასი-2.

**გოლები**: 0:1 გეკასი (32), 0:2 ეპალე (58), 0:3 ეპალე (69)

**გაფრთხილება**: 1-1; **დარტყმა**: 16-18; **კუთხური**: 7-4; **ჯარიმა**: 13-15; **ბურთის ფლობა**: 55%-45%.

**მაყურებელი**: 47 962

### ჰამბურგი-მაინცი 2:2

**ჰამბურგი**: ფ. როსტი-4.0, ბენჯამინი-3.5, აბელი-3.0, მატიისენი-4.0, სორინი-2.5, ატოულიმი-3.0, ვიკი-4.0 (71. ა. ჩუმბა), ტრაბზონი-3.5, ტროხოვსკი-4.0 (67. გერერო-2.5), ვან დერ ვაარტი-3.5, ოლიჩი-4.0 (82. სანოგო).

**მაინცი**: ვეტკლო-4.0, დემიტრასი-3.0, მ. ფრიდრიხი-3.0, გიუნეში-3.5, როსე-3.5, პეკოვიჩი-4.0, ფ. გერბერი-2.5, ლ. ანდრეასენი-3.0, დ. ვრანჩიჩი-3.5 (73. იოვანოვიჩი), სოტო-4.0, ზიდანი-2.0.

**გოლები**: 0:1 ზიდანი (12), 1:1 სორინი (23), 1:2 ფ. გერბერი (59), 2:2 გერერო (83)

**გაფრთხილება**: 2-2

**მაყურებელი**: 57 000

### ჰანოვერი-ბორუსია (მ) 1:0

**ჰანოვერი**: ენკე-3.5, ჩერუნდოლო-3.5, ვინიციუსი-3.5, ჟურავი-4.0, ტარნატი-3.5, ბალიტში-5.0, იანკოვი-4.0 (74. შრიოტერი), როზენტალი-4.0, ბრუგინკი-3.0, ჰუშტი-3.5 (90+2. იენდრიშეკი), ჰაშემიანი-3.5 (82. შტაინერი).

**ბორუსია (მ)**: ჰაიმეროტი-3.5, ბოგელუნდი-5.5, ბ. სვენსონი-5.0, გოური-4.5, კომპერი-4.5, ელ ფაკირი-4.0 (68. ლამიდი-4.0), კლუგე-4.5, დელურა-5.5 (46. სვარდი-5.0), ინსუა-5.5, იანსენი-3.5, რაფაელი-5.0.

**გოლი**: 1:0 ბრუგინკი (32)

**გაფრთხილება**: 2-4

**მაყურებელი**: 42 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შალკე | 30 | 19 | 5 | 6 | 49-27 | 62 |
| 2. ვერდერი | 30 | 18 | 6 | 6 | 67-34 | 60 |
| 3. შტუტგარტი | 30 | 17 | 7 | 6 | 53-34 | 58 |
| 4. ბაიერნი | 30 | 16 | 5 | 9 | 45-35 | 53 |
| 5. ლევერკუზენი | 30 | 13 | 6 | 11 | 47-42 | 45 |
| 6. ნიურნბერგი | 30 | 10 | 14 | 6 | 39-28 | 44 |
| 7. ჰერტა | 30 | 10 | 8 | 12 | 41-47 | 38 |
| 8. კოტბუსი | 30 | 10 | 8 | 12 | 35-41 | 38 |
| 9. ჰანოვერი | 30 | 10 | 8 | 12 | 36-43 | 38 |
| 10. ჰამბურგი | 30 | 7 | 15 | 8 | 35-33 | 36 |
| 11. ბოხუმი | 30 | 10 | 6 | 14 | 40-46 | 36 |
| 12. ვოლფსბურგი | 30 | 8 | 11 | 11 | 34-38 | 35 |
| 13. ბორუსია (დ) | 30 | 9 | 8 | 13 | 34-41 | 35 |
| 14. აინტრახტი | 30 | 7 | 13 | 10 | 39-53 | 34 |
| 15. არმინია | 30 | 8 | 9 | 13 | 38-43 | 33 |
| 16. ალემანია | 30 | 9 | 6 | 15 | 44-56 | 33 |
| 17. მაინცი | 30 | 7 | 10 | 13 | 28-48 | 31 |
| 18. ბორუსია (მ) | 30 | 6 | 7 | 17 | 22-37 | 25 |

**ბომბარდირები**: 18 - გეკასი (ბოხუმი); 14 - მაკაი (ბაიერნი); 13 - გომესი (შტუტგარტი), ფრაი (ბორუსია დ), კურანი (შალკე); 12 - ზიდანი (მაინცი), კაკაუ (შტუტგარტი), დიეგო (ვერდერი), კლოზე (ვერდერი), რადუ (კოტბუსი); 11 - მუნტეანუ (კოტბუსი), პანტელიჩი (ჰერტა); 10 - ტაკაჰარა (აინტრახტი), ხიმენესი (ჰერტა).

### II ბუნდესლიგა

XXX ტური

**აუე-ესენი** 0:0

**კაიზერსლაუტერნი-ოფენბახი** 4:0

გოლები: 1:0 მიულერი (33), 2:0 ციმერი (37), 3:0 სიმპსონი (47), 4:0 ბოლი (82)

**მიუნხენი-კიოლნი** 3:1

გოლები: 1:0 გიოქთანი (7), 1:1 ბროიხი (41), 2:1 ლვინიანიძე (59), 3:1 გიოქთანი (68)

**ბურგჰაუზენი-აუგსბურგი** 0:2

გოლები: 0:1 ლოური (40), 0:2 ლოური (70-პენ)

**დუისბურგი-ბრაუნშვაიგი** 0:0

**ფრაიბურგი-კარლ ცაისი** 1:3

გოლები: 0:1 ფოიგტი (39), 0:2 ფოიგტი (61-პენ), 1:2 მოჰამადი (62), 1:3 ვერნერი (90)

**ფიურტი-პადერბორნი** 3:0

გოლები: 1:0 სიდიმარი (63), 2:0 კლაინი (70), 3:0 რაისინგერი (78)

**უნტერჰახინგი-კობლენცი** 1:0

გოლი: 1:0 ლეხლაიტერი (58)

**ჰანზა-კარლსრუე** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კარლსრუე | 29 | 18 | 6 | 5 | 61-34 | 60 |
| 2. ჰანზა | 29 | 14 | 13 | 2 | 43-23 | 55 |
| 3. დუისბურგი | 30 | 14 | 11 | 5 | 56-34 | 53 |
| 4. ფიურტი | 30 | 15 | 6 | 9 | 49-33 | 51 |
| 5. ფრაიბურგი | 30 | 14 | 9 | 7 | 47-36 | 51 |
| 6. კაიზერი | 30 | 13 | 11 | 6 | 42-27 | 50 |
| 7. აუგსბურგი | 30 | 12 | 9 | 9 | 37-27 | 45 |
| 8. მიუნხენი | 30 | 13 | 5 | 12 | 42-43 | 44 |
| 9. აუე | 30 | 13 | 4 | 13 | 41-41 | 43 |
| 10. კიოლნი | 30 | 11 | 8 | 11 | 42-43 | 41 |
| 11. პადერბორნი | 30 | 9 | 9 | 12 | 29-33 | 36 |
| 12. ოფენბახი | 30 | 9 | 6 | 15 | 36-52 | 33 |
| 13. კობლენცი | 30 | 8 | 8 | 14 | 29-41 | 32 |
| 14. უნტერჰახინგი | 30 | 8 | 8 | 14 | 30-43 | 32 |
| 15. კარლ ცაისი | 30 | 8 | 8 | 14 | 33-50 | 32 |
| 16. ესენი | 30 | 7 | 9 | 14 | 31-36 | 30 |
| 17. ბურგჰაუზენი | 30 | 6 | 9 | 15 | 34-57 | 27 |
| 18. ბრაუნშვაიგი | 30 | 3 | 9 | 18 | 15-44 | 18 |

**ბომბარდირები**: 16 - ფედერიკო (კარლსრუე); 15 - კაპლანი (კარლსრუე); 13 - ტურკერი (ოფენბახი); 12 - ლოური (აუგსბურგი), ტიმი (ფიურტი), მოხტარი (დუისბურგი); 11 - ჰელმესი (კიოლნი), კერნი (ჰანზა); 10 - ლავრიჩი (დუისბურგი).

### რეგიონალლიგა (ჩრ)

XXXII ტური

**მაგდებურგი-ვერდერი II 2:0; ვუპერტალი-ლიუბეკი 1:1; ალენი-ემდენი 1:1; დინამო (დ)-ჰერტა II 2:0; ფორტუნა-ვილჰელმშავენი 1:1; კილი-ჰამბურგი II 1:0; გლადბახი II-სტ.პაული 1:5; ოსნაბრიუკი-ლევერკუზენი II 3:3; ერფურტი-უნიონი 1:0.**

### რეგიონალლიგა (სამ)

XXVIII ტური

**აალენი-ინგოლშტადტი 0:1; ელვერსბერგი-დარმშტადტი 2:0; კასელი-ზააბრიუკენი 3:0; ჰოფენჰაიმი-პფიულენდორფი 3:1; კაიზერი II-ბაიერნი II 2:3; კარლსრუე II-შტუტგარტი II 1:1; მიუნხენი II-ზიგენი 3:0; ვეენი-როიტლინგენი 0:0; შტ.კიკერსი-პირმასენსი 0:0.**



ჩეხმა დაიერს არ გაატანინა

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXIV ტური

# ჩელსიმ მანჩესტერის საჩუქარი ვერ შეირგო

## უოტფორდი უმაღლეს დივიზიონს გამოეთხოვა...

"არისტოკრატებმა" მანჩესტერელთა მოულოდნელი საჩუქრით ვერ ისარგებლეს. ლიდერებს შორის სამქულიანი სხვაობა შენარჩუნდა.

"იუნაიტედს" "მიდლსბროსთან" უილბლო საღამო ჰქონდა. **რიო ფერდინანდმა** საზარდულის ტრავმა გაირთულა. ის "მილანთან" ჩემპიონთა ლიგის პირველ ნახევარფინალს გამოტოვებს.

"ბორომ" ერთი ქულა დამსახურებულად მოიპოვა. სტუმრებმა შეუპოვრად ითამაშეს. რივერსაიდელებმა **კრისტიანო რონალდოს** განეიტრალებაც კი მოახერხეს. ამას, ნაწილობრივ, **ფერგის** ტაქტიკამ შეუწყო ხელი. მან **რაიან გიგზი** დაასვენა. **კირან რიჩარდსონი** უელსელის სრულფასოვანი შემცვლელი არ არის. საფრთხე მხოლოდ ერთი ფლანგიდან მოდიოდა. ამიტომ რივერსაიდელებმა მთელი ყურადღება კრისტიანოზე გადაიტანეს.

რიჩარდსონი გიგზს ვერ შეედრება, მაგრამ შაბათს სწორედ მან გახსნა ანგარიში. მე-3 წუთზე, **პოლ სქოულზის** პასის შემდეგ, ის და **უეინ რუნი** მეკარესთან პირისპირ გავიდნენ. რუნიმ გოლკიპერი მოატყუა, მაგრამ ბურთი წინ გაუგორდა. კირანმა მას ფეხი მიჰკრა და ცარიელ კარში შეაგდო.

სერ ალექსი უკეთეს დასაწყისს ვერ ინატრებდა. მაყურებელი სტუმართა რბევის სანახავად განეწყო. მაგრამ ბურთს "მიდლსბრო" დაეუფლა. სტუმრებმა ტერიტორიული უპირატესობა მოიპოვეს და იერიშების ორგანიზებას შეუდგნენ. 45-ე წუთზე ანგარიში გათანაბრდა. **სტიუარტ დაუნინგმა** საჯარიმოში ჩაკიდა, **მარკ ვიდუკამ** რიო ფერდინანდს პოზიციური ბრძოლა მოუგო და თავით გაიტანა. შესვენებისას ფერგიმ ფერდინანდიც გაიყვანა და რიჩარდსონიც. ეს უკანასკნელი გიგზმა შეცვალა.

"მიდლსბრომ" ინიციატივის დათმობა აღარ ისურვა. მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა ვიდუკა **ვეს ბრაუნს** გასცდა, მაგრამ ბურთი **ვან დერ სარს** ვერ ააცილა. იმ ეპიზოდში მანჩესტერელთა დაცვის ცენტრში ბრაუნი და **ჯონ ოში** თამაშობდნენ. მარჯვენა მცველად კი **დარენ ფლეტჩერი** იყო დაყენებული.

თამაშის მიწურულს ხელსაყრელი მომენტები ჰქონდათ რუნისა და **მაიკლ ქერიკს**. "იუნაიტედი" პენალტსაც გადაურჩა. ოშიმ საჯარიმოში **დონ გუკ ლი** მოცელა, მაგრამ არბიტრმა 11-მეტრიანის დანიშვნა ზედმეტად მიიჩნია...

კვირა საღამოს "მანჩესტერის" მოკავშირედ "ნიუკასლი" მოგვევლინა. ჯორდებმა "ჩელსის" მოგებათა ცხრამატჩიანი სერია შეაწყვეტინეს. **გლენ როუდერის** შეგირდებმა სტუმრებს გასაქანი არ მისცეს. "არისტოკრატებმა" მეტოქის კარის ჩარჩოში პირველად მე-80 წუთზე დაარტყეს. **ფრენკ ლემპარდმა**, **სალომონ კალუმ** და თამაშის მიწურულს, **ჯო კოულმა** ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს. ამ თამაშში დაკარგული ორი ქულა "ჩელსის" ძვირად დაუჯდება.

მდგომარეობა, შეიძლება, უარესიც ყოფილიყო: 59-ე წუთზე **პეტრ ჩეხმა კირონ დაიერის** სახიფათო იერიში მოიგერია. ფანებმა "ნიუკასლი" ტაშით გააცილეს. გრანდებისათვის "სენტ ჯეიმს პარკი" აუღებელ ციხედ იქცა. ერთი კვირის წინ ჯორდებმა "არსენალს" აართვეს ქულა. უფრო ადრე "იუნაიტედთანაც" ფრედ ითამაშეს, ხოლო "ლივერპული" ხელცარიელი გაუშვეს შინ. საინტერესოა ისიც, რომ ნიუკასლში "ჩელსის" მოუგებელი სერია ხუთ მატჩამდე გაიზარდა.

პირველ ტაიმში სტუმრებმა მეტოქის კარს მხოლოდ ორჯერ შეუტიეს და ორჯერვე ააცილეს. ნახევარდაცვაში შთამბეჭდავი იყო **ნიკი ბატი**, ხოლო დაცვის ცენტრში - **სტივ ტეილორი**. ამ უკანასკნელმა **დიდიე დროგბა** თამაშიდან გამოთიშა. მე-18 წუთზე **ჟოზე მოურინიომ** იძულებითი ცვლილება განახორციელა. დაშავებული **მიხაელ ბალაკის** ნაცვლად **ჯონ ობი მიკელი** გამოვიდა. ვერც მიკელის და ვერც მოგვიანებით ჯო კოულისა და **ანდრეი შევჩენკოს** გამოჩენამ თამაშში გარდატეხა ვერ შეიტანა.

ნამატჩევს მოურინიომ ყურადღება გაამახვილა, წინა საღამოს, "მიდლსბროს" და კვირას, მისი გუნდის სასარგებლოდ არდანიშნულ პენალტებზე. ოშიდონ გუკ ლის ეპიზოდი ზემოთ ვახსენეთ. რაც შეეხება გუშინდელ მატჩს, პირველ ტაიმში, კუთხურის გათამაშებისას **ანტუან სიბირსკიმ ჯონ ტერის** თითქოს ხელი ჰკრა. არბიტრმა **მარკ ჰელსიმ** კი თამაშის გაგრძელების ნიშანი მისცა. ჟოზე ამბობს, რომ პენალტებთან დაკავშირებით "მანჩესტერისათვის" ერთი წესი მოქმედებს, ხოლო მისი გუნდისათვის - მეორე: *"არცერთი პენალტი "იუნაიტედის" კარში და არცერთი "ჩელსის" სასარგებლოდ. ყურადღება მიაქციეთ, მე არ ვლაპარაკობ რიგით ეპიზოდებზე, არამედ ვგულისხმობ ეპიზოდებს, რომელიც შედეგებსა და ქულებზე აისახება."*

კითხვაზე, იმსახურებდა თუ არა მისი გუნდი გამარჯვებას, მოურინიომ მიუგო: *"ჩემი აზრით, არა. "ნიუკასლი" უფრო ენერგიულად და სახიფათოდ თამაშობდა. მეტოქემ ერთი ქულა დამსახურებულად მოიპოვა..."*

"ჩელსის" მატჩის მიმოხილვაში არცკი გვიხსენებია, რომ "არისტოკრატებსაც" ჩემპიონთა ლიგის პირველი ნახევარფინალი ელით. მათი მეტოქე ის "ლივერპული" იქნება, რომელმაც "ვიგანთან" გენერალური რეპეტიცია გაიარა. **დირკ კუიტმა** დუბლი შეასრულა და საამსეზონო მონაგარი 13 გოლამდე აიყვანა. "ვიგანმა" 90 წუთის განმავლობაში მეტოქის კარისაკენ მხოლოდ ერთხელ გაიხედა. მან თამაში, ფაქტობრივად, უბრძოლველად წააგო.

**რაფა ბენიტესმა სტივ ჯერარდი** დაასვენა. ლივერპულელთა კაპიტანმა ბოლო ერთ წელიწადში პირველი კალენდარული მატჩი გამოტოვა. სკამზე ისხდნენ **ხავიერ მასკერანო** და **დანიელ აგერი**. თადარიგში იყო გამოჯანმრთელებული **კრეიგ ბელამი**, რომელმაც მეორე ტაიმში ითამაშა. განაცხადში საერთოდ ვერ მოხვდა **მომო სისოკო**. ყველაფერი იმაზე მიუთითებდა, რომ ბენიტესი "ჩელსისთან" ნახევარფინალზე უფრო მეტს ფიქრობდა, ვიდრე "ვიგანთან" შაბათის მატჩზე...

"ტოტენჰემისა" და "არსენალის" 155-ე დერბი ფრედ დასრულდა. **რობი კინმა** ანგარიში 30-ე წუთზე გახსნა. ეს იყო მისი მე-19 გოლი ამ სეზონში და მე-5 გოლი ბოლო 5 შეხვედრაში. "მეთოფეებმა" **კოლო ტურესა** და **ემანუელ ადებაიორის** გოლებით უპასუხეს. ორივე გოლი სტანდარტული მდგომარეობების შედეგად გავიდა. ორივე შედეგიანი გადაცემა **სესკ ფაბრეგასმა** ჩაიწერა აქტივში. პირველ წრეში "არსენალმა" ადებაიორის გოლით მოიგო. "ტოტენჰემის" თავკაცი **მარტინ იოლი** ირწმუნებოდა, რომ ტოგოელმა თამაშგარე მდგომარეობიდან გაიტანა. ადებაიორმა მე-11 წუთზეც გამოიჩინა თავი, მაგრამ ამჯერად არბიტრს თამაშგარე აღარ გამოპარვია. პირველ ტაიმის მიწურულს **ემანუელ ებუემ** ბურთი ძელს გაარტყა. მე-60 წუთზე ადებაიორმა ხარიხაც შეაზანზარა. 64-ე წუთზე კი კოლო ტურემ წონასწორობა აღადგინა. **არსენ ვენგერმა ჟულიო ბაპტიშტა** გამოიყვანა და თავდასხმა გააძლიერა. თამაშის დასრულებამდე 13 წუთით ადრე ადებაიორი ფაბრეგასის პასს შორ ძელთან დახვდა და "მეთოფეები" დააწინაურა. მსაჯისგან დამატებულ წუთებზე **ჯერმეინ ჯენასმა** 30 იარდიდან დაბალ კუთხეში გატანილი გოლით დასვა წერტილი...

"ბოლტონმა" "რედინგთან" მოულოდნელი მარცხი იწვნია, 1:3. რედინგელებმა მასპინძლები თამაშის მიწურულს აიკლეს. **სემ ელერდაისს** სამი წამყვანი ფეხბურთელიც დაუშავდა. **ჰანტი**, **ნოლანი** და **დიუფი** თამაშს პირველსავე ტაიმში გამოეთიშნენ...

ტრავმით აღინიშნა "ვესტ ჰემი"-"ევერტონის" მატჩიც. სტუმრებს წამყვანი თავდამსხმელი **ენდი ჯონსონი** მეშვიდე წუთზევე გამოაკლდათ. "ჩაქუჩებმა" მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს. გადარჩენაზე საუბარი ნაადრევია. **ალან კერბიშლის** შეგირდები კვლავ სასწაულის მოლოდინში არიან...

"ფულჰემის" მოუგებელი სერია ცხრა მატჩს შეადგენს. ლონდონელთა ახალმა თავკაცმა **ლორი სანჩესმა** საკუთარ მოედანზე სადებიუტო მატჩში "ბლექბერნთან" ქულები გაიყო. ანგარიში **ვინჩენცო მონტელამ** გახსნა. ის იანვრის შემდეგ ძირითადში პირველად დააყენეს. მონტელამ ლონდონური კარიერის დასაწყისში, სამ მატჩში გატანილ ოთხ გოლს ახლაღა შემატა მეხუთე. მან "ტოტენჰემთან" სათასო მატჩში წითელი ბარათისა და სამმატჩიანი დისკვალიფიკაციის მიღებაც მოასწრო. აქვე გეტყვით, რომ ბლექბერნელმა **ბენი მაკარტიმ** სეზონის 21-ე გოლი მითვალა.

ერთნაირი ანგარიშით, 1:1, დასრულდა კიდევ ორი შეხვედრა - "ჩარლტონი"-"შეფილდსა" და "უოტფორდი"-"მანჩესტერ სიტის" შორის. ჩარლტონელებმა გასავარდნი ზონიდან ამოსვლის კარგი შანსი გაუშვეს ხელიდან. **ადრიან ბუთროიდის** "უოტფორდი" კი ოფიციალურად გამოეთხოვა პრემიერლიგას...

### მომდევნო ტური

28 აპრილი. ჩელსი-ბოლტონი, ბლექბერნი-ჩარლტონი, ევერტონი-მანჩესტერ იუნაიტედი, მანჩესტერ სიტი-ასტონ ვილა, მიდლსბრო-ტოტენჰემი, პორტსმუთი-ლივერპული, შეფილდი-უოტფორდი, ვიგანი-ვესტ ჰემი. 29 აპრილი. არსენალი-ფულჰემი. 30 აპრილი. რედინგი-ნიუკასლი.

### მანჩესტერ იუნ.-მიდლსბრო 1:1

**იუნაიტედი**: ვან დერ სარი, ოში, ფერდინანდი (46. ფლეტჩერი), ბრაუნი, ჰაინცე, რონალდო, სქოულზი, ქერიკი, რიჩარდსონი (46. გიგზი), სმიტი (67. სოლსკიაერი), რუნი.

**მიდლსბრო**: შვარცერი, დევისი, ვუდგეიტი, პოგატეცი, ტეილორი, კატერმოული, როშემბაკი, ბოატენგი, დაუნინგი, იაკუბუ (81. ლი), ვიდუკა.

**გოლები**: 1:0 რიჩარდსონი (3), 1:1 ვიდუკა (45).

**გაფრთხილება**: 2-5; **დარტყმა**: 21(9)-10(5); **ჯარიმა**: 10-17; **კუთხური**: 6-7.

**მაყურებელი**: 75 967

### ლივერპული-ვიგანი 2:0

**ლივერპული**: რეინა, არბელოა, კარაგერი (73. აგერი), ჰიიპია, რიისე, პენანტი, ალონსო, ზენდენი (70. ჯერარდი), გონსალესი, კუიტი, კრაუჩი (63. ბელამი).

**ვიგანი**: ფილანი, ბოისი, ჯეკსონი, დე ზეეუვი, ბაინესი, შარნერი, ტეილორი (46. კამარა), სკოკო, ლანდზაატი (70. აგაჰოვა), კილბეინი, ჰესკი (64. ფოლანი).

**გოლები**: 1:0 კუიტი (30), 2:0 კუიტი (68).

**გაფრთხილება**: 2-2; **დარტყმა**: 23(12)-4(3); **ჯარიმა**: 10-10; **კუთხური**: 12-3.

**მაყურებელი**: 44 003

### ტოტენჰემი-არსენალი 2:2

**ტოტენჰემი**: რობინსონი, შიმბონდა, კინგი, დოსონი, როჩა, ლენონი (72. ჰადლსტონი), ზოკორა (82. დეფო), ჯენასი, ტაინიო (60. ალბრანკი), ბერბატოვი, რობი კინი.

**არსენალი**: ლემანი, ებუე, კოლო ტურე, გალასი, კლიში, გლები (90. სენდეროსი), ჟილბერტო, დიაბი, როსიცკი (66. ბაპტიშტა), ლიუნგბერგი (39. ფაბრეგასი), ადებაიორი.

**გოლები**: 1:0 რობი კინი (30), 1:1 კოლო ტურე (64), 1:2 ადებაიორი (78), 2:2 ჯენასი (90).

**გაფრთხილება**: 2-2; **დარტყმა**: 7(3)-18(12); **ჯარიმა**: 10-6; **კუთხური**: 4-6.

**მაყურებელი**: 36 570

### ბოლტონი-რედინგი 1:3

**ბოლტონი**: იაასკელაინენი, ჰანტი (21. მიხალიკი), ბენ ჰაიმი, მეიტე, გარდნერი, ნოლანი (46. იანაკოპულოსი), სპიდი, თეიმურიანი, დევისი, ანელკა, დიუფი (31. ტომპსონი).

**რედინგი**: ჰანემანი, დე ლა კრუსი (74. ჰარპერი), ინგიმარსონი, დაბერი, შორი, ოსტერი (73. კი ჰიეონი), სიდველი, გუნარსონი, ჰანტი, დოილი, კიტსონი (77. ლონგი).

**გოლები**: 0:1 შორი (64-პენ), 0:2 დოილი (84-პენ), 0:3 დოილი (89), 1:3 ჰანტი (90).

**გაფრთხილება**: 0-2; **დარტყმა**: 18(15)-10(7); **ჯარიმა**: 17-13; **კუთხური**: 7-4.

**მაყურებელი**: 23 533

### ვესტ ჰემი-ევერტონი 1:0

**ვესტ ჰემი**: გრინი, ნილი, კოლინზი, ფერდინანდი, მაკარტნი, ბენაიუნი, რეო კოკერი, ნობლი, ეთერინგტონი (74. ბოა მორტე), ზამორა (71. კოული), ტევესი.

**ევერტონი**: ჰოვარდი, ჰიბერტი, იობო, სტაბსი, ლესკოტი, არტეტა, ნევილი (65. ფერნანდესი), კარსლი, ოსმანი, ჯონსონი (7. მაკფადენი), ბიტი.

**გოლი**: 1:0 ზამორა (13).

**გაფრთხილება**: 2-1; **დარტყმა**: 15(7)-10(2); **ჯარიმა**: 16-10; **კუთხური**: 5-7.

**მაყურებელი**: 34 945

### ფულჰემი-ბლექბერნი 1:1

**ფულჰემი**: ნიემი, როსენორი, ნაიტი, კრისტანვალი (76. ვოლცი), ბოკანეგრა, დევისი, ბრაუნი, დიოპი, რაძინსკი (83. დემპსი), მონტელა (72. რუთლიჯი), მაკბრაიდი.

**ბლექბერნი**: ფრიდელი, ემერტონი, სამბა, ნელსენი, უორნოკი, ბენტლი, მოკოენა, დანი, პედერსენი, რობერტსი, მაკარტი.

**გოლები**: 1:0 მონტელა (10), 1:1 მაკარტი (61).

**გაფრთხილება**: 1-1; **დარტყმა**: 13(6)-18(9); **ჯარიმა**: 17-15; **კუთხური**: 7-11.

**მაყურებელი**: 23 652

### ჩარლტონი-შეფილდ იუნ. 1:1

**ჩარლტონი**: კარსონი, იანგი, ელ ქარქური, დიავარა (76. ბუგერა), ტეტჩერი (71. ჰრეიდარსონი), ჟენგი, სონგი, ემბროუზი, რომედალი, დარენ ბენტი, ტომასი (73. ჰასელბენკი).

**შეფილდი**: კენი, გირი (83. ლიგერტვუდი), მორგანი, ჟაგიელკა, კილგალონი, გილესპი, ტონგე, მონტგომერი, არმსტრონგი, შელტონი (60. კაზიმ-რიჩარდსი), სტიდი.

**გოლები**: 1:0 ელ ქარქური (59), 1:1 სტიდი (69).

**გაფრთხილება**: 5-3; **დარტყმა**: 10(2)-15(10); **ჯარიმა**: 16-13; **კუთხური**: 8-3.

**მაყურებელი**: 27 111

### უოტფორდი-მანჩესტერ სიტი 1:1

**უოტფორდი**: ფოსტერი, დოილი, კარლაისლი, დემერიტი, პაუელი, ბანგურა, მაჰონი, ფრენსისი (24. კაბა/65. პრისკინი), ბუაზა, კინგი, რინალდი (82. შიტუ).

**სიტი**: ისაკსონი, ონუოა, დანი, დესტენი, ბოლი, სუნი (85. ირლანდი), ჰამანი, ბარტონი, ჯონსონი, ბისლი (35. მილერი), ვასელი, მილერი (76. სამარასი).

**გოლები**: 0:1 ვასელი (53), 1:1 პრისკინი (75).

**გაფრთხილება**: 1-1; **დარტყმა**: 4(1)-4(1); **ჯარიმა**: 9-6; **კუთხური**: 5-3.

**მაყურებელი**: 18 537

### ნიუკასლი-ჩელსი 0:0

**ნიუკასლი**: ჰარპერი, სოლანო, ბრემბლი, ტეილორი, კარი, მილნერი, ბატი, დაიერი, ემრე, სიბირსკი (78. ქეროლი), მარტინსი.

**ჩელსი**: ჩეხი, ფერეირა, ესიენი, ტერი, ბრიჯი, რაიტ-ფილიპსი (55. ჯო კოული), მაკელელე (76. შევჩენკო), ლემპარდი, ბალაკი (18. მიკელი), დროგბა, კალუ.

**გაფრთხილება**: 0-3; **დარტყმა**: 7(3)-12(4); **ჯარიმა**: 15-16; **კუთხური**: 4-2.

**მაყურებელი**: 52 056

### ასტონ ვილა-პორტსმუთი 0:0

**ვილა**: სორენსენი, ბერდსლი (77. იანგი), ლაურსენი, მელბერგი, ბუმა, გარდნერი, პეტროვი, ბერგერი (79. მელონი), ბერი, აგბონლაორი, კარუ (74. მური).

**პორტსმუთი**: ჯეიმსი, ლორენი, პრიმუსი, კემპბელი, სტეფანოვიჩი, ონილი, ჰიუზი, კრანჩარი (83. ჯონსონი), ტეილორი, კანუ (77. ლუალუა), მვარუვარი (46. მვუემბა).

**გაფრთხილება**: 0-1; **დარტყმა**: 16(8)-5(2); **ჯარიმა**: 10-20; **კუთხური**: 15-3.

**მაყურებელი**: 31 745

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ | 34 | 26 | 4 | 4 | 78-24 | 82 |
| 2. ჩელსი | 34 | 24 | 7 | 3 | 60-20 | 79 |
| 3. ლივერპული | 35 | 20 | 7 | 8 | 54-22 | 67 |
| 4. არსენალი | 35 | 18 | 9 | 8 | 59-33 | 63 |
| 5. ევერტონი | 35 | 14 | 12 | 9 | 46-31 | 54 |
| 6. ბოლტონი | 35 | 16 | 6 | 13 | 42-45 | 54 |
| 7. რედინგი | 35 | 15 | 6 | 14 | 48-42 | 51 |
| 8. პორტსმუთი | 35 | 13 | 11 | 11 | 43-38 | 50 |
| 9. ტოტენჰემი | 34 | 14 | 8 | 12 | 49-50 | 50 |
| 10. ბლექბერნი | 34 | 13 | 5 | 16 | 42-49 | 44 |
| 11. ასტონ ვილა | 35 | 9 | 16 | 10 | 36-39 | 43 |
| 12. ნიუკასლი | 35 | 11 | 9 | 15 | 37-43 | 43 |
| 13. მანჩესტერ ს | 35 | 11 | 9 | 15 | 28-39 | 42 |
| 14. მიდლსბრო | 35 | 10 | 10 | 15 | 38-45 | 40 |
| 15. ფულჰემი | 35 | 7 | 15 | 13 | 35-54 | 36 |
| 16. ვიგანი | 35 | 9 | 8 | 18 | 35-54 | 35 |
| 17. შეფილდი | 35 | 9 | 8 | 18 | 30-50 | 35 |
| 18. ჩარლტონი | 35 | 8 | 9 | 18 | 31-52 | 33 |
| 19. ვესტ ჰემი | 35 | 9 | 5 | 21 | 28-58 | 32 |
| 20. უოტფორდი | 35 | 4 | 12 | 19 | 26-57 | 24 |

**ბომბარდირები**: 19 - დროგბა (ჩელსი); 16 - რონალდო (მანჩესტერ იუნ); 15 - მაკარტი (ბლექბერნი); 13 - რუნი (მანჩესტერ იუნ); 12 - აიეგბენი (მიდლსბრო), კუიტი (ლივერპული); 11 - ლემპარდი (ჩელსი), ჯონსონი (ევერტონი), ვან პერსი (არსენალი), მარტინსი (ნიუკასლი), ბენტი (ჩარლტონი).

### ჩემპიონშიპი

LXIV ტური

**დერბი-ლუტონი** 1:0

გოლი: 1:0 ნიატანგა (37)

**ბარნსლი-კრ.პალასი** 2:0

გოლები: 1:0 ნარდიელო (15), 2:0 ნარდიელო (68-პენ)

**კოლჩესტერი-სანდერლენდი** 3:1

გოლები: 1:0 ბრაუნი (45), 1:1 იორკი (55), 2:1 გარსია (82), 3:1 კარეტონი (89-პენ)

**პლიმუტი-საუთენდი** 2:1

გოლები: 1:0 ებენკს-ბლეიკი (6), 1:1 კლარკი (25), 2:1 ჰეილსი (90)

**პრესტონი-ლესტერი** 0:1

გოლი: 0:1 ნ. იოჰანსონი (90)

**ქუინზ პარკი-კარდიფი** 1:0

გოლი: 1:0 ბლეკსტოკი (23)

**უენსდი-ქოვენთრი** 2:1

გოლები: 1:0 ტადგეი 917), 1:1 მიფსუდი (37), 2:1 მაკლინი (70)

**საუთჰემპტონი-ლიდსი** 1:0

გოლი: 1:0 ბ. რაიტ-ფილიპსი (84)

**სტოკი-ჰალი** 1:1

გოლები: 1:0 ლოურენსი (45), 1:1 ბარმბი (90)

**ნორვიჩი-იფსვიჩი** 1:1

გოლები: 1:0 ეტუჰუ (5), 1:1 რაიტი (62)

**ვულვზი-ბირმინგემი** 2:3

გოლები: 0:1 ენ. კოული (54), 1:1 მაკინდოე (67), 2:1 მაკინდოე (71), 2:2 ბენდტნერი (77), 2:3 ჯერომი (88)

**ბარნსლი-ვესტ ბრომვიჩი** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბირმინგემი | 44 | 25 | 8 | 11 | 65-41 | 83 |
| 2. სანდერლენდი | 44 | 25 | 7 | 12 | 68-45 | 82 |
| 3. დერბი | 44 | 24 | 9 | 11 | 60-44 | 81 |
| 4. პრესტონი | 44 | 21 | 8 | 15 | 63-51 | 71 |
| 5. ვესტ ბრომვიჩი | 43 | 20 | 10 | 13 | 71-52 | 70 |
| 6. ვულვზი | 44 | 20 | 10 | 14 | 53-55 | 70 |
| 7. საუთჰემპტონი | 44 | 19 | 12 | 13 | 72-52 | 69 |
| 8. სტოკი | 44 | 18 | 15 | 11 | 58-39 | 69 |
| 9. კოლჩესტერი | 44 | 20 | 9 | 15 | 69-51 | 69 |
| 10. უენსდი | 44 | 19 | 11 | 14 | 67-62 | 68 |
| 11. კარდიფი | 44 | 17 | 13 | 14 | 56-49 | 64 |
| 12. პლიმუტი | 44 | 15 | 16 | 13 | 59-61 | 61 |
| 13. კრ. პალასი | 44 | 16 | 11 | 17 | 55-51 | 59 |
| 14. იფსვიჩი | 44 | 17 | 7 | 20 | 60-57 | 58 |
| 15. ნორვიჩი | 44 | 16 | 9 | 19 | 54-67 | 57 |
| 16. ბარნსლი | 43 | 14 | 12 | 17 | 46-42 | 54 |
| 17. ქოვენთრი | 44 | 15 | 8 | 21 | 45-60 | 53 |
| 18. ქუინზ პარკი | 44 | 14 | 10 | 20 | 53-65 | 52 |
| 19. ლესტერი | 44 | 12 | 14 | 18 | 47-60 | 50 |
ოთარ თავართქილაძე (ჰონდა სივიკი, №33) არის ის პილოტი, რომლის დამარცხებაზე უკვე ყველა ოცნებობს. მან ორჯერ, კუს ტბაზე, ალმართის ჩქაროსნულ დაძლევაში იმარჯვა და ერთხელ, რუსთავის ავტოდრომზე წრიული რბოლაც მოიგო. კვირას, რუსთავში თავართქილაძის მეტოქეები იმ მიზნით ჩავიდნენ, რომ როგორმე შეეყოვნებინათ ლიდერი, მაგრამ დაძაბული პაექრობის მიუხედავად, არავის არაფერი გამოუვიდა და რევანში მაისისთვის გადაიდო, როცა წრიულ რბოლაში საქართველოს ჩემპიონატის მესამე ეტაპი გაიმართება.

ამჯერად 9 მონაწილე შეგროვდა, თუმცა ფინიშამდე მხოლოდ შვიდმა მიაღწია. ტრადიციისამებრ, სარბოლო დღე საკვალიფიკაციო სერიით დაიწყო, სადაც საუკეთესო დრო **ზურაბ ბეჟაშვილმა** (ჰონდა სივიკი) აჩვენა - 1.53.32. საერთოდ, სასტარტო განლაგება ძალზე მჭიდრო გახლდათ - 1 წამში ხუთი პილოტი ჩაეტია. მეორე შედეგი თავართქილაძეს ჰქონდა, მესამე - **არჩილ ბიძინაშვილს** (ჰონდა სივიკი), მეოთხე - **მამუკა მელაძეს** (სიტროენ საქსო), მეხუთე - **გიორგი ოგბაიძეს** (ჰონდა სივიკი, №4), მეექვსე - **დათა ქაჯაიას** (ჰონდა CRX), მეშვიდე - **არჩილ ჩიქოვანს** (სიტროენ საქსო), მერვე - **აკაკი სვანიძეს** (ჰონდა სივიკი) და მეცხრე - **კახა ჩადუნელს** (ჰონდა სივიკი).

გასავლელი იყო 6 წრე. პირველი რბოლის სტარტი ბეჟაშვილმა მოიგო, მაგრამ თავართქილაძე მაშინვე ჩაუდგა კვალში და გასასწრებ მომენტს დაუწყო ძებნა. ბიძინაშვილი ლიდერთა დუეტს მიუახლოვდა და თავართქილაძისთვის გვერდის ავლა სცადა, მაგრამ მანევრი მალევე გადაიფიქრა. ქაჯაიამ და ოგბაიძემ რამდენჯერმე გაუცვალეს ერთმანეთს ადგილები.

ფინიშამდე ერთი წრით ადრე, თავართქილაძემ ბოლო მოსახვევში შიდა რადიუსიდან ჩამოიტოვა ბეჟაშვილი, დაწინაურდა და აღარც გაუშვია ხელიდან პირველი ადგილი. ბეჟაშვილი მას ჩამორჩა და მერე, ბოქსებში, ტექნიკურ პრობლემებზე საუბრობდა. მესამე ადგილზე მელაძე გავიდა.

მეორე რბოლის დაწყებამდე 15-წუთიანი შესვენება გამოცხადდა. ამ პერიოდში ერთმანეთს "ჯუნიორის" კლასში მოასპარეზე სამი პილოტი შეეჯიბრა ერთმანეთს "სუძუკის" მოდელებით. გამარჯვება **დიმიტრი ქობულაძემ** მოიპოვა. მეორე **დავით მენთეშაშვილი** იყო, მესამე - **თორნიკე კიკნაველიძე**.

მეორე რბოლის სასტარტო ბილიკი პირველის საბოლოო შედეგის უკუვარიანტი იყო, მაგრამ ამან საერთო სიტუაცია მაინც არ შეცვალა. ფავორიტებმა დაწყებისთანავე დაიკავეს შესაბამისი ადგილები და პაექრობა განაგრძეს. როგორც ჩანს, თავართქილაძის შემჩერებელი წელს არავინაა. ბეჟაშვილი თითქოს ცდილობდა ინტრიგის შექმნას, მაგრამ ბოლოს ისიც დანებდა. აღნიშვნის ღირსია ქაჯაიას წინსვლა, არ გაუმართლა ბიძინაშვილს, ორჯერ "მოუსრიალდა" მანქანა ოგბაიძეს.

ოთარ თავართქილაძემ ზედიზედ მეოთხე რბოლა მოიგო. ზურაბ ბეჟაშვილი მეორე იყო, დათა ქაჯაია - მესამე, მამუკა მელაძე - მეოთხე, არჩილ ჩიქოვანი - მეხუთე, კახა ჩადუნელი - მეექვსე, გიორგი ოგბაიძე კი - მეშვიდე.

**დავით ჩუბინიძე**

## კრივი

საერთაშორისო ტურნირი

# კიევს ბაქოსი არ სჯერა

უკრაინის დედაქალაქში დასრულდა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ცნობილი მოკრივეების, ძმები კლიჩკოების სახელს ატარებს. აღნიშნული შეჯიბრება საქართველოს ნაკრებისთვის წლის მეორე ტურნირია ბაქოს შემდეგ. როგორც იცით, აზერბაიჯანის დედაქალაქში საქართველოს ნაკრებმა ერთბაშად რვა მედალი მოიპოვა (ერთი - ოქროსი). ამდენად, საინტერესო იყო, შეძლებდა თუ ვერა გუნდი აღებული ტემპის შენარჩუნებას კიევშიც.

მართალია, უკრაინაში რვას ვერ შევწვდით, მაგრამ ერთი ჩვენებური ჩემპიონი გახდა, ერთმაც ვერცხლის მედალი მოიპოვა. რა თქმა უნდა, მედლების რაოდენობაში განსხვავება დიდია, მაგრამ ასეთი დონის ტურნირზე, ოქრო-ვერცხლიც არაა ურიგო შედეგი. რაც მთავარია, იკვეთება გუნდი, რომელსაც უმაღლესი რანგის შეჯიბრებებზე რეალურად შეუძლია კარგი შედეგის ჩვენება, დანარჩენი კი მომავალში გამოჩნდება.

აღსანიშნავია, რომ სამოყვარულო კრივში არსებული ქრონიკული ინფორმაციული ვაკუუმის გამო, საქართველოს ნაკრების შედეგების გაგება კვლავ ჩვენი საკრივო წრეების აქ მყოფი წარმომადგენლებისგან მოვახერხეთ. გუშინდლამდე, არავინ არაფერი იცოდა, გუშინ კი ნაკრების ექსთავკაცმა **თენგიზ მესხაძემ** გვითხრა, რომ მისი ინფორმაციით, კიევში ჩემპიონი გამხდარა **გიორგი ნაკანი** (75 კგ), ხოლო მესხაძის შეგირდი, ბაქოს ტურნირის გამარჯვებული **კობა ფხაკაძე** (57 კგ) მხოლოდ ფინალში დამარცხებულა. მესხაძემ ისიც დასძინა, შეცდომაში არ მინდა შეგიყვანოთ და ეს მთლად ზუსტი ინფორმაცია არ არისო. თურმე, ჩვენს გუნდს უკრაინიდან დაბრუნების პრობლემაც ჰქონია. გუშინ, საღამოს 6 საათისთვის დანიშნული ავიარეისი დღეისთვის გადადებულა და შესაბამისად, გუნდი ან დღეს დაბრუნდება თბილისში, ან გუშინ, გვიან ღამით უნდა ჩამოფრენილიყო სხვა რეისით.

**კობა ხატისაშვილი**

## ჩოგბურთი

# ბალტიელები ჩავანაცვლეთ

მოგეხსენებათ, ქალ ჩოგბურთელთა ნაკრებმა მავრიკის კუნძულებზე წარმატებით იასპარეზა ფედერაციის თასის ევროპა-აფრიკის II ზონაში და საგაისოდ პირველი ზონის საგზური მოიპოვა პორტუგალიის ნაკრებთან ერთად. შაბათს ბულგარულ პლოვდივში 16-გუნდიანი პირველი ზონის გათამაშება დასრულდა, გაირკვა ის ორი გუნდიც, რომლებიც დატოვებენ ზონას. ჩვენები და პორტუგალიელები ლიტვასა და ესტონეთს ჩაანაცვლებენ. ფლეი-დაუნში ოთხი ჯგუფის ბოლოადგილოსნები თამაშობდნენ. ბულგარეთმა 2:0 მოუგო ლიტვას, ჰოლანდიამ კი ესტონეთი დაამარცხა - 2:0. ჰოლანდიელთა წარუმატებლობის მიზეზი **მიხაელა კრაიჩეკის** ტრავმაა, რომელმაც ჯგუფის პირველივე შეხვედრაში დაიშავა ფეხი და მხოლოდ ესტონელებთან მატჩისთვის ჩადგა მწყობრში და ნაკრები გავარდნისგან იხსნა. მეორე მსოფლიო ჯგუფში გადასვლა სერბებმა და უკრაინელებმა შეძლეს. სერბეთის ნაკრებმა რუმინეთი დაამარცხა - 2:1, ხოლო უკრაინამ - პოლონეთი 2:1.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## თარიღი

**ზურაბ მაჩხანელი.** დაიბადა 23.04.1923, მცხეთა. სასტენდო სროლა. სსრკ ორგზის ჩემპიონი (1954, 56) და თასის მფლობელი (1973), სსრკ 8-გზის რეკორდსმენი. საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი (1950-70-იანი წლები) სსრკ ნაკრების მწვრთნელი (1967-87). საქართველოს და სსრკ დამსახურებული მწვრთნელი, ღირსების ორდენის კავალერი.

**სერგო ჯაიანი.** 23.04.1928, სოხუმი - 22.01.90. თბილისი. სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიოს ჩემპიონი გუნდურ პირველობაში და მესამე პრიზიორი ბჯენით ხტომებში (1954), მსოფლიოს სტუდენტთა თამაშების მეორე პრიზიორი ბჯენით ხტომებში (1954), სსრკ ორგზის ჩემპიონი (1954 - ბჯენითი ხტომები, 1955 - ღერძზე ვარჯიში), ორგზის მეორე (1951 - თავისუფალი ვარჯიში, 1953 - ბჯენითი ხტომები) და ორგზის მესამე (1951 - ბჯენითი ხტომები, 1954 - თავისუფალი ვარჯიში) პრიზიორი. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

**მარლენ პაპავა.** დაიბადა 23.04.1941, სოხუმი. ტყვიის სროლა. ევროპის ჩემპიონი გუნდურ შეჯიბრებაში (1976), სსრკ ორგზის ჩემპიონი გუდურ ჩათვლაში (1970, 74), ორგზის მეორე (1970, 76) და ორგზის მესამე (1976, 78) პრიზიორი. 1976 წლის მონრეალის ოლიმპიური თამაშების მონაწილე (XXVI ადგილი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავისუფალი ჭიდაობა

ევროპის ჩემპიონატი

# ორ ოქროს პლუს სამი მედალი

თავისუფალი ჭიდაობის ნაკრებმა მთლად წარმატებით ვერ გადაიბარა ესტაფეტა „ანტიკოსთაგან“ - მათი ორი ოქროს შემდეგ, ამათ ერთი ვერცხლი და ორი ბრინჯაო მოიპოვეს. **გელა სალირაშვილს** (74) ჩემპიონატის უმთავრეს სენსაციამდე ფინალის მოგება დააკლდა და მეორე ადგილს დასჯერდა. გუნდის უმთავრესი ფავორიტი - **გიორგი გოგშელიძე** (96) და ნაკრებში ბოლო დღეებში ჩარიცხული მძიმეწონოსანი **ლექსო მოდებაძე** მესამე ადგილზე გავიდნენ.

სოფიაში მიმავალი გელა სალირაშვილი, როგორც ნაკრების დანარჩენი წევრები, გოგშელიძის ჩრდილში იმყოფებოდა. ცხადია, არც ფსიქოლოგიურ ზეწოლას გრძნობდა და იქნებ ამანაც შეუწყო ხელი კარიერაში ჯერჯერობით უდიდეს წარმატებაში. მან ვარჯიში **ბიჭიკო პაპაშვილთან** დაიწყო, თუმცა ამჟამად **მარლენ ოსიყმაშვილთან** ვარჯიშობს. ბარემ აქვე გეტყვით, რომ ოსიყმაშვილის შეგირდია მოდებაძეც. გუნდისგან განსხვავებით, მხცოვანი მწვრთნელისთვის ასეთი შედეგი ნამდვილად წარმატებაა.

არადა, სალირაშვილი ნამდვილად არ მოხვედრილა იოლ ჯგუფში. თავად განსაჯეთ - ფინალში გასასვლელად მან ევროპის ორი ჩემპიონი - აწ უკვე საბერძნეთის სახელით მოასპარეზე **ემზარიოს ბედინიდისი** (ემზარ ბედინეიშვილი) და რუსეთიდან სომხეთში გადასული **რუსლან კოკაევი** (ამან შარშან ევროპაზე ფინალიც იჭიდავა) და ევროპის შარშანდელი პოლონელი პრიზიორი **კრისტიან ბრჟოზოვსკი** დაამარცხა. მანამ, სულ პირველად ლატვიელ **ანტანს აზარევიჩსაც** მოუგო, მაგრამ ის ტურნირის დებიუტანტია და ამათ ფონზე სათვალავში ჩასაგდებიც არაა. მართალია, გელას საკმაოდ გაუჭირდა - პოლონელთან და ბერძენთან დამატებითი დრო დასჭირდა, ყოფილ თანამემამულესთან კი პირველი პერიოდი წმინდადაც დათმო, მაგრამ მთავარი შედეგია.

ფინალში სალირაშვილს უძლიერესი მეტოქე ელოდა - ევროპის ორგზის და მსოფლიო ჩემპიონი, რუსი ოლიმპიური პრიზიორი **მახაჩ მურთაზალიევი**. ვერ გეტყვით, სალირაშვილი ფინალში გასვლამ დააკმაყოფილა თუ რუსს სუსტი წერტილები ვერ მოუძებნა, მაგრამ გადამწყვეტი შეხვედრა ძირითად დროშივე დათმო და ვერცხლს დასჯერდა.

ვფიქრობთ, **გიორგი გოგშელიძე** ამ მარცხს კარგა ხანი ვერ დაივიწყებს. არადა, საჭიროა, კოშმარიდან სწრაფად გამოვიდეს, სოფიაში დაშვებული შეცდომები გაითვალისწინოს და ღირსეულად მოემზადოს მსოფლიო ჩემპიონატისთვის. მას შემდეგ, რაც გამოცხადდა, რომ რუსეთის ნაკრებში ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი **ჰაჯიმურატ გაცალოვი** არ იჭიდავებდა, ჩვენი საჩემპიონო შანსები გაათმაგდა. გოგშელიძეს უპირველეს კონკურენტად ასახელებდა რუსეთის ნაკრების თავკაცი **ჯამბულათ თედეევი** და გაცალოვის შემცვლელი **შირვანი მურადოვიც**.

ვერ გეტყვით, რამდენად გულწრფელი იყო მურადოვი, თუმცა როცა წილისყრამ მისი და გოგშელიძის გზები გადაკვეთა, მოვლენათა ასეთ განვითარებას თავადაც ვერ წარმოიდგენდა. ვერც ჩვენ წარმოვიდგენდით, თუ გოგშელიძე რუსთა დებიუტანტს ქულას ვერ აართმევდა. მით უფრო, მან პირველ შეხვედრაში დამაჯერებლად დაამარცხა (2:0; 3:0) თურქი **ჰაკან კოჩი**. ჩვენდა სამწუხაროდ, რუსმა ძირითად დროში დაგვიმარცხა ლიდერი - 1:0; 2:0. როგორც სატელეფონო საუბარში ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა **კახა გეწაძემ** განაცხადა, ეს მარცხი ქართველებისთვის ხომ აუხსნელია, უცხოელებიც არანაკლებ გაკვირვებულან. მით უფრო, დამაჯერებლად ჩატარებული პირველი შეხვედრისა და სანუგეშოში ასევე ბრწყინვალე გამოსვლის შემდეგ.

დამამშვიდებელში გოგშელიძე შეუჩერებელი იყო - ბულგარელ **დიმიტარ კუმჩევსა** და უნგრელ **დარდაი კიშს** ძირითადის ორივე პერიოდი წმინდად მოუგო. ბრინჯაოსთვის ბრძოლაში რუმინელ **მიჰაი სტროიას** პირველი პერიოდი ასევე სუფთად მოუგო, მეორე - 3:0 და ევროპის ჩემპიონატზე ზედიზედ მეორედ დაეუფლა ბრინჯაოს მედალს, თუმცა ეს მისთვის დიდი ნუგეში ვერ იქნება.

მეორე ბრინჯაო **ალექსი მოდებაძემ** მოგვიტანა, რაც პირველი დღის ერთადერთი ქართული მედალი აღმოჩნდა. არადა, ამ ბრინჯაომდე მთელი ორი სეზონი მოდებაძემ დანის პირზე იარა. მთელი ეს წლები იგი, პრაქტიკულად, ვერც ხვდებოდა ნაკრებში და ახლაც ბოლო მომენტში შეიყვანეს. ჯერ იყო და ამ წონაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა **ლუკა კურტანიძემ** აინაცვლა და ამან მოდებაძეს მსოფლიოს შარშანდელი პირველობა გამოატოვებინა. კურტანიძე წლეულს თავის წონას - 96-ს კი დაუბრუნდა, მაგრამ ლექსო სეზონის დასაწყისში ქვეყნის პირველობაზე ახალგაზრდა **დავით მოძმანაშვილთან** დამარცხდა. მოგვიანებით მოძმანაშვილიც ტრავმამ შეაწუხა და სოფიაში მოდებაძე წაიყვანეს.

იგი ბრინჯაოს საკმაოდ მძიმე ბრძოლებში შესწვდა - 4 ორთაბრძოლიდან მხოლოდ ბოლო მოიგო ძირითადში, დანარჩენ სამში კი დამატებითი დრო დასჭირდა. ლექსოს ძირითად ბადეში ორი ბრძოლა დასცალდა - პირველში რუმინელი **დანიელ კინტოანუ** სამ სეტში 9:2 დაამარცხა, მეორე კი თავად წააგო მომავალ ფინალისტთან, ახალგაზრდა უკრაინელ **სერგეი პრიადუნთან** - 1:7.

სანუგეშოში მან ისევ დამატებითში მოლდოველ **გეორგი სუსუმკოვს** (0:1; 1:0; 3:0) სძლია და ბრინჯაოსთვის ბრძოლის უფლება მოიპოვა, უნგრელ **ოტო ობეისთან**. აქ ორივე პერიოდში მოდებაძე დამაჯერებელ უპირატესობას ფლობდა და მოგება არ გასჭირვებია. მის კარიერაში ეს მესამე ევროპული მედალია - 2001 წელს ვერცხლი მოიპოვა, ორი წელიწადში - ბრინჯაო.

პირველ დღეს ბრინჯაოსთვის იჭიდავეს **ბესარიონ გოჩაშვილმა** (55) და **ლერი ქეთიშვილმა** (84), მაგრამ ორივემ უშედეგოდ. წილისყრიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, გოჩაშვილმა მაქსიმუმი გააკეთა - ნახევარფინალში უპრობლემოდ უნდა გასულიყო, და თუ ამ ბარიერსაც დაძლევდა, პატარა გმირობას ჩაიდენდა. მან იტალიელი **ფაბიო კოშინო** და ესპანელი **ფრანსისკო ხავიერ სანჩესი** იოლად დაამარცხა. ერთი ეგაა, სანჩესთან (ამას 2005 წლის ევროპირველობაზე ბრინჯაოსთვის ბრძოლაში მოუგო) დამატებითი დრო დასჭირდა, მაგრამ ნახევარფინალში მართლაც უპრობლემოდ გავიდა. წილისყრით, პირველი სერიოზული დაბრკოლება მას იქ უნდა შეხვედროდა მსოფლიო ჩემპიონატის შარშანდელი ფინალისტების სახით - მასპინძელი ჩემპიონი **რადოსლავ ველიკოვი** ან რუსი ვერცხლის პრიზიორი **ბესიკ კუდუხოვი**. თუ ამათ გაცდებოდა, მედალსაც გაინაღდებდა, არადა, სანუგეშოში მათ შორის წაგებულთან მოუწევდა შეხვედრა, ეს კი იგივეა, ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო. ბედის ირონიით, ფავორიტები პირველ წრეში შეხვდნენ ერთმანეთს და ბევრისთვის მოულოდნელად, კუდუხოვმა დამაჯერებლად მოიგო. ჩვენდა სამწუხაროდ, მას პრობლემები ვერც გოჩაშვილმა შეუქმნა, რომელიც მერე დამამშვიდებლის ფინალში ველიკოვთანაც დამარცხდა. ბულგარელი რეალურად ძალიან ძლიერი მოჭიდავეა - ზედიზედ იჭიდავა მსოფლიოს ბოლო ორი ჩემპიონატის ფინალი, მაგრამ ჩვენებურის საქმეს ისიც ართულებდა, რომ პირველი დღე მასპინძელთათვის კოშმარულად დაიწყო - ოთხიდან სამმა იქაურმა პირველივე წრეში წააგო. ამას ისიც დაემატა, რომ ფინალში ვერც მეოთხე გავიდა. უეჭველია, მსოფლიო ჩემპიონ ველიკოვისგან ახლაც ოქროს ელოდნენ და მისი უმედლოდ დარჩენა წარმოუდგენლად ჩანდა. თუმცა, ვიმეორებთ, ველიკოვი ძლიერი მოჭიდავეა.



გიორგი გოგშელიძე

დებიუტანტი ქეთიშვილი სომეხ ევროპის ორგზის პრიზიორ **ვადიმ ლალიევსა** და საფრანგეთის სახელით მოასპარეზე **ნოდარ ბოხაშვილთან** მოგების შემდეგ უკრაინელ ევროპის ჩემპიონ **ტარას დანკოსთან** დამარცხდა. სანუგეშოში კვიპროსელ **ფელიქს პოლიანიდისს** უფრო დამაჯერებლად მოუგო, მაგრამ ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ფიზიკურად დაიჩაგრა თურქ ევროპის ვიცე-ჩემპიონ **სერჰათ ბალჩისთან**.

ამ წონაში ძმების შეხვედრა ვერ ვნახეთ, რადგან წილისყრამ რუსეთის სახელით მოასპარეზე მისი უმცროსი ძმა - **გიორგი კეტოევი** ბადის მეორე ნახევარში მოახვედრა. ისინი ფინალში თუ შეხვდებოდნენ. ჩვენდა სამწუხაროდ, იქამდე მხოლოდ რუსების ქეთიშვილმა გაალწია და მერე ჩემპიონიც გახდა. აშკარაა, გიორგის სახით რუსთა ნაკრებს მორიგი ლიდერი შეემატა. იგი მართლაც ჩინებულადაა მომზადებული და დანკოს ფინალი ისე დამაჯერებლად მოუგო, ნამდვილად დამაეჭვა მამამისის სიტყვებში - ძმები ევროპაზე რომც შეხვდნენ ერთმანეთს, ამჯერად ლერი მოუგებსო. გიორგი ფიზიკურად თუ ტექნიკურად ჩინებულადაა მომზადებული და ლერისა კი არა, მსოფლიო თასზე მასთან **რევაზ მინდორაშვილის** მარცხიც არ მიგვაჩნია შემთხვევითობად.

სამწუხაროდ, ჩვენი გუნდის სხვა წევრებს ხელი მოეცარათ. მოლოდინისამებრ, დებიუტანტმა **კობა კაკალაძემ** (66) სასწაული ვერ მოახდინა და პირველივე წრეში უძლიერესი მასპინძელი, მსოფლიოს ორგზის, ევროპის ოთხგზის და ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **სერაფიმ ბარზაკოვი** ვერ დაამარცხა - 3:8 წააგო ძირითად დროში. ამაზე უფრო მოულოდნელი თავად ბულგარელის მარცხი იყო ნახევარფინალში რუს ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონ **ირბეკ ფარნიევთან**. ეს პირველ დღეს ხდებოდა, რომელიც მასპინძელთათვის კოშმარულად დაიწყო - ოთხიდან სამი ბულგარელი პირველივე წრეში დამარცხდა და ერთადერთი საჩემპიონო იმედები ბარზაკოვს უკავშირდებოდა. მაგრამ მან ფარნიევთან ორ პერიოდში 1:8 წააგო და თავად სანუგეშოში კი გადაინაცვლა (საბოლოოდ - წარმატებითაც), მაგრამ კაკალაძე ტურნირიდან გააგდო. უსახელოდ გავარდა დებიუტანტი **გიორგი ბალიაშვილიც** (60) - ესტონელ **იაან ლიპსთან** მოგებას რუს **ადამ ბატიროვთან** მარცხი მიაყოლა და რაკი ესეც ფინალამდე დამარცხდა, ტურნირსაც დაემშვიდობა.

**ირაკლი თავაძე**

| სოფია, 21-22 აპრილი |
| --- |
| **55 კგ.** |
| 1. ბესიკ კუდუხოვი (რუსეთი) |
| 2. მარსელ ევალდი (გერმანია) |
| 3. სეზერ აქგული (თურქეთი) |
| 3. რადოსლავ ველიკოვი (ბულგარეთი) |
| 5. ბესარიონ გოჩაშვილი (საქართველო) |
| **60 კგ.** |
| 1. ვასილ ფედორიშინი (უკრაინა) |
| 2. ანატოლი გუიდეა (ბულგარეთი) |
| 3. დიორდი ვიოლერი (უნგრეთი) |
| 3. მურად რამაზანოვი (მაკედონია) |
| 11. გიორგი ბალიაშვილი(საქართველო) |
| **66 კგ.** |
| 1. ალბერტ ბატიროვი (ბელარუსი) |
| 2. ირბეკ ფარნიევი (რუსეთი) |
| 3. სერაფიმ ბარზაკოვი (ბულგარეთი) |
| 3. რამაზან შაჰინი (თურქეთი) |
| 18. კობა კაკალაძე (საქართველო) |
| **74 კგ.** |
| 1. მახაჩ მურთაზალიევი (რუსეთი) |
| 2. გელა სალირაშვილი (საქართველო) |
| 3. ემზარიოს ბედინიდისი (საბერძნეთი) |
| 3. შამსულვარა შამსულვარაევი (აზერბ.) |
| **84 კგ.** |
| 1. გიორგი კეტოევი (რუსეთი) |
| 2. ტარას დანკო (უკრაინა) |
| 3. არპად რიტერი (უნგრეთი) |
| 3. სერჰათ ბალჩი (თურქეთი) |
| 5. ლერი ქეთიშვილი (საქართველო) |
| **96 კგ.** |
| 1. შირვანი მურადოვი (რუსეთი) |
| 2. რუსლან შეიკოვი (ბელარუსი) |
| 3. გიორგი გოგშელიძე (საქართველო) |
| 3. შამილ ბიტინოვი (სომხეთი) |
| **120 კგ.** |
| 1. კურამაგომედ კურამაგომედოვი (რუს.) |
| 2. სერგეი პრიადუნი (უკრაინა) |
| 3. ალექსი მოდებაძე (საქართველო) |
| 3. ფათიჰ ჩაკიროღლუ (თურქეთი) |



ზემოდან ბრინჯაოს პრიზიორი ლექსო მოდებაძე



ბესარიონ გოჩაშვილს (მარჯვნივ) მედლამდე ერთი მოგება დააკლდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. სუპერლიგა. XXIV-XXV ტურები

### XIV ტური. 21 აპრილი

**სტუ-დინამო 111:107**

37:25, 24:25, 24:18, 26:39

სტუ: ლ. ნოზაძე (5 ქ), ეძგვერაძე (2 ქ), სეფისკვერაძე (2 ქ), ბერაია (25 ქ. 4 პ), კოხრეიძე (8 ქ. 7 პ. 6 ჩ), ძიძიგური (9 ქ), მაისურაძე (13 ქ. 6 მ), ახალკაცი (22 ქ. 11 მ), ბარბაქაძე (25 ქ. 4 პ. 3 ჩ. 6 მ).

დინამო: გულისაბედაშვილი (3 ქ), ბადრიძე (12 ქ. 7 პ. 3 ჩ), ლაფანაშვილი (27 ქ. 4 პ), კოლუაშვილი (11 ქ. 8 მ), ნ. ნოზაძე (16 ქ. 3 ჩ), სიგუა (3 ქ), მურჯიკნელი (13 ქ), გვიმრაძე (19 ქ. 5 მ. 3 პ), ფაიქრიძე.

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. არეშიძე

**თსუ-მაკაბი 113:80**

23:13, 35:24, 13:14, 42:29

თსუ: არნივიძე (3 ქ. 3 ჩ), ბ. ბერიშვილი (10 ქ. 3 პ. 6 მ), ფანჩულიძე (11 ქ. 3 პ), ლეჟავა (29 ქ. 4 მ), მარხვაშვილი (2 ქ), ვეფხვაძე, შანიძე (11 ქ. 4 პ. 7 მ), მათიაშვილი (2 ქ. 3 პ), ტყეშელაშვილი (2 ქ), ხეცურიანი (25 ქ. 4 პ), იმნაძე (9 ქ), მ. ბერიშვილი (9 ქ. 3 ჩ. 6 მ).

მაკაბი: დოლიძე (12 ქ. 6 პ. 7 მ), ხორავა, პირველაშვილი (8 ქ. 7 შ), ბარსეგიანი (4 ქ), ჯგერენაია (6 ქ. 3 პ. 8 მ), ვაშაკიძე (8 ქ), კორკოტაძე (18 ქ. 6 შ), ს. შერმადინი (24 ქ. 15 მ. 2 დ).

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, მ. ანდღულაძე

**ავიამშენი-აზოტი 82:108**

20:36, 17:25, 23:23, 22:24

ავიამშენი: დ. ბერიშვილი (3 ქ. 3 პ), ბაბიაშვილი (13 ქ. 8 მ), ხომტარია (9 ქ. 8 პ), ნიკოლაძე, ი. ბერიშვილი (13 ქ), კვიმსაძე (10 ქ. 3 პ), ნინიაშვილი (6 ქ), კეიდია (14 ქ), როდუმტა (14 ქ. 4 ჩ. 5 მ).

აზოტი: გამყრელიძე (13 ქ), ბერძენიშვილი (6 ქ), ბეჟანიშვილი (12 ქ), ბოისა (12 ქ. 5 მ), დიდია (3 ქ), მინაშვილი (2 ქ), ტულუში (22 ქ. 5 მ), მარკოიშვილი (17 ქ), უგრეხელიძე (8 ქ. 5 მ), გოგობერიშვილი (6 ქ. 5 პ), ტუჯანი (5 ქ), მალეშევიჩი (2 ქ. 9 პ).

მსაჯები: მ. კუპატაძე, ხ. გაბედავა

### XXV ტური. 22 აპრილი

**სტუ-აზოტი 84:115**

31:34, 19:32, 19:21, 15:28

სტუ: ლ. ნოზაძე (6 ქ), სეფისკვერაძე, ბერაია (13 ქ), კოხრეიძე (18 ქ. 6 პ. 3 ჩ. 7 მ), მაისურაძე (25 ქ. 3 პ. 10 მ), ძიძიგური (2 ქ), ახალკაცი (8 ქ. 8 მ), ბარბაქაძე (8 ქ), დევიძე (4 ქ).

აზოტი: გამყრელიძე (4 ქ. 3 პ), ლიპარტელიანი (8 ქ), მინაშვილი (14 ქ), ბერძენიშვილი (14 ქ. 6 მ), დიდია (14 ქ. 4 პ. 7 პ), ცეკვავა (3 პ), ტულუში (9 ქ. 4 პ), მარკოიშვილი (20 ქ), მალეშევიჩი (4 ქ. 7 პ), გოგობერიშვილი (7 ქ), ტუჯანი (8 ქ), ჭოჭუა (13 ქ. 4 პ).

მსაჯები: მ. კუპატაძე, ხ. გაბედავა

**დინამო-მაკაბი 97:84**

31:29, 30:18, 20:12, 16:25

დინამო: გულისაბედაშვილი (19 ქ. 5 პ. 3 ჩ), ბადრიძე (2 ქ. 3 ჩ), კოლუაშვილი (13 ქ. 7 მ), ლაფანაშვილი (8 ქ. 6 მ), ნ. ნოზაძე (14 ქ. 3 პ), სიგუა, ბოლქვაძე (2 ქ. 5 მ), მურჯიკნელი (9 ქ), გვიმრაძე (22 ქ. 4 პ. 2 დ), ფაიქრიძე (8 ქ. 7 მ).

მაკაბი: დოლიძე (9 ქ. 6 პ. 3 ჩ), ხორავა (6 ქ), პირველაშვილი (9 ქ. 3 პ. 3 ჩ), ჯგერენაია (18 ქ), ვაშაკიძე (17 ქ. 5 მ), კორკოტაძე (3 ქ. 4 პ), ს. შერმადინი (25 ქ. 3 პ. 16 მ).

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, მ. ანდღულაძე

**ავიამშენი-თსუ 95:108**

24:36, 25:23, 24:20, 22:29

ავიამშენი: დ. ბერიშვილი (3 ქ), ბაბიაშვილი (19 ქ. 6 მ), მოსეშვილი, ხომტარია (2 ქ), ნიკოლაძე (11 ქ), ი. ბერიშვილი (31 ქ. 4 პ), კვიმსაძე (10 ქ. 4 პ. 4 ჩ. 5 მ), კეიდია (11 ქ), როდუმტა (6 ქ. 9 მ. 3 ჩ), სუხიშვილი (2 ქ).

თსუ: არნივიძე, ბ. ბერიშვილი (12 ქ), ფანჩულიძე (13 ქ), ლეჟავა (10 ქ), მარხვაშვილი (11 ქ), ვეფხვაძე (2 ქ), შანიძე (15 ქ. 3 პ. 7 მ), მათიაშვილი (8 ქ. 9 მ. 4 პ), ხეცურიანი (25 ქ. 6 პ), იმნაძე (2 პ), მ. ბერიშვილი (10 ქ).

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, დ. არეშიძე

### საბოლოო მდგომარეობა

| | თ | მ | ნ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. აზოტი | 25 | 24 | 1 | 49 |
| 2. ავიამშენი | 25 | 17 | 8 | 42 |
| 3. თსუ | 25 | 16 | 9 | 41 |
| 4. დინამო | 25 | 8 | 17 | 33 |
| 5. სტუ | 25 | 7 | 18 | 32 |
| 6. მაკაბი | 25 | 3 | 22 | 28 |

**ნახევარფინალი. 3 მოგებამდე**

აზოტი-დინამო

ავიამშენი-თსუ

# მტრედი, ფინეთი, როდმანი, ყვავი...

გუშინ ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში მტრედი შემოფრინდა, რაც სიმბოლურად რეგულარული ჩემპიონატის მშვიდობიანად დასრულების მაუწყებელი უნდა ყოფილიყო...

ისე, უკეთესი იქნებოდა, მტრედის ნაცვლად ყვავი შემოფრენილიყო, ჩვენს დღევანდელ ყოფას ეს უფრო შეესაბამებოდა - მოსწრებულად შენიშნა ერთ-ერთმა ჟურნალისტმა და იქვე განმარტა: შავ დარბაზში (გარშემო წამოჭიმულმა ცათამბჯენებმა მზე მთლად დააბნელა), შავ დღეში ვართ - არქაულ ტაბლოზე მხოლოდ ანგარიში იწერება, თუკი თბილისის მერია მადლს შვრებოდა, ზედ მარილიც მოეყარა და გადაღებილი დარბაზისთვის ერთი ახალი ტაბლო გაემეტებინა; ტრიბუნებზე მხოლოდ კალათბურთელთა თითო-ოროლა ბიძაშვილ-მამიდაშვილია; ახლა კომპიუტერიც გაფუჭდა და ქულა-მოხსნა-პასების დაფიქსირება სამდივნოს წევრებს ბუმბულითა და მელნით უწევთ (ქაღალდი გაიაფდა, თორემ მართლა პალიმფსესტების გამოყენება გახდებოდა საჭირო)...

მოკლედ, გაზაფხულია და, ბარვა-თოხნის ნაცვლად, მიწას ერთ ადგილას ვტკეპნით. ამასობაში ცივილიზაციამ ევროპის განაპირა ქვეყნებშიც შეაღწია და ჩვენს ნაცნობ ფინელებს ლეგიონერი-ლეგიონერზე ჩაჰყავთ. ერთ-ერთი სუომური გუნდი 1-2 თამაშით თვით **დენის როდმანის** ჩაყვანას აპირებდა. მერე მაინც გაგვიკვირდება - როგორ თუ ფინელები გვჯობნიანო!

ფინეთი, როდმანი, ყვავი... თემას მეტისმეტად გადავუხვიეთ, მაგრამ ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პირობებისა და ქომაგების არქონა-არყოფნა კალათბურთელებზეც უარყოფითად მოქმედებს. ეს კი თამაშის ხარისხზე პირდაპირპროპორციულად ისახება. ფაქტი სახეზეა - შაბათ-კვირას გამართული ექვსი მატჩიდან ღირსეული ბრძოლა მხოლოდ ერთში ვიხილეთ. "აზოტი"-"ავიამშენი" და თსუ-ავიამშენის შეხვედრებზე ერთი-ორად სანახაობრივი "დინამო"-სტუ-ს დაპირისპირება იყო. დინამოელებმა 23-ე ტურში თსუ დაამარცხეს და შაბათ-კვირას ორიდან ერთ მატჩში გამარჯვებაც ჰყოფნიდათ მეოთხე ადგილზე (ანუ ფლეი ოფში) გასასვლელად. დილმელები შაბათს სტუ-ს დაუპირისპირდებიან, ხოლო კვირას - "მაკაბის". ტექნიკოსებმა იმის იმედად, რომ "დინამო" "მაკაბისთან" წაიფორხილებდა და ფლეი ოფის საგზური "ჯიბიდან ამოუვარდებოდა", მატჩი მობილიზებით ჩაატარეს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ შაბათს სტუ-მ სეზონის საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა და წინა ტურში თსუ-ს მძლეველ "დინამოს" პირველივე მეოთხედში 20 ქულის სხვაობით გაასწრო - 26:6. ვიდრე **ზაზა ცაგარეიშვილის** შეგირდები თამაშს დაალაგებდნენ, ტექნიკოსები **ნოდარ ბერაია, გულივერ ახალკაცი** და **გიგი ბარბაქაძე** ქულას-ქულაზე აგროვებდნენ. მათ კი პასებით **შალვა კოხრეიძე** (7 პასი) ამარაგებდა. გადამწყვეტი რაუნდის წინ ანგარიშში სხვაობა სოლიდური იყო 85:68 - სტუ-ს სასარგებლოდ.

სწორედ მეოთხე პერიოდში გამოილვიძა "დინამომ", სამქულიანს სამქულიანი მიაყოლა (**ლაფანაშვილმა** 3 შორეული ტყორცნა გამოიყენა, თითო სამქულიანი **გულისაბედაშვილმა** და **ბადრიძემ** ჩააგდეს) და საფინალო სირენამდე 12 წამით ადრე სხვაობა 2 ქულამდე შემცირდა - 107:109. დარჩენილ დროში თანაგუნდელებს **გიგი ბარბაქაძემ** მოაგებინა - ჯერ ბურთი ჩაჭრა და ზუსტი პასით **ეძგვერაძეს** საფინალო ანგარიში დააფიქსირებინა (111:107).

ჩვენი გაზეთის ვერსიით ტურის საუკეთესო მოთამაშე სწორედ გიგი ბარბაქაძე იყო, რომელმაც 25 ქულას, 4 პასს, 3 ჩაჭრას, 6 მოხსნასა და 1 დაფარებას მოუყარა თავი.

... თუმცაღა, ხმების შეჯერების შედეგად MVP-დ აზოტელი **ლაშა გამყრელიძე** დასახელდა. 25-ე ტურის მარგი მოთამაშე კი თსუ-ელი **შიო ხეცურიანი** იყო.

სტუ-"დინამოს" დაპირისპირების მეორე სერია "დინამო"-"მაკაბის" გუშინდელი მატჩი იყო. საოცრება არ მოხდა, ყველაფერი ისე დასრულდა, როგორც მოსალოდნელი იყო - 97:84 დილმელთა სასარგებლოდ.

შეხვედრის სირენამ რომ ჩამოჰკრა "დინამოს" მწვრთნელმა შეგირდებს ფლეი ოფში გასვლა მიულოცა და ოთხშაბათამდე თავისუფლები ხართო...

*"ოთხშაბათიდან საქმეს უნდა შევუდგეთ. მართალია, პროგრამა მინიმუმი შევასრულეთ, მაგრამ ახლა "აზოტისთვის" ღირსეული კონკურენციის გაწევაზე უნდა ვიზრუნოთ. რუსთაველთა გუნდი სხვებზე ერთი თავით მაღლა დგას და ვერ ვიტყვი, რომ ფინალში გასვლის მასზე მეტი შანსი გვაქვს, მაგრამ უბრძოლველად არაფერს დავთმობთ".* - გვითხრა ზაზა ცაგარეიშვილმა.

როგორც მიხვდით, საქართველოს მე-16 ჩემპიონატის ერთ ნახევარფინალში "აზოტი" და "დინამო" ითამაშებენ.

მეორე წყვილი დიდი ხნით ადრე გაირკვა - თსუ-"ავიამშენი".

ფლეი ოფები 5 მაისიდან დაიწყება. ფინალში კი ის გუნდი გავა, რომელიც სამი მატჩის მოგებას მოახერხებს. ისევე როგორც ნახევარფინალი, ფინალური სერიაც სამ მოგებამდეა.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ტექნიკოსმა გიგი ბარბაქაძემ დინამოსთან ასე იფრინა



ვინ დგას მათიაშვილის უკან?



NHL. ფლეი ოფი. I წრე

# ხუთი უკვე ცნობილია



მარტი ტურკოს 204 წუთია ვერ უტანენ

### აღმოსავლეთი

**ბაფალო (1)-აილენდერსი (8) 4:3**

1:0, 2:0, 1:3

**გოლები:** 1:0 სტეფორდი-1 (ქონოლი-3, მეირი-2), 2:0 პომინვილი-2 (ბრიერი-4), 3:0 დ. რუა-1 (კოტალიკი-1, აფინოგენოვი-3), 3:1 შატანი-1 (კამპოლი-1, ჯ. ბლეიკი-2), 4:1 აფინოგენოვი-1 (ვანეკი-2), 4:2 ჰანტერი-3 (ყერვე-1, რ. სმიტი-3), 4:3 კამპოლი-1 (პარკი-1, შატანი-2).

**სერია 4:1**

"აილენდერსი" ზედიზედ მეხუთედ გავარდა სტენლის თასიდან პირველ ეტაპზე. როგორც მოსალოდნელი იყო, რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულმა იოლად დაძლია ნიუიორკული კლუბის ბარიერი, თუმცა, მეხუთე მატჩის ბოლოს, საკმაოდ გაირთულა საქმე.

"სეიბრზი" საფინალო სირენამდე 4:1 იგებდა და უკვე ზეიმობდა კონფერენციის ნახევარფინალში გასვლას, როცა, "აილენდერსმა" სამი წუთის ინტერვალით ორი გოლი გაიტანა და მინიმუმამდე შეამცირა ანგარიშში სხვაობა.

სტუმრებმა შტურმი გააგრძელეს. მატჩმა კულმინაციას ფინიშამდე 12 წამით ადრე მიაღწია, როცა **მიროსლავ შატანმა** ანგარიშის გათანაბრების შანსი მიიღო, მაგრამ "ბაფალო" ზედმეტ გართულებებს მეკარე **რაიან მილერმა** გადაარჩინა.

**ნიუ ჯერსი (2)-ტამპა ბეი (7) 3:0**

1:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ე. გრინი-1 (რუპი-1, გომესი-4), 2:0 ჯონტა-3 (გომესი-5, რაფალსკი-4), 3:0 გომესი-2 (ელიაში-3).

**სერია 3:2**

**მარტინ ბროდომ** პირველად ითამაშა თავის ჩვეულ დონეზე და "ნიუ ჯერსის" მნიშვნელოვანი გამარჯვება მოუპოვა. "ეშმაკები" სერიაში დაწინაურდნენ და კარგ ხასიათზე მიემგზავრებიან სტუმრად სათამაშოდ.

რეგულარულში 48 მატჩის მომგები ბროდო, სერიის წინ ოთხ მატჩში საშუალოდ 3 გოლს უშვებდა, მაგრამ, ამჯერად, მეტოქის ყველა, 31 დარტყმა მოიგერია და სტენლის თასზე 22-ე შათაუტი შეასრულა. ბროდომ კიდევ ერთ მნიშვნელოვან შედეგს მიაღწია - მან ფლეი ოფში 92-ე მატჩი ჩაატარა და ამ მაჩვენებლით, ყველა დროის სიაში მეორე ადგილზე მყოფ **გრანტ ფიურს** გაუტოლდა. ამ მხრივ რეკორდსმენი ლეგენდარული **პატრიკ რუაა** - 151 მატჩი ფლეი ოფში.

ისე კი, მასპინძლებმა ცოტათი ალოგიკურ გამარჯვებას მიაღწიეს. მოიგო გუნდმა, რომელმაც მხოლოდ 14 (!) ზუსტი დარტყმა შეასრულა, ბოლო გოლი კი მაშინ გაიტანა, როცა "ტამპას" კარი ცარიელი იყო.

### დასავლეთი

**დეტროიტი (1)-კალგარი (8) 5:1**

0:0, 3:0, 2:1

**გოლები:** 1:0 კლირი-1 (ბულიტი), 2:0 ზეტერბერგი-1 (ლიდსტრიომი-2, შნაიდერი-3), 3:0 ჩელიოსი-1 (ფრანცენი-3, ლიდსტრიომი-3), 4:0 ზეტერბერგი-2 (დაციუკი-2, ლიდსტრიომი-4), 4:1 ზიუზინი-1 (ლომბარდი-1, კონროი-1), 5:1 დაციუკი-3 (ლიდსტრიომი-5, ზეტერბერგი-1).

**სერია 3:2**

ამ სერიაში გუნდები საკუთარ მოედანზე დაუმარცხებლები არიან. კალგარიში გამართული ორი მატჩის შემდეგ, სერია დეტროიტში გაგრძელდა.

სტუმრები ზედმეტად უხეშობდნენ და ამის გამო დაისაჯნენ. "რედ უინგზსს" რვაჯერ მიეცა რიცხობრივი უპირატესობის გამოყენების შანსი და სამ შემთხვევაში, მასპინძლებმა გოლის გატანა შეძლეს. არადა, ამ მატჩამდე, "დეტროიტს" 25 ასეთი შანსიდან, მხოლოდ ორი ჰქონდა გამოყენებული.

როცა მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, "კალგარის" მწვრთნელებმა ძირითად მეკარე **მიკა კიპრუსოფს** დასვენების საშუალება მისცეს და მის ნაცვლად კარში **ჯეიმი მაკლენანი** ჩააყენეს, მაგრამ ამ უკანასკნელს სულ 18 წამი მოუწია ყინულზე ყოფნა - მის **იოჰან ფრანცენს** ისე ეუხეშა, რომ მატჩის ბოლომდე გააგდეს მოედნიდან. კიპრუსოფი კარში დაბრუნდა და ჯამში, 33 მოგერიებული შაიბა დაუგროვდა. მის ვიზავი **დომინიკ ჰაშეკს** ნაკლები სამუშაო ჰქონდა - მის კარში 24-ჯერ დაარტყეს ზუსტად.

როგორც იქნა, შეწყვიტა თავისი მშრალი სერია შვედმა ფორვარდმა **ჰენრიკ ზეტერბერგმა**, რომელიც ტრავმით გამოწვეული ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, სწორედ ფლეი ოფისთვის დაუბრუნდა თავის გუნდს. გუშინ, შვედმა დუბლს ერთი საგოლე პასი დაუმატა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია "დეტროიტის" ვეტერანი მცველების თამაში. ლეგენდარულმა შვედმა **ნიკლას ლიდსტრიომმა** ოთხი საგოლე პასი გააკეთა, ხოლო 44 წლის **კრის ჩელიოსმა** 2002 წლის შემდეგ, პირველად გაიტანა გოლი ფლეი ოფში.

**დალასი (6)-ვანკუვერი (3) 2:0**

1:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 მოდანო-1 (ზუბოვი-4, რიბეირო-3), 2:0 ჰალპერნი-2.

**სერია 3:3**

"დალასის" მეკარე **მარტი ტურკომ** ფლეი ოფში მესამე შათაუტი შეასრულა. კარიერის სამივე მშრალი მატჩი სწორედ "ვანკუვერთან" ამ სერიაზე მოდის. ტურკომდე, ფლეი ოფის ისტორიაში მხოლოდ 12 მეკარეს შეუსრულებია ერთ სერიაში 3 შათაუტი.

სწორედ ტურკოს ბრწყინვალე თამაშის წყალობით, "სტარზმა" ზედიზედ ორი მატჩი მოიგო და თითქმის წაგებული სერიის ბედი შემოატრიალა. დალასელთა კარის დარაჯს, ბოლო 204 წუთია არ გაუშვია შაიბა. სულ ამ სერიაში, მას 199 დარტყმიდან 190 აქვს მოგერიებული, რაც 95.5 პროცენტს შეადგენს. თითქმის ანალოგიური სტატისტიკა აქვს "ვანკუვერის" მეკარე **რობერტო ლუონგოს** - 220-დან 209 მოგერიება და 95 პროცენტი.

სერიის ბოლო მატჩი ვანკუვერში გაიმართება და თუ "დალასი" მოიგებს, მაშინ ეს იქნება პირველი შემთხვევა ამ გუნდის ისტორიაში, როცა 1:3-დან შეძლებს სერიაში გამარჯვებას. სხვათა შორის, "ვანკუვერს" ფლეი ოფში სამჯერ აქვს გაფლანგული ორმატჩიანი უპირატესობა.

"დალასმა" შეწყვიტა სერია, რომელიც ფლეი ოფში შინ ზედიზედ წაგებულ 6 მატჩს უტოლდებოდა.

**ნეშვილი (4)-სან ხოსე (5) 2:3**

0:1, 2:1, 0:1

**გოლები:** 0:1 ქლოუ-3 (ბერნიე-1, გოკი-1), 1:1 არნოტი-2 (შ. უებერი-3, კ. ტიმონენი-2), 2:1 ფიდლერი-1 (ფორსბერგი-2, ზენონი-2), 2:2 მარლო-2 (გერინი-2, რივე-3), 2:3 მარლო-3 (ჯ. ტორნტონი-6, ჰენანი-2).

**სერია 1:4**

"სან ხოსემ" სტენლის თასზე საიუბილეო, მე-100 შეხვედრა ჩაატარა და 17 ცდიდან, მერვედ მოიგო ფლეი ოფის სერია.

"ნეშვილმა" მხოლოდ მეორე პერიოდში აჩვენა ისეთი ჰოკეი, რომელიც რეგულარულის მესამე გუნდს ეკადრება. 39 წამის ინტერვალში გატანილი ორი გოლის წყალობით, მასპინძლები დაწინაურდნენ, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს და საბოლოოდ, ძალიან მალე გამოეთიშნენ სეზონის მთავარი პრიზისთვის ბრძოლას.

"ნეშვილისთვის" ყველაზე დიდი იმედგაცრუება თებერვალში გადაბირებული **პეტერ ფორსბერგი** გახდა. ამ ვეტერანის სანაცვლოდ, "პრედატორზმა" ორი ჰოკეისტი და დრაფტში ორი მოთამაშის არჩევის უფლება დაუთმო "ფილადელფიას". ახლა, ალბათ, "ბაფალოს" ხელმძღვანელობა ძალიან ნანობს ამ გარიგებას.

შეიძლება ისე მოხდეს, რომ ეს ფორსბერგის კარიერაში ბოლო შეხვედრა იყოს. *"არ ვიცი, გაისად შევძლებ თუ არა თამაშს. შეიძლება ჩემი დრო ამოიწურა. ნებისმიერ შემთხვევაში, "ნეშვილში" რამდენიმე კარგი თვე გავატარე. აქ შესანიშნავი ბიჭები თამაშობენ და მათი დატოვება ძალიან გამიჭირდება"*, - განაცხადა ფორსბერგმა, რომელმაც ტრავმის გამო, რეგულარულში ბევრი მატჩი გამოტოვა.

## სხვადასხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

### მაკჰეილი ბრუნდება, გარნეტი რჩება

მნიშვნელოვანი ამბებია "მინესოტა ტიმბერვულვზში". როგორც ირკვევა, მომავალი წლიდან, კლუბის ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე დაბრუნდება **კევინ მაკჰეილი**, რომელიც "მგლების" საკალათბურთო ოპერაციების ხელმძღვანელი იქნება.

ასევე ცნობილი ხდება, რომ "მინესოტა" არ აპირებს თავისი ლიდერის - **კევინ გარნეტის** გაშვებას. ასევე დარჩება გუნდში მთავარი მწვრთნელი - **რენდი უიტმენი**.

წელს, 30 წლის გარნეტმა "ვულვზის" შემადგენლობაში მე-12 სეზონი ითამაშა. ამ სეზონში, კევინი საშუალოდ 22.4 ქულასა და 12.8 მოხსნას აგროვებდა.

### ლას ვეგასს ასოციაციაში უნდა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარმა **დევიდ სტერნმა** განაცხადა, რომ NBA-ის კლუბების მფლობელთა უახლოეს სხდომაზე, ქალაქ ლას ვეგასის მერის - **ოსკარ გუდმენის** განაცხადს წამოაყენებს. ამ უკანასკნელს სურს, რომ მის ქალაქში NBA-ის კლუბმა ითამაშოს. ამ ინფორმაციას Eurosport ავრცელებს.

შეგახსენებთ, რომ წელს "ყველა ვარსკვლავის მატჩი" სწორედ ლას ვეგასში ჩატარდა.

### ტელფეირს იარაღი უპოვნეს

შაბათს, პოლიციამ "ბოსტონ სელტიქსის" მცველი **სებასტიან ტელფეირი** დააპატიმრა. მას მანქანაში ცეცხლსასროლი იარაღი აღმოუჩინეს.

პოლიციამ კალათბურთელი თავის მგზავრთან ერთად მაშინ გააჩერა, როცა ტელფეირმა სიჩქარეს გადააჭარბა. ბოსტონელს მართვის მოწმობა არ აღმოაჩნდა. შემდეგ კი, მანქანაში პისტოლეტიც აღმოაჩინეს. ტელფეირმა და მისმა მეგობარმა განაცხადეს, რომ იარაღის შესახებ არაფერი იცოდნენ.

დაკავებულები 7.5 ათასი დოლარის გადახდის შემდეგ, თავდებით გაუშვეს, მაგრამ მათ მაისის შუაში, სასამართლოს წინაშე მოუწევთ წარდგომა.

### საკრამენტომ მწვრთნელი გაუშვა

რეგულარული ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, "საკრამენტო კინგზის" ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელი - **ერიკ მუსელმანი** თანამდებობიდან გაათავისუფლა. წელს, "კინგზი" ბოლო ათი წლის განმავლობაში, პირველად ვერ მოხვდა ფლეი ოფში.

მუსელმანი "საკრამენტოში" შარშან მივიდა, მანამდე კი, "მემფისში", მთავარ მწვრთნელ **მაიკ ფრატელოს** ასისტენტად მუშაობდა. ამ სეზონში, "კინგზმა" 33 მატჩი მოიგო და 49-ში დამარცხდა.

ფორმულა 1

### ინდოეთში ქუჩის რბოლა იგეგმება

ინდურ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ფორმულა 1-ის გენერალური მენეჯერი **ბერნი ექლსტოუნი** აქტიურად მუშაობს დელიში ქუჩის რბოლის ორგანიზებაზე.

ვებ-გვერდ www.grandprix.com-ის ინფორმაციით, ინდოეთი საკმაოდ დიდი ხანია ფიქრობს თავის ტერიტორიაზე სუპერთანამედროვე ავტოდრომის აშენებას. ამ იდეას აქტიურად უჭერს მხარს ქვეყნის მთავრობა, მაგრამ ახლა, ექლსტოუნის ინიციატივით ამ იდეამ სხვა განვითარება ჰპოვა.

ამბობენ, რომ სულ მალე, დელიში ჩავა ავტოდრომების ცნობილი დიზაინერი, გერმანელი **ჰერმან ტილკე**, რომელმაც დელის ცენტრალური მოედანი უნდა გადააკეთოს. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, ეს პროექტი ძალიან მალე განხორციელდება. მომავალ წელს, ინდოეთში არჩევნებია დანიშნული, რასაც შეიძლება მთავრობის შეცვლა მოჰყვეს და ფორმულა 1-ის ეტაპის ჩატარების იდეამაც არსებობა შეწყვიტოს.

ჰოკეი

### ფედერაცია ჩემპიონთა ლიგას აარსებს

ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის (IIHF) ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება, რომ 2008-09 წლების სეზონიდან მოყოლებული, სპორტის ამ სახეობაში ჩემპიონთა ლიგის გათამაშება გაიმართება. ეს ტურნირი ევროპის უძლიერეს კლუბებს გააერთიანებს. ახალი ჩემპიონთა ლიგის სტარტი IIHF-ის ასწლიან იუბილეს მიეძღვნება.

წინასწარი მონაცემებით, ტურნირი ორი ჯგუფური ეტაპისგან იქნება შემდგარი. უძლიერესი ევროპული ლიგების გამარჯვებულები პირველობისთვის ბრძოლაში მეორე ეტაპიდან ჩაებმებიან. ფლეი ოფის სტადია ნახევარფინალიდან დაიწყება.

### ჰილი დოპინგისთვის დაისაჯა

"ნიუ იორკ აილენდერსის" მცველი **შონ ჰილი** პირველი ჰოკეისტი გახდა NHL-ის ისტორიაში, ვინც აკრძალული პრეპარატის მიღებისთვის თამაშებიდან მოკვეთეს. როგორც სააგენტო AP იუწყება, ჰილი 20 მატჩით არის დისკვალიფიცირებული.

მცველმა უკვე გამოტოვა ერთი მატჩში ფლეი ოფში, ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ "აილენდერსი" გავარდა სტენლის თასის გათამაშებიდან, ჰოკეისტი მომავალი რეგულარული ჩემპიონატის 19 მატჩს გამოტოვებს.

## TV სპორტი

### 23 აპრილი. ორშაბათი

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 იტალიის ჩემპიონატი. ატალანტა-რომა.
14:10 ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-ჩელსი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. სენტ ეტიენი-ბორდო.
18:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ბარსელონა.
19:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:05 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:45 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:45 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:15 იტალიის ჩემპიონატი. ატალანტა-რომა.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:00 ჰოკეი. სტენლის თასი.
08:50 სპორტის სამყარო.
09:25 კრივი. რინგ-საიდი.
10:25 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. მარიტიმუ-ბენფიკა.
12:10 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. III მატჩი. ცსკა-მაკაბი.
13:55 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. სანტოსი-ბრაგანტინო.
15:45 სპორტის სამყარო.
16:20 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
16:50 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. პორტუ-ბელენენსეში.
18:35 ჰოკეი. სტენლის თასი.
20:25 ჰოკეი. სტენლის თასი. დღის მიმოხილვა.
21:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 სპორტკლუბი.
23:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:00 პროფესიული კრივი. ლუის კოლაცო-რიკი ჰატონი.
02:35 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. III მატჩი. ცსკა-მაკაბი.
04:20 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
04:50 სპორტის სამყარო.
05:25 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. მარიტიმუ-ბენფიკა.

**EUROSPORT**

09:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
10:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. თურქეთის გრან პრი. სტამბოლი.
11:00 მძლეოსნობა. მარათონი. ლონდონი. ბრიტანეთი.
12:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
15:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. 105 კგ. სტრასბური. საფრანგეთი.
15:45 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. +105 კგ. სტრასბური. საფრანგეთი.
16:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
19:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 მულტისპორტი.
20:45 ჩოგბურთი.
21:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
00:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
00:45 მულტისპორტი.
01:15 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. 105 კგ. სტრასბური. საფრანგეთი.
01:45 ჩოგბურთი.

**EUROSPORT-2**

08:30 ახალი ამბები.
11:00 სუმო.
12:00 მულტისპორტი.
13:00 ახალი ამბები.
13:45 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ესტუდიანტესი-ტაუგრესი.
14:45 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. 1/2 ფინალი. II მატჩი. დიორი (უნგრეთი)-სლაგელსე (დანია).
15:45 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. აგუედა. პორტუგალია.
16:45 მულტისპორტი.
18:00 სუმო.
19:00 ახალი ამბები.
19:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
20:00 ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
20:30 ახალი ამბები.
21:00 სუმო.
22:30 ავსტრალიური ფეხბურთი.
00:00 ახალი ამბები.
00:15 მულტისპორტი.
01:30 სუმო.
02:30 არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. კოლამბუსი-ფილადელფია (LIVE).

## ცხელი ხაზი

**კალათბურთი**

| NBA. ფლეი ოფი | |
|---|---|
| კლივლენდი-ვაშინგტონი | 97:82 |
| ფინიქსი-ლეიკერსი | 95:87 |

| საბერძნეთი | |
|---|---|
| აელ-არისი | 81:86 |
| ეგალეო-აეკ | 87:83 |
| პანელინიოსი-ოლიმპია | 77:71 |
| ოლიმპიაკოსი-პანიონიოსი | 79:81 |
| პანათინაიკოსი-მარუსი | 79:73 |
| აპოლონი-მაკედონიკოსი | 88:69 |
| პაოკ-აეკ | 67:55 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| ალიკანტე-რეალი | 90:83 |
| ბრუესა-მენორკა | 78:82 |
| ვალიადოლიდი-პამესა | 76:68 |
| გრანადა-მურსია | 81:70 |
| ბილბაო-ბარსელონა | 82:69 |
| ხირონა-კ. სან ფერნანდო | 80:76 |
| უნიკახა-ფუენლაბრადა | 81:66 |
| ესტუდიანტესი-ტაუგრესი | 72:93 |
| ხუვენტუდი-გრან კანარია | 95:74 |

| იტალია | |
|---|---|
| ვირტუსი-ნაპოლი | 84:51 |
| ბიელა-რომა | 75:71 |
| აველინო-მონტეგრანარო | 87:70 |
| ვარეზე-სკაფატი | 84:74 |
| მილანი-დ'ორლანდო | 92:72 |
| რეჯო ემილია-კანტუ | 84:70 |
| სნაიდერო-ლივორნო | 91:77 |
| ტერამო-კლიმამიო | 73:84 |
| ბენეტონი-მონტეპასკი | 67:78 |

| საფრანგეთი | |
|---|---|
| დიჟონი-პო ორტეზი | 80:95 |
| გრაველინი-რეიმსი | 83:71 |
| ჰავრი-ტულონი | 84:99 |
| ლე მანი-ბურკი | 76:72 |
| ნანსი-ბეზანსონი | 90:84 |
| შოლე-პსჟ | 63:58 |
| კლერმონი-ორლეანეზი | 70:67 |

**ჰოკეი**

| NHL. ფლეი ოფი | |
|---|---|
| ტამპა ბეი-ნიუ ჯერსი | 2:3 |

NBA. ფლეი ოფი. I წრე

# პირველი სისხლი

### აღმოსავლეთი

**დეტროიტი (1)-ორლანდო (8) 100:92**

28:16, 23:27, 30:24, 19:25

**დეტროიტი:** ბილაპსი (22 ქ. 11 პ. 4 მ. 2 ჩ), რ. ჰამილტონი (22 ქ. 4 მ. 4 პ), რ. უოლასი (16 ქ. 6 მ), უებერი (12 ქ. 5 მ), პრინსი (12 ქ. 6 პ).

**ორლანდო:** თურქოღლუ (17 ქ. 3 პ. 2 ჩ), მილიჩიჩი (14 ქ. 4 მ), გ. ჰილი (14 ქ. 5 პ. 4 მ), დ. ჰოვარდი (13 ქ. 19 მ. 3 პ. 3 დ), ნელსონი (10 ქ. 3 პ. 2 ჩ).

**სერია 1:0**

"დეტროიტმა" ითამაშა ტაქტიკით, რომელმაც წინა წლებში არაერთხელ გაამართლა **შაკის** წინააღმდეგ ბრძოლებში. მიჩიგანელები ანგარიშში სხვაობის შემცირებისთანავე, განგებ ჯარიმდებოდნენ ონილზე, რომლის ადგილიც ახალგაზრდა, ჯერაც გამოუცდელმა ცენტრმა **დუაიტ ჰოვარდმა** დაიკავა.

ჰოვარდი საშინლად ასრულებს ერთქულიანებს. თავის სადებიუტო ფლეი ოფში დუაიტმა 11 საჯარიმოდან მხოლოდ 3 გამოიყენა, მისმა გუნდმა კი 36 ჯარიმიდან ოდენ 18-ის უშეცდომოდ შესრულება მოახერხა.

არადა, სტუმრებს რომ ოდნავ უკეთ შეესრულებინათ ჯარიმები, "დეტროიტს" იქნებ გასჭირვებოდა კიდეც დაგეგმილი გამარჯვების გაფორმება. ფლორიდელებმა თამაშიდან სროლების 58 პროცენტი გამოიყენეს, რითაც პირადი გუნდური საფლეიოფო რეკორდი დაამყარეს, მაგრამ ეს საბოლოო გამარჯვებისთვის საკმარისი არ გამოდგა.

**ტორონტო (3)-ნიუ ჯერსი (6) 91:96**

22:23, 19:28, 24:27, 26:18

**ტორონტო:** ბოში (22 ქ. 5 მ. 3 პ), ტი. ჯეი. ფორდი (21 ქ. 2 პ), ე. პარკერი (16 ქ. 9 მ. 3 ჩ), კალდერონი (13 ქ. 8 პ. 3 მ), ნესტეროვიჩი (2 ქ. 10 მ. 3 პ).

**ნიუ ჯერსი:** რ. ჯეფერსონი (28 ქ. 5 მ. 2 ჩ), ვ. კარტერი (16 ქ. 7 მ. 3 პ. 3 დ), ნახბარი (16 ქ. 5 მ. 4 პ), კიდი (8 ქ. 15 პ. 10 მ. 2 ჩ).

**სერია 0:1**

თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ მატჩში, **ვინს კარტერმა** თამაშიდან 19-დან სულ რაღაც 5 სროლა გამოიყენა, თუმცა **ჯეისონ კიდის** ზღაპრული თამაშითა (პირველ მეოთხედში უბერებელი ფლეიმეიქერის ანგარიზე 8 ზუსტი პასი მოვიდა) და **რიჩარდ ჯეფერსონის** აქტიურობით "ნეტსმა" საკუთარი მოედნის უპირატესობა მოიპოვა და სერიაში დაწინაურდა.

**ჩიკაგო (5)-მაიამი (4) 96:91**

27:28, 22:18, 23:16, 24:29

**ჩიკაგო:** დენგი (33 ქ. 8 მ. 2 პ), გორდონი (24 ქ. 11 პ. 7 მ), ნოჩიონი (17 ქ. 4 მ. 2 დ), ბ. უოლასი (4 ქ. 16 მ. 1 დ).

**მაიამი:** უეიდი (21 ქ. 3 პ), ა. უოკერი (20 ქ. 3 მ. 3 პ), შ. ონილი (19 ქ. 6 მ. 3 პ), ჰასლემი (11 ქ. 6 მ).

**სერია 1:0**

გახსოვთ, როგორ დაიწყო წლევანდელი, უკვე ისტორიას ჩაბარებული რეგულარული? "მაიამი ჰიტმა" **დევიდ სტერნისგან** საჩემპიონო ბეჭდები მიიღო, ფლორიდაში დიდი ზარ-ზეიმი გაიმართა, მერე კი "ბულზმა" თავისი სუპერშენაძენი **ბენ უოლასით,** მოქმედ ჩემპიონს მისსავე ბუნაგში გადაუარა.

მაშინ და ალბათ, მთელი რეგულარულისას, "ჰიტის" ვარსკვლავებს ყურიც არ შეუბერტყავთ, ეს ხომ მხოლოდ რეგულარულია, ჩემპიონები კი მთავარ ტესტს აპრილ-ივნისში, ანუ ფლეი ოფში აბარებენო. ალბათ, ასე იყო გათვლილი, მაგრამ ფლეი ოფის პირველივე მატჩმა მოქმედი მეფეების რამდენიმე აშკარა სისუსტე დაგვანახა.

1. **შაკილ ონილის** რეგულარულის არასტაბილური თამაში და სამწამიანში გადამეტებული აქტიურობა (რაც დაუგეგმავ ფოლებში აისახება) ფლეი ოფშიც გადაჰყვა და ვეტერანმა ცენტრმა ილინოისელებთან სადებიუტო შეხვედრაში მხოლოდ 27 წუთი ითამაშა, 6 ფოლით გავარდა და ბენ უოლასის მხეცურ დაცვასაც ბევრი ვერაფერი დაუპირისპირა.

2. ტრავმაგადატანილი **დუეინ უეიდი** უსაშველოდ შორსაა იმ დომინანტური ფორმისგან, რომლითაც "ჰიტმა" შარშან სკეპტიკოსები დაადუმა და პირველად მოირგო სამეფო მანტია.

3. "მაიამის" არ ჰყავს აქტიური მეფარე. **ადონის ჰასლემი** შარშანდელისგან განსხვავებით, სულ უფრო ხშირად ადის პერიმეტრზე და ფარიდან ასხლეტილ ბურთზე ბრძოლისას აგვიანებს.

4. **გარი პეიტონსა** და **ედი ჯოუნსს** არაფერი ესაქმებათ ისეთ გუნდში, რომლის ერთადერთი მიზანიც ჩემპიონობაა. ამ ორმა ბებერმა, ჯამში 2 ქულა, 4 მოხსნა და 3 პასი დააგროვა, ამას დაემატა - 6 ფოლი, 3 შეცდომა და 6-დან ერთადერთი ზუსტი სამქულიანი.

"ჩიკაგომ" ჩააგდო პირველი მეოთხედი, მაგრამ მეორეში გამოფხიზლდა და უოლასის თავდადებული დაცვითა და **ლუოლ დენგის** ზღაპრული შესვლებით, ჯერ ანგარიში გაათანაბრა, ხოლო ტაიმის ბოლოს კი წინ გასვლაც მოახერხა.

მასპინძლებს ჯანზე ჰყავთ მოთამაშე, რომელმაც "მაიამისთან" შარშანდელ სერიაში (რომელიც ჩემპიონებმა 4:2 მოიგეს) თავისი საუკეთესო კალათბურთი ითამაშა - **ანდრეს ნოჩიონი** ჟანგმოდებულს ნაღდად არ წააგავს და სათამაშო პრაქტიკის უქონლობას, უდიდესი ენთუზიაზმით ფარავს. არგენტინელმა 30 წუთში მხოლოდ 1 შეცდომა დაუშვა, მაგრამ პირველ რიგში, დაცვაში მისი არაჩვეულებრივი თამაშია გამოსაყოფი.

"ჩიკაგომ" მაქსიმალურად გადაუკეტა სათარეშო სივრცე უეიდს, რომელმაც შეხვედრა 5-5 შეცდომა-ფოლით დაასრულა და სწორედ ის სამიანი გააფუჭა (91:94-ზე, ძირითად დროს 12 წამი რომ უკლდა), რომლითაც სტუმრებს მატჩის დამატებით დროში გადაყვანა შეეძლებოდათ.

### დასავლეთი

**ჰიუსტონი (5)-იუტა (4) 84:75**

20:19, 13:23, 26:11, 25:22

**ჰიუსტონი:** მინი (28 ქ. 13 მ), მაკგრეიდი (23 ქ. 7 პ. 4 მ. 2 დ), ალსტონი (9 ქ. 11 მ. 8 პ. 2 ჩ).

**იუტა:** დ. უილიამსი (15 ქ. 9 მ. 9 პ. 3 ჩ), ფიშერი (15 ქ. 4 მ. 2 პ), ჰარპრინგი (14 ქ. 8 მ), ბუზერი (11 ქ. 12 მ), ოქური (6 ქ. 9 მ. 2 ჩ).

**სერია 1:0**

ბობოლა მეფლეიოფეთა შორის, **ტრეისი მაკგრეიდი** ერთადერთია, რომელსაც თავის კარიერაში ერთი სერიაც არ მოუგია და ვის გუნდსაც არასოდეს ჰქონია საკუთარი მოედნის უპირატესობა. მაკგრეიდი ყველაზე ახლოს მეორე წრეში გასვლასთან ჯერ კიდევ მაშინ იყო, როდესაც "ორლანდოში" ილწვოდა, მისმა გუნდმა კი "დეტროიტთან" სერიაში 3:1 დაწინაურება ვერ შეირგო და საბოლოოდ დამარცხდა.



ტრეისი მაკგრეიდი მეორე ტაიმში გამოფხიზლდა

"იუტასთან" მატჩში, "ჰიუსტონის" სუპერვარსკვლავს დიდ შესვენებამდე 1 (!) ქულა ჰქონდა გაკეთებული, მაგრამ მერე "აფეთქდა" და მისი შემჩერებელი აღარავინ იყო. მესამე 12-წუთეულში მან 16 ქულა გაჩარხა, "როკეტსმა" კი თითქმის უშეცდომო დაცვით, სტუმარი გუნდის ვარსკვლავებს - **კარლოზ ბუზერსა** და **მეჰმეთ ოქურს** ჯამში 31 სროლიდან მხოლოდ 6 (!) გამოაყენებინა.

ტრეისიმ მესამე მეოთხედში 8-დან 7 სროლა შეასრულა უშეცდომოდ, ხოლო როდესაც **ლუთერ ჰედმა** და **რაფერ ალსტონმა** ზედიზედ ორი ზუსტი შორეული გასროლით მასპინძლები 71:63 დააწინაურეს, ნათელი გახდა, რომ რიტმიდან ამოვარდნილ "ჯაზს", მატჩის გადარჩენის არანაირი რესურსი აღარ შერჩენოდა.

1997 წლის მერე, "ჰიუსტონს" ფლეი ოფის სერია არ მოუგია, მაკგრეიდის კი კარიერაში ხუთი საფლეიოფო სერია აქვს წაგებული. "ჯაზი" დასავლეთის რვა უძლიერეს გუნდში 2003 წლის მერე პირველადაა და ალბათ, მხოლოდ პირველ წრეში გასვლით თუ დაკმაყოფილდება, რადგან **ჯეფ ვან განდის** "როკეტსი" **ჯერი სლოუნის** ბიჭებზე ბევრად დაბალანსებული და მდგრადი ხასიათის მქონე გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს.

**ზურაბ თალაკვაძე**

---

ჩოგბურთი

ტურნირები

# ნადალის მესამე მონეგასკური ტიტული



რაფაელ ნადალი

მსოფლიოს მეორე ჩოგნის, ესპანელი **რაფაელ ნადალის** გამარჯვებით დასრულდა მასტერსის სერიის რიგით მესამე ტურნირი - მონტე კარლოს მასტერსი, რომლის ფინალშიც მან ორ სეტში აჯობა მსოფლიოს პირველ ჩოგანს შვეიცარიიდან **როჯერ ფედერერს.** ტურნირის ზედიზედ მოგების გარდა, ნადალმა შეინარჩუნა თიხის კორტებზე 67-მატჩიანი წაუგებელი სერია.

საფრანგეთის ღია პირველობის ორგზის ჩემპიონი, ვინც თიხის კორტზე უკანასკნელად ორი წლის წინ, რუს **იგორ ანდრეევთან** წააგო, სულ მეორე ჩოგბურთელია, მონტე კარლოს მასტერსი ზედიზედ სამჯერ აქვს მოგებული. პირველმა ეს რუმინელმა **ილიე ნასტასემ** 1971-1973 წლებში შეძლო.

ნადალმა ფინალამდე ყველა მეტოქე იოლად დაამარცხა და არც ფედერერისგან შექმნია ბევრი პრობლემა. ესპანელმა ორივე სეტი თითო ბრეიკის უპირატესობით მოიგო და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ყველაზე ნელ საფარზე მსოფლიოში ბადალი არ მოეპოვება. რაღა თქმა უნდა, საფრანგეთის ღია პირველობაზე კვლავ უმთავრესი ფავორიტი იქნება.

ნადალი იმ იშვიათ ჩოგბურთელთა რიცხვს მიეკუთვნება, ვისაც ფედერერთან შეხვედრებში დადებითი ბალანსი აქვს. მსოფლიოს ორი საუკეთესო ჩოგბურთელი მეათედ დაუპირისპირდა ერთმანეთს და ნადალმა მეშვიდე გამარჯვება მოიპოვა. სხვათა შორის, თიხაზე ისინი მეხუთედ შეხვდნენ ერთმანეთს და მეხუთედაც ესპანელმა მოიგო. სამაგიეროდ, მონტე კარლოს გუშინდელ ფინალამდე, ფედერერს წინა ორი შეხვედრა ჰქონდა მოგებული - პირველად შარშანდელი უიმბლდონის ფინალში დაამარცხა ნადალი, მეორედ კი შარშანდელი მასტერსის თასის ნახევარფინალში.

სამაგიეროდ, ნადალმა შვეიცარიელს შარშანაც მონტე კარლოს ფინალში მოუგო, შემდეგ კი იმავე საფრანგეთის ღიას ფინალშიც გაიმეორა. შარშანვე ესპანელმა მსოფლიოს პირველ ჩოგანს ჰარდზეც აჯობა.

უნდა ითქვას, რომ ნახევარფინალში ფედერერმა ტურნირის ორგზის ჩემპიონს, ესპანელ **ხუან კრალოს ფერეროს** აჯობა, მანამდე კი გზიდან კიდევ ერთი ესპანელი **დავიდ ფერერი** ჩამოიშორა. თიხნარის ამ ორი სპეციალისტის წინააღმდეგ ის შესანიშნავად ირჯებოდა, თუმცა ნადალთან პრაქტიკულად არაფერი გამოუვიდა.

პირველი სეტი ნადალმა მეცხრე გეიმში მოპოვებული ბრეიკით მოიგო. არადა, წინა გეიმში, ესპანელის სერვისზე, ფედერერმა სამი ბრეიკ პოინტის გამოყენება ვერ შეძლო. საბოლოოდ, ნადალმა პირველი სეტის მოგებას 47 წუთი მოანდომა. ესპანელმა უფრო იოლად მოიგო მეორე სეტი, რომელშიც ბრეიკს მესამე სეტშივე მიაღწია. მეათე გეიმში შვეიცარიელმა ორი მატჩ პოინტის მოგერიება კი შეძლო, მაგრამ მესამეზე ნადალმა შანსი ხელიდან აღარ გაუშვა და შეხვედრას საჩემპიონო წერტილი დაუსვა.

*"რა თქმა უნდა, ჩემთვის დიდი პატივია, რომ მონტე კარლოს ტურნირი ზედიზედ მესამედ მოვიგე და თანაც, მის ფინალში კვლავ როჯერს მოვუგე. ვეცდები, იგივე რომში, ჰამბურგსა და მერმის ისევ აქ გავიმეორო"*, - განაცხადა ნადალმა, ვისთვისაც ეს კარიერაში მოპოვებული მე-19 ტიტულია.

**ATP**

**მონაკოს მასტერსი**

მონტე კარლო. თიხნარი

**საპრიზო ფონდი:** 2 082 500 დოლარი

**1/4 ფინალი**

როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)-დავიდ ფერერი (ესპ, 12) 6:4, 6:0; რაფაელ ნადალი (ესპ, 2)-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) 6:2, 6:3; ტომას ბერდიჩი (ჩეხ, 10)-რობინ სიოდერლინგი (შვედ) 5:7, 6:3, 6:0; ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 16)-რიშარ გასკე (საფ, 11) 5:7, 7:5, 6:2.

**1/2 ფინალი**

როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)-ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 16) 6:3, 6:4; რაფაელ ნადალი (ესპ, 2)-ტომას ბერდიჩი (ჩეხ, 10) 6:0, 7:5.

**ფინალი**

რაფაელ ნადალი (ესპ, 2)-როჯერ ფედერერი (შვეიც, 1) 6:4, 6:4.


სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეზანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა, 0159 თბილისი (დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა